



**პაატა ზაქარეიშვილი:**  
**ერთადერთი მხარე, ვინაც  
 საეკლესიო არ სჭირდება  
 სიშვენიე, საქართველოს  
 ხელისუფლებასა** **3**

**რას კვებინან ბაიდან  
 გადმოსული დავნილები  
 და რატომ დაეარება  
 ოპოზიციამ გავლენა  
 ზუგდიდში** **2**

**ირაკლი სესიაშვილი:**  
**2 ავთქეაბეზი  
 სააკაშვილის  
 ხელისუფლების  
 კვალს უფრო ვხედავ**

**ზურაბ აბაშიძე:**  
**ქოსოვოს აღიარებამ  
 თვისებრივი 15  
 მხრივად  
 შეიტანა რუსეთის  
 ხელისუფლების  
 რეპორტაჟის მიმართ**

საზოგადოებრივ-ჟორნიალური გამოცემა

17 — 23 ივნისი, 2009 №17

# საქართველო

& მსოფლიო

www.geworld.net

გამომცემის მთხმუნბათობით ფასი | ღარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net



მაღე იმასაც ვნახავთ, როგორ  
 მოუქნევენ ერთმანეთს რედიკულებს.  
 ერთი თავისი გაპრეზიდენტებისთვის  
 იბრძოლებს, მეორე — საზღვარგარეთ  
 მცხოვრები რომელიმე ქართველისთ-  
 ვის, რომელსაც საქართველოს პრეზი-  
 დენტობა ენდომება, ხოლო მესამე...

## რედიკულური ოპოზიციის

**პოლიციის გაღალტინოსანება  
 საპატრიარქოს დახვის  
 თანამშრომელი მოკლა** **9**

მოკლულის ოჯახის პროტესტის ნიშნად  
 მიცვალებულის დამარხვას არ აპირებს



**სრუ გვირი, სრუ საკანი  
 და სრუ ხელისუფლება**

**6**



**შავი  
 7  
 ორშაბათის ქრონიკა**

**სააკაშვილის ლოზიტები ევროსაბჭოს  
 კომისიის დასკვნას ბაღავან** **10**

**11 კენებ იალოვიზმა  
 სააკაშვილის რეჟიმს  
 ავტორიტარული უნოდა**

**11 საქართველოს  
 საბარო ვალი  
 23 პროცენტით გაიზარდა**



**12 მოკითხვა  
 რინგარეჟისგან...**

**ზურაბ გავნიძე:**  
**დავით უსუფაშვილი  
 20 პოლიტიკური  
 ლიდარის სურგატიან**

# რას უკვირებს გალიდან გადმოსული დავნილი და რატომ დასაბუთებს ოპოზიციამ გავლენა უზღუდვი

ზუგდიდისა და გალის რაიონებში (განსაკუთრებით, გალის რაიონში) არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ თუ კრიმინოგენურ ვითარებაზე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. საქართველოს საინფორმაციო საშუალებებისა და ოფიციალური სტრუქტურების გადმოცემით, გალის რაიონში გაუსაძლისი პირობებია. აფხაზები და რუსები ფეხქვეშ თელავენ ადგილობრივთა ადამიანურ უფლებებს, ახდენენ მათზე ზენოლას და ა.შ. სულ სხვა ვითარება იკვეთება დევნილებთან უშუალო ურთიერთობისას. მათ ხომ მუდმივი კავშირი აქვთ ენგურსგადმულ თანამემამულეებთან.



ზუგდიდში დაფუძნებულმა ერთ-ერთმა დევნილმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ისე აღწერა გალის რაიონში არსებული ამჟამინდელი ვითარება, რომ უთუოდ ღირს სერიოზულ დაფიქრებად: „რასაც ახლა ატყფობ, სრული სიმაართლეა. ახლახან გალის რაიონის სოფელ თაგლონში რუსები შეხვდნენ სოფლის მცხოვრებთ. ძალიან გულთბილი შეხვედრა იყო; დაპირდნენ მოსახლეობას, ახალსკოლას და საცხოვრებლებს აგებენებო. მოსკოვიდან ჩამოსულმა საუკეთესო სპეციალისტებმა — მასწავლებლებმა სამდღიანი ტრენინგი ჩაუტარეს ადგილობრივ პედაგოგებს, ხოლო ექიმებმა უფასო გამოკვლევები და ოპერაციები გაუკეთეს გალებებს. გალები აბიტურიენტებისათვის გამოყოფილია 17 ლიმიტი მოსკოვის ლომონოსოვის და ბაუმანის სახელობის უნივერსიტეტებში, სადაც გალები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან და უფასოდ ისწავლიან. მოსახლეობასა და პენსიონერებს იმავე რუსებმა ალუთქვეს დასაქმება და მაღალი ხელფასებისა და პენსიების გაცემა. გლებს მეტია რუნდა! თურუნებმა ეს დაპირებები შეასრულეს, ღრმად ვარ დარწმუნებული, ყველა დევნილი, რომელიც ენგურს გამოდმა, თავის კარ-მიდამოს დაუბრუნდება. აბა, რა უნდა ვქნათ? ჩვენ აქ არავითარი პერსპექტივა არ გვაქვს. საქართველოს ხელისუფლებას საერთოდ აღარ ვაინტერესებთ, ჩვენ მათთვის აღარ ვარსებობთ. სამწუხაროდ, აღარც ოპოზიციის იმედი გვაქვს“, — განაცხადა ჩემმა რესპონდენტმა და მისი ეს მოსაზრება იქვე მყოფმა რამდენიმე დევნილმაც დაადასტურა. რაც შეეხება აფხაზურ მოქალაქეობას და აფხაზური პასპორტის მიღებას, დევნილ-

თა განმარტებით, არავითარი ზენოლა ამ მხრივ გალის რაიონში არ მიმდინარეობს. აფხაზური პასპორტის აღება მხოლოდ სახელმწიფო, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთათვის არის სავალდებულო. „მე ვერავითარ ტრაგედიას ვერ ვხედავ აფხაზური მოქალაქეობის მიღებასა და აფხაზური პასპორტის აღებაში. პირიქით, ასეთი ქმედებით უფრო შენარჩუნდება ქართული სული და ქართული ეთნოსი აფხაზეთში. ჩვენ ვერავითარი აფხაზური პასპორტი ქართველობას ვერ შევაცვლევინებს“, — აღნიშნა ჩემმა რესპონდენტმა. ზუგდიდში მყოფი დევნილები თავიანთ აღფრთხილებასა და გულსწყრომას ვერ მალავენ დევნილების დაყოფის გამო.

ქველ — „შეგარდნადიხდროინდელ და ახალ — სააკაშვილის დროინდელ“ დევნილებად. დევნილებმა კარგად იციან, რომ პოლიტიკური საკითხის მოგვარება შეუძლებელია, ამიტომაც აქცენტი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტაზე გადააქვთ. „16 წელია, ვერ თუ არ ხერხდება და საშველი აღარ დაადგა აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას. ამჟამად კი, როგორც იტყვიან, დაკონსერვებულია, ანუ დღევანდელი მდგომარეობით აფხაზეთი ანექსირებული და დაკარგულია. სანამ გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის სარგებლობს „ვეტოს“ უფლებით, საქართველოს გამთლიანებას ბედი არ უნერია, ამიტომაც ვითხოვთ დევნილები მხოლოდ საარსებო მინიმუმს. გვეყო, ბოლოს

და ბოლოს, ამ 16 წლის განმავლობაში არაადამიანური ცხოვრება. თუ ვართ საქართველოს შვილები, მაშინ ხელისუფლებამ გვაცხოვროს მიწაზე დონეზე მაინც“, — განაცხადა ძირძველმა გალებმა იური კაკაფამ. დევნილებს, ასევე, კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ მათი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში წონადი სიტყვა ეკუთვნის სამეგრელოს, ზუგდიდს, რომელიც ამჟამად „ოლიმპიური სიმშვიდით“ შეწყურებს თბილისში მიმდინარე პროცესებს. ფორტისპირა და ე.წ. საზღვრისპირა ზუგდიდს ბევრი ტერორისტული აქტი და აფეთქება ახსოვს. ამ დღეებში ისევ გაისმა აფეთქებების ხმა, თუმცა პანიკა და შიში არ გამოუვლევია მოსახლეობაში. არც მისი შემგვერთის თუ შემსრულებლის ვინაობის გარკვევითარია და ინტერესებული. ასე რომ, ცხოვრება ჩვეული რიტმით მიმდინარეობს როგორც ზუგდიდში, ისე მის მეზობელ გალის რაიონში. ზუგდიდში სახელისუფლებო სტრუქტურები გაცილებით ძლიერნი არიან ოპოზიციასთან შედარებით. შიში, საინფორმაციო ვაკუუმი, სამართალდამცავი სტრუქტურების აქტიურობა განაპირობებს ზუგდიდში ოპო-

ზიციის პასიურობას, თუმცა მოსახლეობის პასიურობის მიზეზი მხოლოდ შიში არ არის. საქმე ისაა, რომ ოპოზიციის ლიდერებს ადგილობრივ მოსახლეობაში მაინცდამაინც დიდი გავლენა არ აქვთ. ეს გამომჩნდა კიდევ ოპოზიციის იმ მიტინგზე, რომელსაც 1000 კაციც არ ესწრებოდა. ნარუმატეული მიტინგით განწყენებულმა ლევან გაჩეჩილაძემ ხალხის სიმცირე იმით გაამართლა, რომ მეგრელებს „ვაუკაცობა დაუნუნა“. ოპოზიციის ლიდერების დაბალი გავლენის მიუხედავად, ზუგდიდში ელოდებიან „ეროვნული ფორუმის“ გამოჩენას. „ეროვნულ ფორუმს“ ადგილზე საკუთარი ორგანიზაციები არ აქვს, თუმცა მოსახლეობაში გარკვეული სიმპათიები მოიპოვა. მათ გამოჩენას მიესალმებიან ადგილობრივი ოპოზიციური პარტიების ლიდერებიც. „მე არც ერთი პარტიის წევრი არ ვარ და მივესალმები მათ გამოჩენას, ყოველმხრივ ამოუფდები გვერდით“, — განაცხადა ზუგდიდის ცენტრში დადგმულ „საკანში“ მყოფმა კახა მიქიაიამ. ამჟამად ზუგდიდში სამი საკანია. კახა მიქიაი არ გამოიციხავს საკანის რაოდენობის გაზრდასაც.

ლადო ქირია ზუგდიდი

## ირაკლი სესიაშვილი: აფეთქებებში სააკაშვილის ხელისუფლების კვალს უფრო ვხედავ

ავგისტოს ომისა და, მით უფრო, 9 აპრილის საპროტესტო აქციების შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ მორიგ სამხედრო აგრესიაზე. მათი სატელევიზიო გამოსვლები, ძირითადად, იმის მტკიცებას ეძღვნება, რომ კრემლის მთავარ სტრატეგიულ ამოცანას ამ ეტაპზე საქართველოს სრული ოკუპაცია წარმოადგენს. ხელისუფლების ესოდენ მძაფრი რიტორიკა, რომელიც შიდა მოხმარების არეალს ვერ სცდება, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს — ბუნებრივია, რომ ხალხი ეჭვის თვლით უყურებს სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ნებისმიერ განცხადებას, რომელიც, დიდი ხანია, დემოკრატიის სინონიმად იქცა... მეორე მხრივ, საზოგადოებას კარგად ახსოვს 2007 წლის 5 ნოემბრის შემდგომ გენოციდური პროცესები, დაძაბულობა რუსეთ-საქართველოს შორის და პიკი, რომელიც ავგისტოს ომის სახით მივიღეთ. ისიც ყველას კარგად ახსოვს, როგორ გოფრთხილებდნენ მაშინ ხელისუფლების მესვეურები: რუსის ჯარი რომ კარს მოგვადგება, არეულობა და თავპირისმტყვევა მერე ნახეთო... მაშინ „ნაცების“ წინასწარმეტყველება (შემთხვევით თუ სასწაულებრივად) გამართლდა, რაც დღევანდელ ვითარებაში, შეიძლება ითქვას, ერთგვარ სიმყარეს უზღვევს ხელისუფლების განცხადებებს; თუმცა ოპოზიციის ლიდერებისა და საერთაშორისო სამხედრო ექსპერტთა ერთსულოვანი შეფასებები, რომლებიც რუსეთისგან საქართველოზე მორიგი თავდასხმის საფრთხეს მინიმალური ალბათობით განიხილავს, წყალწყალას და უსაფუძვლოს ხდის ხელისუფლების პროპაგანდისტულ რიტორიკას. გთავაზობთ ინტერვიუს სამხედრო ექსპერტ ირაკლი სესიაშვილთან, რომელიც ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი აგრესიის შესახებ სააკაშვილის, თარგამაძისა და ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნების ბოლოდროინდელ განცხადებებს მიმდინარე პროცესებში მათი გაურკვევლობითა და არაადეკვატურობით ხსნის.



ინერს, პირიქით — კიდევ უფრო კარგავს საზოგადოების ნდობას და მოსახლეობაში საპროტესტო განწყობას ათმაგად ამწვავებს... — სააკაშვილი ხშირად აცხადებს, რომ რუსეთის მთავარი სტრატეგიული ამოცანა საქართველოს სრული ოკუპაციაა. რამდენად რეალურია ეს მოსაზრება და, საერთოდ, რამდენად დიდია რუსეთის მიერ საქართველოს სრული ოკუპაციის საფრთხე? — ამასწინათ გიგა ბოკერიამ პირდაპირ თქვა, რომ რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესიის საფრთხე მინიმალურია. იმავეს აცხადებს ვანო მერაბიშვილი და ხელისუფლების წარმომადგენელთა უმეტესობა, პრეზიდენტი კი სრულიად საპირისპიროს ამბობს... როგორც ჩანს, სააკაშვილს უკვე ფსიქიკაში აქვს გამჯდარი რუსეთის მიმართ შიში და, ალბათ, ამიტომაც ხედავს ყველაფერში, მათ შორის, ოპოზიციურ სპექტრშიც, რუსული ჩეჭმის ნაკვალევს... რუსეთის მხრიდან მორიგი თავდასხმის საფრთხე დღევანდელ ვითარებაში ძალიან მცირეა და ის პროცესები, რაც ბოლოდროს ვითარდება, არანაირ საფუძველს არ გვაძლავს მისი ალბათობა რეალურად განვიხილოთ... — მაშ, რას ნიშნავს ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები, რასაც რუსეთი

ჩრდილოეთ კავკასიაში აპირებს? — საქართველოს სრული ოკუპაციას, სულ ცოტა, ასოციატისიანი არმია მაინც სჭირდება. კავკასიის წვრთნები კი, როგორც ვიცი, ამხელა კონტინგენტს არ შეიცავს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ესეც მონიშნავს, რომ რუსეთი საქართველოს სრული ოკუპაციას, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ აპირებს და ზოგიერთს სულ ტყუილად ჰგონია, რომ მალე კრემლის აგრესია სავარძელს გამოაცლის. — რაც შეეხება ივლისში დაგეგმილ ობამა-მედვედეს შეხვედრას, როგორ ფიქრობთ, საქართველოს საკითხი იქნება თუ არა მხარეებს შორის მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი თემა? — ჩემი აზრით, ობამას მთავარი მოთხოვნა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა იქნება, ამიტომ არ მგონია, ერთი შეხვედრით რამე გადაწყდეს. რუსეთი ასე იოლად სერიოზულ დათმობებზე არ წავა, მაგრამ, თუ აერიკის მხრიდან დიპლომატიური ზემოქმედება გაგრძელდება და „თეთრი სახლი“ მოსკოვს საქართველოს სანაცვლოდ რამეს შესთავაზებს, ის, რა თქმა უნდა, წავა დათმობებზე, თუმცა ამ ეტაპზე ვამინტრონი, როგორც ჩანს, არ არის მზად ასეთი ნაბიჯისთვის.

ესაუბრა ჯაბა შქაბია

— ბატონო ირაკლი, რას იტყვით იმ აფეთქებებზე, რომლებიც კონფლიქტის ზონებთან ახლოს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ხდებიან? მხედველობაში ზუგდიდში მომხდარი რკინიგზის აფეთქება მაქვს. — მე არ ვფიქრობ, რომ ეს იყო რუსების ან აფხაზების მიერ მოწყობილი პროვოკაცია, ვინაიდან არც ერთს და არც მეორეს ამ ეტაპზე საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მსგავსი ტერაქტების მოწყობა ხელს არ აძლევს. ტერორისტული აქტების უმთავრესი მიზანი მოსახლეობის დაშინებაა, ამიტომ

აფეთქებები დღისით ხდება ხოლმე, ხალხმა რომ დაინახოს და მასზე გარკვეული ვიზუალური ეფექტი რომ მოახდინოს. ეს აფეთქება კი, რომელიც, ვიმეორებ, არანაირ საფუძველს არ გვაძლევს, რუსებს ან აფხაზებს მივანეროთ, ამკარად არ იყო მოსახლეობის დასატერორებლად გამიზნული და, შესაბამისად, შეუძლებელია, რუსეთის მხრიდან მას რამე პოლიტიკური დატვირთვა ჰქონოდა... ამ აფეთქებებში სააკაშვილის ხელისუფლების კვალს უფრო ვხედავ, ყოველ შემთხვევაში, ხელწერა ნამდვილად ამათია... გავიხსენოთ განმუხურის

ინციდენტი, არჩევნების დღეს ავტობუსის აფეთქება სოფელ ხურჩაში და შევადავროთ ამ ინციდენტს — მსგავსებას ძალიან ბევრს ვიპოვით; თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წინა დღეებში, ვიდრე რკინიგზას ააფეთქებდნენ, ოპოზიციის ახალგაზრდულ ფრთასა და ზუგდიდის ადგილობრივ ხელიისუფლებას შორის სერიოზული შეხლა-შემოხლა მოხდა, საცხებით შესაძლებელია, აფეთქება ზუგდიდში ხელიისუფლების მოწყობილი პროვოკაცია ყოფილიყო. მათ, ალბათ, ჩათვალეს, რომ მსგავსი პროვოკაციებით ოპოზიციურ აქტივობას, გარკვეულწილად, ხელს შეუშ-

ლიდნენ, თუმცა საზოგადოებისთვის (ყოველ შემთხვევაში, იმ ნაწილისთვის, ვინც ამ ხელისუფლებას ბრმად არ ენდობა), ბუნებრივია, არანაირი დამაჯერებლობა ამ ინციდენტს არ ჰქონია. დღეს ყველამ იცის, რომ ზუგდიდის ადგილობრივ ხელისუფლებას სააკაშვილის გეგმების ერთპიროვნული შემსრულებლები მართავენ, რომელთაც პირდაპირ აქვთ დაკავალებული, ყველა ფორმითა და მეთოდით ხელი შეუშალა ნებისმიერ ოპოზიციურ გამოსვლას. ამდენად, მსგავსი ხრიკებით, იქნება ეს აფეთქება თუ რამე სხვა სახის შემზარავი პროვოკაცია, ხელისუფლება ქულებს კი არ

პაატა ზაქარეიშვილი:

# ზუგდიდის აფეთქებაზე ჩვენი ხელისუფლების როლი

განმეორდება თუ არა საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენები? — ეს კითხვა მუდმივად ტრიალებს საზოგადოებაში, რასაც ხელს უწყობს ხელისუფლებაც, როცა ცდილობს, დედაქალაქში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან ყურადღება გარეშე საფრთხეებზე გადაიტანოს; საკუთარი მოსახლეობა რუსეთით, როგორც ბავშვი — ბუათი დააშინოს. „ვისაც თბილისი ადარდება, შეუძლია მშვიდად იყოს, რუსული ტანკები ჭუბურხინჯიდან ისევ ოტობაიაში გადაუხვევენ, ხოლო ვისაც საქართველოს ბედ-ილბალი აწუხებს, მან იცის, რომ ქვეყანა, უკვე დიდი ხანია, რუსეთის ხელშია“, — აცხადებს პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი.

ბატონ პაატას ვთხოვეთ, შეეფასებინა ბოლო პერიოდში ზუგდიდში მომხდარი ტერაქტები და ახსნა, რა ქმნის იმის საფუძველს, რომ საზოგადოება გამუდმებით ომის მოლოდინსა და შიშშია.

— უკვე კარგა ხანია, თბილისში ომის საფრთხეზე საუბრობენ, მათ შორის, ხელი-სუფლებაც. ბატონო პაატა, როგორც ექსპერტი, როგორ ფიქრობთ, რამდენად მოსალოდნელია ძველი სცენარის გამეორება, მით უმეტეს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რუსეთის სამი გრანდიოზული სამხედრო წვრთნა აქვს დაგეგმილი; ერთ-ერთი მათგანი კავკასიაში უნდა ჩატარდეს. მასში ათასობით ჯარისკაცი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის, ჩვენიც კარგად ნაცნობი 58-ე არმია...

— რუსეთის მთავარი ამოცანა იყო, საქართველო ნატოში არ შესულიყო. მან თავის მიზანს მიაღწია, დაიკავა ჩვენი ქვეყნის ის ტერიტორიები, რომლის მოსახლეობაც მას ოკუპანტად არ აღიქვამს; ახლა იქ განლაგებს ბაზებს, ეს კი ყოველად მიუღებელია ნატოსთვის. შესაბამისად, რუსეთმა ისე დაინგავიდა და დააზარალა საქართველო, რომ ნატომ მის მიმართ ინტერესი დაკარგა. რუსეთს მეტი აღარ უნდა, სხვა შემთხვევაში მოუწევს, უკვე ანგარიში გაუწიოს იმ ხალხს, ვისთვისაც მიუღებელი იქნება რუსეთის ოკუპაცია. დღეს მას ეს პრობლემა არ აქვს.

— მაგრამ ცალკეული ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთს მთელ კავკასიაზე სურს კონტროლის დაწესება და, შესაბამისად, მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის ხელში ჩაგდება არაა საკმარისი მისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად...

— ქვეყანა, დიდი ხანია, რუსეთის ხელშია. ის, რისიც ამ ხალხს ეშინია, უკვე მოხდა. სახლში რომ არ გვივარდება რუსი, ეს არის მთავარი? რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ხელში ჩაგდება მთელი საქართველო დაიბრუნა და ეს საკმარისია იმისათვის, ზედმეტი ენერჯის დახარჯვის გარეშე მართოს სიტუაცია.

— ვთქვათ, რუსეთისგან აღარ არის ომის საფრთხე; მაშ, რატომ ისმის ჩვენი ხელისუფლებისგან სამხედრო რისკორიკა? რატომ აპელირებს მუდმივად, რომ შარშანდელთან შედარებით უკეთესი შეიარაღება გვაქვს და რატომ ხდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ სამხ-

ედრო კოლონების გადაადგილება?

— რუსეთისგან საფრთხე აღარ გვემუქრება, რადგან მან თავისი მიიღო. სამაგიეროდ, ჩვენი ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი, რათა ყურადღება გადაიტანოს, გააღვიძანოს რუსეთი და საქართველო ისევ საომარ მოქმედებებში ჩაითრიოს.

**ის ფაქტი, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს სააკაშვილის ბრძანებით უკანდახეული ჯარები მსხეთაში განლაგდნენ, კალიან შავერძეთაგანია. მაშინ მთელი ტაქტიკა შეიყვანეს მსხეთაში და სპატიოსნოვლის გვერდზე, მტკვრის მეორე მხარეს განლაგდნენ. სააკაშვილს იმედი ჰქონდა, რუსეთის საპარტიველოს ჯარების დევნას გააგრძელებდა, მაგრამ მისი მთავარი მიზანი იყო, რუსეთის მიმართ ინტერესი დაკარგო. რუსეთს მეტი აღარ უნდა, სხვა შემთხვევაში მოუწევს, უკვე ანგარიში გაუწიოს იმ ხალხს, ვისთვისაც მიუღებელი იქნება რუსეთის ოკუპაცია. დღეს მას ეს პრობლემა არ აქვს.**

**— მაგრამ ცალკეული ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთს მთელ კავკასიაზე სურს კონტროლის დაწესება და, შესაბამისად, მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის ხელში ჩაგდება არაა საკმარისი მისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად...**

**— ქვეყანა, დიდი ხანია, რუსეთის ხელშია. ის, რისიც ამ ხალხს ეშინია, უკვე მოხდა. სახლში რომ არ გვივარდება რუსი, ეს არის მთავარი? რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ხელში ჩაგდება მთელი საქართველო დაიბრუნა და ეს საკმარისია იმისათვის, ზედმეტი ენერჯის დახარჯვის გარეშე მართოს სიტუაცია.**

**— ვთქვათ, რუსეთისგან აღარ არის ომის საფრთხე; მაშ, რატომ ისმის ჩვენი ხელისუფლებისგან სამხედრო რისკორიკა? რატომ აპელირებს მუდმივად, რომ შარშანდელთან შედარებით უკეთესი შეიარაღება გვაქვს და რატომ ხდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ სამხ-**



რომელიც სააკაშვილის უგუნურ ბრძანებებს დაემორჩილება, რათა რუსეთთან უთანასწორო საომარი მოქმედებები განახორციელოს.

— სწორედ ჯარში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ხომ არ აპირებს, დასავლეთში მოაწვოს „გამაგრებული რაიონი“, რაც, თავისთავად, რუსეთის მორიგ გალიზინებას გამოიწვევს?

— არა. დღევანდელი ჯარი ყველანაირი პარამეტრით ჩამორჩება იმ არმიას, რომელიც 2008 წლის 7 აგვისტოსთვის გვეყავდა. ამჟამად არმიაში კომისიები ჰყავთ შეგზავნილი. სასჯელალსრულების დეპარტამენტიდან იქ დათა ახალაიას ხალხი გადაიყვანეს, რომლებიც მუდმივად ატერორებენ ჯარისკაცებს. არმია აქციეს პოლიციის ერთ-ერთ ქვედანაყოფად, რაც, რა თქმა უნდა, შეურაცხველია.

— რატომ გახდა აუცილებელი დათა ახალაიას ხალხის გადაყვანა არმიაში?

— იმიტომ, რომ არავინ გაიქცეს ჯარიდან და საზოგადოებამ ვერ შეიტყოს არმიაში არსებული პრობლემები. — ზუგდიდში მერამდენად ააფეთქეს რკინიგზა. როგორც ექსპერტი, რას ფიქრობთ, ვინ აწყობს ტერაქტებს?

— მე გმონი, ჩვენს თავს თავად ვუწყობთ ტერაქტებს. ამის მშვენიერი მაგალითებია: პირველი — ხურჩის შემთხვევა, როცა 2008 წლის 21 მაისს საპარლამენტო არჩევნების წინ ხურჩაში ორი ავტობუსი დაწვეს საქართველოს სპეცსამსახურებმა და მერე აფხაზებს გადააბრალეს, რათა მათზე გადაეჭანათ ყურადღება; მეორე — სანაკოვეზე თავდასხმა. 3 ივლისს ქუროსთან ახლოს სანაკოვეის წინააღმდეგ განხორციელდა ტერაქტი და ქართულმა მხარემ, ისე, რომ არც კი გამოიძია, არ წარმოადგინა არც ერთი ნივთმტკიცება (პირიქით, განადგურ-



## ერთადერთი დაინტერესებული მხარე, ვისაც საბერძნეთში არ სჭირდება სიფხვი, საქართველოს ხელისუფლებაა

რა), არ მიუშვია ადგილზე სამშვიდობო ძალები, ეუთოს წარმომადგენლები, გამოაცხადა, რომ სანაკოვეის წინააღმდეგ ტერაქტი ოსებმა მოაწყვეს. — ამავე მიზეზით დაიკვეს სარაბუკის მთა, რის უფლებაც არ ჰქონდათ და რამაც მოიტანა 7 აგვისტო. ოსების მხრიდან ყოველდღე ხდებოდა სარაბუკის და ქართული სოფლების დატოვება, ანუ ქართულმა პოლიტიკამ დაძაბულობა გამოიწვია და რეალურად ყველაფერი 3 ივლისს დაიწყო.

როცა წინ ისეთი საეჭვო ტერაქტები გვაქვს, რომლებმაც საქართველო გამანადგურებელ შედეგებამდე მიყვანა და ამ ფონზე ზუგდიდში სამი აფეთქება ხდება, გვაფიქრებენ, რომ ზუგდიდის აფეთქებებიც ჩვენი ხელისუფლების მოწყობილია. წარმოიდგინეთ ზუგდიდის ვაგზალზე მცხოვრებ ვიღაც ბომბუს, რომელმაც არც კი იცის, საითაა სამხრეთი და აღმოსავლეთი, სადაა აფხაზეთი, ორიენტირების ეკითხება, როგორ დავებოთ უკან — აფხაზეთში. რამდენად ლოგიკურია ის, რომ აფხაზეთიდან გადმოდის ვიღაც, შემოაქვს ასაფეთქებელი ნივთიერება ზუგდიდის ტერიტორიაზე, სადაც ყოველი ბუჩქის უკან უშიშროების თანამშრომელია, ყველა ნაბიჯი კონტროლდება (პირადად მე არ შემიძლია, ზუგდიდში ჩავიდე და კლუბში შეხვედრა დავინახო ისე, რომ მაშინვე არ ჩამიშალირი), იციან, ვინ რას აკეთებს და აწყობს აფეთქებას, მერე უკან დასაბრუნებელი გზა ავიწყდება და ვიღაც ბომბთან მიდის — აფხაზეთის გზა მიმასწავლეთ. ძალიან თეთრი ძაფით ნაკერი განცხადდება.

— საქართველოს ხელისუფლებისთვის რატომ უნდა იყოს ხელსაყრელი საკუთარ ტერიტორიაზე ტერაქტების მოწყობა? — ხელისუფლებას სურს ცენტრიდან, სადაც ოპოზი-

ცია აქციებს აწყობს და უკმაყოფილო ხალხი ქუჩაში გამოადგინოს, საზოგადოების ყურადღება მძაფრ და რთულ თემებზე გადაიტანოს. რაკი საკუთარ მოსახლეობას ვერაფრით აჯერებს, რომ რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს, ქმნის ილუზიურ ტერაქტებს. საბედნიეროდ, არავინ დალუპულა, თორემ ეს ხელისუფლება ამაზეც წამსვლელია. ხურჩის ინციდენტს კინაღამ ქალის სიცოცხლე შეენირა. ოღონდ საკუთარი სიყალბე აქციონ სიმართლედ და, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ადასტურების მსხვერპლსაც არ მოერიდებია.

— ბატონო პაატა, საკუთარი მოსახლეობა შეიძლება დააჯერო ზღაპრებში, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები გადაყლაპავენ ამ სატყუარას?

— საერთაშორისო ორგანიზაციები კარგა ხანია, მიხედნენ, რომ ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია. ზუგდიდის ტერაქტიც გაურკვეველ ვითარებაში ჩააფეთქებდა. ვის აწყობს ეს? რუსეთი შეიძლება იყოს დაინტერესებული მსგავსი ტერაქტებით? — რუსეთი, როგორც ნესრიგის დამამყარებელი ძალა, ისე შევიდა აფხაზეთში, ქმნის იქ ბაზას, ავლებს საზღვარს და, შესაბამისად, არ უნდა დასურდეს დაძაბულობის შექმნა, რადგან მსგავს შემთხვევაში მისი მშვიდობისმოყვარეობის სტატუსი ეჭვქვეშ დგება.

აფხაზები არ არიან დაინტერესებულნი. მათ არ სჭირდებათ ზუგდიდის რაიონი. ისინი კმაყოფილები არიან გალითაც და რუსების შესვლით მეტად დაცულებად გრძობენ თავს. ერთადერთი დაინტერესებული მხარე, ვისაც სამეგრელოში არ სჭირდება სიმშვიდე, საქართველოს ხელისუფლებაა. მას სურს, შექმნას ილუზია, რომ ვერც რუსები და ვერც აფხაზები არათუ ვერ აკონტროლებენ სიტუაციას, პირიქით, დაბავენ ვითარებას და ატარებენ ტერაქტებს.

— ბატონო პაატა, თქვენ საკმაოდ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებთ, რის გამოც ხელისუფლება მოლაღატეს გინოდებთ. თქვენ მიერ გამოქვეყნებული ვარაუდი თუ დაუმოქმედებიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს?

— ვინაა მოლაღატე? ვინ ჩააბარა კოდორი და ახალგორი — მე თუ მათ? რამდენიც უნდა, იმდენი მეძახონ მოლაღატე. ხომ ვიცი, რომ მართალი ვარ. ყოველთვის სიმართლეს ვამბობ და ამის ეშინიათ. — როცა ამბობთ, რომ

ხურჩის, განმუხურის, ზუგდიდის შემთხვევები ხელისუფლებამ მოაწყო, რა ფაქტებითა და ინფორმაციით ხელმძღვანელობთ?

— ლოგიკურ დასკვნებს ვაკეთებ.

— როცა ქვეყანა მართლაც კრიტიკულ ზღვარზეა, როცა გაეროს გენერალური მდივანი საჭიროდ აღარ თვლის, საკუთარ მოხსენებაში ახსენოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, თქვენი განცხადებები ერთგვარად ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავს და ასეთ შემთხვევაში ხომ არ ჯობია, ლოგიკური დასკვნებისგან თავი შეიკავოთ?

— არა. ყვირილია საჭირო. განა შეიძლება შენი სახლი ინვოდეს და არ ამბობდე, ვინ დაგინვა? ის, რაც ხდება ქვეყანაში, ის, რაც გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაშია, ის, რაც რეზოლუციებში წერია, ის, რაც გაეროს მისიასთან დაკავშირებით მოხდა — ყველაფერი სააკაშვილის დამსახურებაა. ყველაზე კარგი 2005 წლის რეზოლუცია იყო, რომელშიც აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. 2006 წლის მარტის რეზოლუციიდან კი ამოიღეს ფრაზა: „აფხაზეთის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში“. მაშინ განგამი რომ ავტეხე, პანიკორი და მოლაღატე მიძახეს. ასე ნელ-ნელა მივიღეთ 2008 წლის რეზოლუცია, რაც სააკაშვილის დამსახურებაა. ისინი ჩემს ქვეყანას ანგრევენ და როგორ არ ვილაპარაკო სიმართლედ. მათ ფეხებზე ჰკიდიათ ყველაფერი, მათთვის მთავარი ხელისუფლების შენარჩუნებაა და არაფრად სჭირდებათ ვიღაც ოპოზიციონერის სიმართლე. რაკი ხმა ვერ ჩაგვაკმენდინეს, მოლაღატეებად გამოგვაცხადეს.

— მსგავს განცხადებებს ხშირად მხოლოდ თქვენ აკეთებთ, რატომ? სხვა ექსპერტებს არ მიუწვდებთ ხელი ინფორმაციებზე?

— 15 წელია, აფხაზები მოდიან და მანვდიან ინფორმაციას. ხურჩასთან დაკავშირებით სანამ გაერო დადებდა დასკვნას, რომელშიც ეჭვქვეშ არის დაყენებული ქართული მხარის სიმართლე, მანამდე აფხაზებმა მითხრეს, რომ ტერაქტი ქართველების მოწყობილი იყო. უშიშროებიდანაც მეუბნებიან სიმართლეს, ცხინვალდანაც, სასჯელალსრულების დეპარტამენტებიდანაც, რადგან მენდობიან. მათ იციან, სიმართლეს ვიტყვი და წყაროს არასოდეს გაგვცემ.

ესაუბრა ნათია ქადაგიშვილი

# რადიკულური ოპოზიციის

ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს მასთან მკვეთრად დაპირისპირებული ოპოზიციური ძალების მარგინალიზაციისთვის. კაცმა რომ თქვას, ზონდერხელისუფლებას მთელი საქართველო „ჩაუდგა ჯიბრში“, მაგრამ ეს „თმენის ვალდებულებით დამძიმებულები“ კაი ჩიტები (სულხან-საბას განმარტებით, ჩიტის სინონიმი სირია!) არიან — ჯერ „თმენის მოთხოვნები“ განუვითარდათ, მერე კი, რაკი ევროპელმა მეთვალყურე პიტერ სემნებიმ მოუწონა და ბიძია სემმაც „ოკეიო“ შემოუთვალა, „თმენის კაიფი“ დაიჭირეს.

ზემოთ კაიფობენ. ქვემოთაც კაიფობენ, ოღონდ, თუ თავს თვითონ არ მიხედეს, იმ ტოქსიკომან ბავშვებს დაემსგავსებინან, ნებოს რომ შეისუთქავენ ხოლმე და თავი მიშას კარუსელებზე ჰგონიან.

მიშას თუ ვანოს თუ გიგის ტელეგოგონებმა და ტელე-ბიჭუნებმა იმდენი იძახეს, ხელისუფლებას რადიკალური ოპოზიცია უპირისპირდება, თვითონ „ნაც-მოდრობის“ მესვეურებმაც იმდენჯერ თქვეს, საპარლამენტო ოპოზიციასთან საუბარი შეიძლება, რადიკალურების ულტიმატუმებს კი ვერ შევასრულებთო, გიგორვი თარგამაძის და გაია თორთლაძის უმცირესობამაც დაიჯერა, რომ ოპოზიციას და არასაპარლამენტო ოპოზიციასაც რადიკალურის იმიჯი შეეკმნა.

ამ მხრივ კი განსაკუთრებით ქალები გამოირჩევიან, რომელთა შორის თავდაჯერებულობით ნინო ბურჯანაძე და სალომე ზურაბიშვილი სხვებზე უფრო გამოკვეთილები არიან.

**მას შემდეგ, რას მოხდებოდა და საფიჩხიას შორის ჯანრი კაშიას დაქვარაობა განსხვავება ნაიშალა, ამ ორმა ქალბატონმა რადიკულური მოიპარჯვეს და ისეთ საშიშროებას ქარსხსულს ატარებდნენ, გაოსდავი.**

თვითონ რა დაავიწყებდათ და ჩვენც კარგად გვახსოვს მათი ქალური დაპირისპირება, რამაც პატივცემულ ჯანრის თანამეცხველის დასაცავად ზემოთქმული პარალელი გაავლებინა.

ნინოსა და სალომეს ფონზე ტუჩებგაბუსხულ ბავშვად ჩანს ეკა ბესელია, რომელიც თავისი პარიზელი ბოსის მიბაძვით ხანდახან ხმასაც უწევს და რადიკალიზმით ანთებულს, ალბათ, მისი სიტყვების — „თქვენი მოგებულები ომის დედაც...“ — გამოვრების სურვილიც უჩნდება... არ იმეორებს, ქალია და არ მოუხდება.

**ლედი ნინო**  
ახლა ნინო ბურჯანაძე რადიკალია და იმპერატიული ტონით აცხადებს, ამიხელი სააკაშვილს საქართველო რომ ჰყვარებოდა, პრეზიდენტის თანამდებობა აგვისტოში უნდა დაეტოვებინაო. ძალიან გაცვეთილი რომ არ იყოს, ჩემი

შენ გითხარისო“ დავიმონებდი და რომელიმე ოპოზიციონერის სიტყვებს გავიხსენებდი: „ნინო ბურჯანაძეს საქართველო რომ ჰყვარებოდა, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა ნოემბერში უნდა დაეტოვებინა“. ასე რომ მოქცეულიყო, გამორიცხული არ არის, დღეს პარლამენტის წინ მიტინგები პრეზიდენტ ბურჯანაძის გადადგომის მოთხოვნით გამართულიყო.

ბურჯანაძის რადიკალურობასა თუ რედუკულურობაზე საუბარი აქვე შეიძლება და გვემთავრებინა, მაგრამ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მისი სიტყვები: „ხელისუფლება ცდილობს, რადიკალურობის იარაღი მოგვაცეროს. რადიკალურები მაშინ ვიქნებოდით, სააკაშვილის ჩამოხრჩობასა და დახვრეტას რომ ვითხოვდეთ იმისთვის, რაც გააკეთა. ტელევიზიით გადის კადრები, სადაც ჩამოთვლილია 114 სოფელი, რომლებიც სააკაშვილმა დაკარგა. ასეთ შემთხვევაში გაცილებით მწვავედაც შეიძლება ქვეყნის მთავარსარდლის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა...“

რალა „მწვავედაც“, მამანზორიშვილი, რალა „მწვავედაც“, კაცს თუ ჯერ ჩამოხრჩობ და ჩამოხრჩობილს მერე დახვრეტ (სწორედ ასე თქვა „ჩამოხრჩობასა და დახვრეტას“ და არა — „ჩამოხრჩობას ან დახვრეტას“!), ამაზე მწვავედ როგორღა უნდა დასვა „საკითხი“?

მოკლედ, გადავრითო. ხომ წარმოგიდგენიათ, ოპოზიციამ სააკაშვილის ჯერ ჩამოხრჩობა და მერე დახვრეტა რომ მოითხოვოს და, თუნდაც, ერთი ნაბიჯი გადადგას ამ მოთხოვნის შესასრულებლად, რა მოხდება? წარმოიდგინეთ პარლამენტის წინ ჩამოკონწიალებული ოპოზიციის ლიდერები? შემზარავი სანახაობაა. ნინო ბურჯანაძეს იმის გათვალისწინებაც მოუწევს, რომ, თუ ხალხი მიშას ჩამოხრჩობას გადაწყვეტს, შესაძლოა, სულმა წახდლოს და იქვე პატარა სახრჩობელებიც დადგას მისი ყოფილი თანამებრძოლებისთვის.

**მადამ სალომა**  
ახლა სალომე ზურაბიშვილის რადიკალურობაც „გაგზომოთ“ მიტინგის შკალით. სადაც ცხრა ბალს ესეც „ურტყამს“. პარიზიდან საფრანგეთის ელჩად 2003 წელს დაბრუნებული სალომე ზურაბიშვილი 2004 წელს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა პრეზიდენტმა სააკაშ-



ვილმა. მაშინ მისთვის მიშა პროგრესის სიმბოლო იყო, თუმცა მხოლოდ „ქაჯებთან“ გაყრის შემდეგ მიხვდა, რომ ეს

**ფრანგული დიპლომატიის ქუჩაში ნანათობი პარიზელი ქართველი თავის ღროზე ან „ქაჯებზე“ კარგად გამოიყენეს.**

დღეს კი მადამ სალომე აცხადებს, რომ „აქ, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს საზოგადოება დაიბადა, ხელახლა დაიბადა დამოუკიდებელი საქართველო, ისეთი, რომელზეც ოცნელი ვოცნებობდით“.

მდაა!.. რამდენჯერ შეიძლება დაიბადოს საქართველოს საზოგადოება? აღარ კმარა? მე, პირადად, მართალი გითხრათ, უკვე ვეკმარავს პოლიტიკოსების ასეთ სიბრძნეზე. ალბათ, თქვენც გკმარავთ, როცა ყოველი მიტინგისა თუ მანიფესტაციის დროს ცალკეული პერსონისგან საქართველოს ხელახლა დაბადების ამბავს იგებთ და, თანაც, აუცილებლად — ამ პერსონის ბეზაქალობით. ჯერ მიშამ დაიქსკეპი უზივა თუ დაიჩემა, რომ ყველაფერი ხდება „პირველად საქართველოში“, ახლა ესენი ეშვადებინა „ხელახლა დაბადებული“ საქართველოს „მისაღებად“, არადა, ქართველი საზოგადოებაც დაიბადა ამდენი „ჭინთებისგან“. მით უფრო, ამჯერადაც გაურკვეველია, ბიჭი გაჩნდება, გოგო თუ... მოქტანტი, როგორც 2003 წელს.

მეოცნებე სალომე ზურაბიშვილი კი რადიკალურად კატეგორიულია და ამას მისი, ცოტა არ იყოს (გაოცდები და), გულუბრყვილო განცხადება ადასტურებს: „არ იქნება არც ერთი დიალოგი არც ერთ დონეზე ისე, რომ მე იქ არ ვიყო. ამის პირობას მე ვაძლევთ! ისე, თუ ვინმეს სააკაშვილთან რომის ფეხბურთზე სურს საუბარი, შეუძლია, უჩემოდაც წავიდეს...“

ამის ნაკითხვისას ლევან გაჩეჩილაძეს ახლახან პარიზიდან სალომეს ჩამოტანილი კრუასანი გადასცდებოდა სასულემი. ეს ქალბატონ-

ნი მარტო საერთო რადიკალური პოზიციით კი არა, შიდა ოპოზიციური რადიკალიზმითაც გამოირჩევა. ესე იგი, ლევან გაჩეჩილაძე სააკაშვილს რომის ფეხბურთზე ესაუბრა, შავნაბადაზე როცა ეახლა? არადა, სხვა ინფორმაცია არსებობს და თვითონ გაჩეჩილაძეც სხვა რამეზე ლაპარაკობდა შეხვედრამდე და შეხვედრის შემდეგაც. სალომეს რადიკალურობამ შავნაბადაზე მოიტეხა რქები...

**გოგო ეკა**  
სალომეს ბეზაქალობას სერიოზულ კონკურენციას უწევს ეკა ბესელია — ადვოკატი, პოლიტიკოსი, ლიდერი... ეკაც დიდი რადიკალიზმით გამოირჩევა. მისი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილი პარიზშია და, როგორც გია თორთლაძემ თქვა, ყავასა და კრუასანებს მიირთმევს, გენმდივანი ეკა კისეთ მკვახე განცხადებებს აკეთებს, დაგზრდვლავს. იმდენი იძახა, თუ პრეზიდენტ სააკაშვილთან კვლავ გაიმართება დიალოგი, მასთან შეხვედრაზე მიმავალი პოლიტიკური ლიდერები ხალხის მანდატით ვეღარ ისარგებ-

**კვლავ ლედი ნინო**  
„როგორი ბრახუნიც არ უნდა ატეხოს სპეციალურმა რაზმებმა, ოპოზიცია მაინც გადააყენებს მიხეილ სააკაშვილს და მაინც მიაღწევს მიზანს. გუშინ (6 მა-

ღებენო, მიშაც ადგა და მხოლოდ გაჩეჩილაძე იხმო, ამ ჯგუფთან ერთად მე და შენ ვერაფერზე შევთანხმდებით, ეს ქალები აღარ დამანახო, მოდი, კაცურად შევთანხმდეთ შარშანდელივითო.“

დარჩა ეკა გალიმბული. არადა, როგორ უხდება?

**ეკამაც რა ქნას, პოლიტიკაში ფეხი ახლახან აიდგა და თავზე მებთამტეხელი ადგას „ასასივით თუ იასაულივით“.** ეს მებთამტეხელი (ოქრუაშვილი) თავის დროზე ჯერ ხაშურის გზისპირა ბორღელეს დაერია, მერე სოფლის გზები ააფეთქა მშობლიურ რეგიონში, მერე ეს ქნა, მერე ის ქნა, მერე დაიჭირეს, მერე გაუშვეს, მერე... მერე პრეზიდენტობას მოინდომებს და თუ „აგრორას ქუხილმა სივრცენი განვრორა“, ქალბატონ ფაციას, უკაცრავად ეკასაც კოჭი აღჩუხე დაუჯდება თუო ტლაშაძესთან ერთად.

**კვლავ ლედი ნინო**  
„როგორი ბრახუნიც არ უნდა ატეხოს სპეციალურმა რაზმებმა, ოპოზიცია მაინც გადააყენებს მიხეილ სააკაშვილს და მაინც მიაღწევს მიზანს. გუშინ (6 მა-

ის, — რედ.) დიდი საჩუქარი გაგვიკეთა პრეზიდენტმა და მის ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა, სრულიად უიარაღო ადამიანებს და იმ აღმადნებს, ვინც მაქსიმალურად ცდილობდნენ თავშეკავებას“, — ეს ფრაზა არა ირინა სარიშვილს ან რომელიმე ტანკზე გადამჯვდარ ამბოხებულ გენერალს, არამედ ნინო ბურჯანაძეს ეკუთვნის. არადა, „დიდი საჩუქარი“, რომელზეც ბურჯანაძე ამაყად და სიამოვნებით საუბრობს, ორ ადამიანს თვლის და კარგად დაუჯდა, ნინო კი კმაყოფილია. მისთვის მიზანი ამართლებს საშუალებას, თუმცა მისი პოლიტიკური აზროვნება მაკავიელებისგან ისევე შორს არის, როგორც მარგარეტ ტეტჩერის უკომპრომისობისა და თამარ მეფის დიდებულებისგან. მართალია, ნინო ბურჯანაძემ „რკინის ქალბატონის“ ტიტულიც შეიფერა და წმინდა მეფესთან შედარებაც არ ეუხერხულა (უფრო მეტიც, თვითონ მოსთხოვა ჟვანიას ასეთი შედარების გაცემა), მაგრამ ეს მისგან მოსალოდნელიც იყო.

ასეთი შედარებების დროს უნებურად გინდებდა სურვილი, ერთმანეთს დააკავშირო მონმარტრი და საფიჩხია, თუმცა ტყუილად, ვერაფერს იპოვი საერთო. სამაგიეროდ, ბევრი საერთო აქვთ რადიკალური ოპოზიციის მანდილოსნებს — ნინო ბურჯანაძეს, სალომე ზურაბიშვილსა და ეკა ბესელიას.

აქვთ, ოღონდ — ჯერჯერობით. მალე იმასაც ვნახავთ, როგორ მოუქნევენ ერთმანეთს რედიკულებს. ერთი თავისი გაპრეზიდენტებისთვის იბრძობებს, მეორე — საზღვარგარეთ მცხოვრების რომელიმე ქართველისთვის, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტობა ენდობება, ხოლო მესამე — აბა, ამას რალა კითხვა უნდა, „ოქრუაშვილის თქმაზე შევწყვიტოთ საუბარი... მოვა ამის დროც“.

**ბონდო მინარაშვილი**

**P.S.** როგორც უკვე იცით, სალომე ზურაბიშვილი მზადაა, პრეზიდენტის შეთავაზება მიიღოს და შს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა დაიკავოს. მადამ სალომემ ამ „მესაყუს“ ისიც დაამატა, თუკი ვანოს მოადგილე გავხდები, პოლიციის სამმართველოში დაკავებულ ახალგაზრდებსაც გამოვიყვან და აქციის დარბევის დროს წართმეულ ტელეკამერებსაც დაუბრუნებ მფლობელებსო. მერე მიაყოლა, შს მინისტრის პირველი მოადგილის პოსტზე ყოფნის შემთხვევაში ვითარების შიგნიდან გავაკონტროლებ, ტროსს ცხენის როლს შევასრულებ და პარლამენტის შენობის წინ ყოველდღიურად გამართული აქციის მონაწილეებს ანგარიშსაც ჩავუხარებო.

ზვიად ძიძიგურმა სალომეს წინადადებას „კარგი შესაძლებლობა“ უწოდა „პრეზიდენტის შეთავაზების ლუსტრაციისთვის“. ლედი ბურჯანაძე არ ენდობა ხელისუფლებას, თუმცა ენდობა მადამ სალომეს, რომელმაც „ძალიან რთული გადაწყვეტილება მიიღო“. დავით გამყრელიძის თქმით, „თუ შევა და ინფორმაციას გამოიტანს, მისასალმებელია, მიუხედავად იმისა, რომ მისი გადაწყვეტილება ლიდერებთან შეთანხმებული არ იყო“. ვიქტორ დოლიძეს ეჭვი ეპარება, რომ სალომეს მოადგილეობა ქვეყანაში ძირეულ პოლიტიკურ ცვლილებებს მოახდენს.

ასე შეხვდნენ ოპოზიციონერი კოლეგები იმ სალომე ზურაბიშვილის გადაწყვეტილებას, რომელმაც პრეზიდენტთან შეხვედრის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროში წყალიც კი არ დალია, ემანდ არ მომწამლონო. თუმცა სალომეს განცხადების სერიოზულობის არსებობა საპარლამენტო უმრავლესობაში. დავით დარჩიაშვილს სალომე, მისი „შინაგანი ტემპერამენტიდან“ გამომდინარე, ამ თანამდებობისთვის კომპეტენტურად არ მიაჩნია, პრეზიდენტი სააკაშვილი კი მხარს უჭერს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის სურვილს. საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმაც დადებითად შეაფასეს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის შესაძლო დანიშნვა შს სამინისტროში.

ახლა მოიკრიბეთ ფანტაზია და წარმოიდგინეთ დონეშემოყრილი მადამ სალომე, კატეგორიულად რომ მოსთხოვ ვანო მერაბიშვილს, შენი ხელქვეითი ზონდერები უნდა დავაპატიმროთ შავი ორშაბათის გათენებისა და ჟურნალისტების ცემისთვის... ვაი, ვაი, შენი სულია, ვანო რამდენს იციანებს?.. აი, ასე აშაყირებს პრეზიდენტი სააკაშვილი რადიკალურ ოპოზიციას და ესენიც გულუბრყვილოდ იჯერებენ მის შეთავაზებებს.

# ყველა სოკრატეს — თავისი ქსანტიკა!

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მეუღლე, ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია მტკიცე და შეუვალი პიროვნებაა. ის შემტევი ხასიათის ადამიანია. არ უყვარს უკანდახევა და გარემომოყოფთა მოსაზრებებს ნაკლებად უნებს ანგარიშს. გამორჩეული გარეგნული ხიზლი და მიმზიდველობის წყალობით მუდამ ყურადღების ცენტრში იმყოფება და ლიზიანდება, როდესაც მის იგნორირებას ახდენენ. თვლის, რომ მეუღლის მსგავსად ქვეყნის წინაშე მასაც დიდი დამსახურება მიუძღვის და შინაგან უკმაყოფილებას განიცდის, რადგან მიაჩნია, რომ მისი ღვაწლი სათანადოდ არ არის დაფასებული.



ამიტომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მან სრულიად კანონზომიერად ჩათვალა, რომ ზვიადის საქმის ერთადერთი გამგრძელებელი მხოლოდ თვითონაა. იგი სათავეში ჩაუდგა ყველა იმ ორგანიზაციას, რომელთაც ადრე ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა. ყოფილი უზენაესი საბჭოს ერთგულ წევრებზე დაყრდნობით მან დღემდე შეინარჩუნა ლიდერის მდგომარეობა. ქ-ნი მანანა არჩვაძე-გამსახურდია უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად არის დანიშნული და შესაბამის აქტებსაც გამოცემს.

ერიდება ამ დამოკიდებულების საჯარო აფიშირებას და ხშირად გაზეთების მეშვეობით თავს ესხმის მას, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ ქალბატონის ეგოისტურ მიდრეკილებებს. წლების განმავლობაში მ. არჩვაძე-გამსახურდია ასეთივე ანტაგონისტურად იყო განწყობილი ზვიად გამსახურდიას ან გარდაცვლილი უახლოესი ნათესავის — თათია ხაინდრავას მიმართაც. ის არც ამ შემთხვევაში ერიდებოდა თავისი გრძობების საჯარო გამოხატულებას. პრესაში გამოქვეყნებულია თათია ხაინდრავას სიკვდილის წინა ინტერვიუ, სადაც იგი უმძიმეს მორალურ შეფასებას აძლევს მ. არჩვაძის პიროვნებას და მის საქმიანობას.

**ნიჰანდოგლივია, რომ თვით ზვიად გამსახურდია ერთგულად მყოფი იყო ზვიად გამსახურდიას, რამაც უარყოფითი როლი შეასრულა ამ პიროვნების ბედისწერაზე. საერთოდ, ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში ქართულ რეალობაში აშკარად შეიმჩნევა პოლიტიკური ცხოვრების ერთგარი მატრიარქატიზაცია. ნინო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი, ეკა ბესელია და სხვა ქალბატონები უკვე მოგვევლინენ პოლიტიკურ დაჯგუფებათა ლიდერებად და წინამძღოლებად. ისინი უფრო ნამყვან როლებზეც აცხადებენ პრეტენზიას, მაგრამ საქმე ის არის, რომ მათ ამის არც ინტელექტუალური და არც სულიერ-ფსიქოლოგიური რესურსი გააჩნიათ.**

**არაერთხელ ჰქონია უთანხმოება. ქსანტიკას სხელი ისტორიაში დარჩა რომორც ჯიუტი და კალაუფლები მოყვარული ქალისა.**

ისიც უნდა ითქვას, რომ თავის დროზე ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია ქართულ სამეფო ოჯახებში ფეხმოკიდებულ ერთ სამწეხარო ტენდენციას. ძლიერი მეფეები ბრძანებებს ყოველთვის თავიანთი სახელით იძლეოდნენ (მაგ. „ჩუენ, მეფემან გიორგი...“), ხოლო სამეფო ხელისუფლების შესუსტების პერიოდში მეფის გვერდით დედოფალიც მოიხსენიებოდა ხოლმე (მაგ. „ჩუენ, მეფემან ირაკლი, დედოფალმან დარეჯანმან“ და ა.შ.). ამით დიდი მეცნიერი აშკარად მიგვაჩვენებდა ხელისუფლების განხორციელების პროცესში მეუღლის ან, თუნდაც, ოჯახის რომელიმე წევრის თანამონაწილეობის დამანგრეველ მნიშვნელობაზე.

**თავის დროზე, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პერიოდში, გვირს ახსოვს უზენაეს საბჭოში ხშირად სტუმრად მყოფი პრაზიციანტის მებუღა. ის არც თუ იპვიანად გამხდარა სკანდალების მიზეზი. საზოგადოებაში განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია დამოუკიდებლობის აქტის მიხედვით დიდი უხარსხულნაობის ჩაბარვით ზვიად გამსახურდია და მთელი იმდროინდელი ხელისუფლება.**

დიდი მითქმა-მოთქმას იწვევს აგრეთვე მისი აკვირებული დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას პირველი ცოლისგან შექმნილი ვაჟიშვილის — კ.ხ. გამსახურდიას პიროვნებისადმი. იგი არ

## მე შიში არ მიწოდდა

**ჩუკიანა ვებო დავალო — ლაის დავისკენ გულაბი, აშირიან გუაჩიანა ბაიროს დავაულაბი!**

ეს რა ამბავი გავიგეთ?!  
ეშმაკმა იცის, რა ხდება —  
სალომე ზურაბიშვილი  
ეკა ზღულაძე გახდება?!

ამიერიდან ხალხის მტრებს  
სალომეც გააშანშალებს...  
დილოში, პოლიციასთან  
მიტინგი კომპლით დაშალებს!

ნათელში იყოს სუყველა,  
ამ წუთებს ვინც ვერ დაესწრო, —  
დარბევას აპროტესტებენ  
„კავკასია“ და „მესტრო“.

ჯერ თუ ხელკეტებს წაგაყრის  
და მერე წყლის ჭავლს მოგიშვებს,  
მითხარით, რაღა აზრი აქვს  
დავით ბაქრაძის ბოდიშებს?

ძნელია, როცა გიტყვენ,  
შენ კი ვერა და ვერ ცხრები,  
„პადომას“ გეძახიან და  
თავზე გაცვივა კვერცხები.

თბილისში სეტყვა მოვიდა,  
ხეებს გასცივდა ფოთლები,  
ასანიძეს კი ესროლეს  
ცივი წყლით სავსე ბოთლები.

ამ ფაქტის გამო ჩემპიონს  
კინალამ შეხვდა ანგინა...  
საგანელიძემ თორთლაძეს  
ეთერში დედა აგინა!

აჟიოტაჟი არ ცხრება,  
ამტყდარა ერთი გნისი,  
მესამე დღეა, შიმშილობს  
საცოლვე ცვაურიასი!

როცა დილოში ჩხუბისას  
უფრანლისტები დაშავდნენ,  
თურმე, ჩეხეთის ელჩი და  
ერიკ ფურნიე გაშავდნენ.

ფრანგების ელჩმა სუყველას  
შემოგვითვალა „პარდონი“,  
ჩეხეთის ელჩი ის დარჩა,  
რაც ადრე იყო — ჯიგარი!

არც ნატო, აღარც დსთ  
და არც გაეროს მისია,  
ნეტა, მეზობლის მარკეტში  
პურს თუ მომცემენ ნისიად?

აქაც მაჯახეს უარი,  
მითხრეს: ნისია სხვისია!  
ნეტა, ვისია სამშობლო  
ან ლომია ვისია?

სოფლის შენებას რა უნდა?  
— პირველ-მეორე ხმა უნდა  
ან ლევან თარხნიშვილისთვის  
კარგი ჭიტლაყის კვრა უნდა!

ამბობენ, თურმე, შიმშილგან  
ველარ ყიყინებს ბაყაყი,  
რაზეც ძალიან დარდობს და  
წუხს მინაშვილი აკაკი.

მგონი, ნაკლები ჭამისგან  
ტვინი მუშაობს კუჭივით:  
კუკავამ ვისაც აგინა,  
ყველა კუკავას უჩივის!

მწარე ყოფილხარ, წყურვილო!  
ძნელი ყოფილხარ, შიმშილო!  
საქმე ჩამიწყეთ — მინდა, რომ  
ივანიშვილმა მიშვილოს!

გეგა ბაიტიანი

# გურჯანაძე დავის უფროსს წყნეთში აბარაკი არუქა

ოპოზიციაში გადაბარგებულმა პარლამენტის ექს-სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ ქართველი ხალხის წინაშე ცოდვების მონანიება, როგორც ჩანს, დაასრულა. ისე, ნებისყოფა მაქვსო, ნინომ უნდა დაიკვეხნოს. ცხრა აპრილს მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას, ხალხის სტვენისა და შეურაცხყოფილი შეძახილების მიუხედავად, მას მობოდიშება არ შეუწყვეტია. ბოდიში კი მოიხადა, მაგრამ უპასუხოდ დატოვა კითხვა — რა გააკეთა ხალხის კეთილდღეობისთვის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას?



შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ბათუმში, სასტუმრო „მედეა-დან“ გამოძევებულ დევნილებს ბურჯანაძემ მოლაღატეები უწოდა. მათი გასაჭირი მას გულთან ახლოს არ მიუტანია და დიდად არც იმაზე ფიქრით უმტვრევია თავი, როგორ იარსებებდნენ თავშესაფრის გარეშე დარჩენილები. სამაგიეროდ, „რკინის ლედიმ“ კარგად იზრუნა თავისი დაცვის უფროსის — ბურდულისთვის თავშესაფრის გამოძებნაზე. მართლაც, შესაშური გულუხეობა გამოიჩინა ექს-სპიკერმა, როცა თავის დაცვის უფროსს წყნეთში აგარაკი უსახსოვრა.

მსოფლიო“ ბურჯანაძის პრეს-სამსახურთან შეეცადა, თუმცა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. მართალია, პრესსამსახურის წარმომადგენელი დაგვიპირდა, რომ ბურჯანაძეს დაგვაკავშირებდა და ამ საკითხზე კომენტარს მოგვცემდა, მაგრამ პირობა პირობად დარჩა. ორი დღის ამაო მცდელობის შემდეგ მან ჩვენს ზარსაც აღარ უპასუხა. გაჩუქებული ბინა დაბა წყნეთში, ე.წ. რკინიგზელთა დასახლებაში მდებარეობს. აქ აფხაზეთიდან დევნილები სახლობენ. 1 ლარად შექმნილი ეს კორპუსი ბურჯანაძის „სახსახლიდან“ საკმაოდ მოშორებით მდებარეობს. 15 წელია, დევნილები წყნეთში სახლობენ და ამ ხნის მანძილზე ეს მოდათ, რომ „ეს დაკეტილი ბინა

წინოსია“, რომელსაც მეზობლად მცხოვრები დევნილი მეთვალყურეობდა. უბინოდ დარჩენილ დევნილთაგან ამ ბინის დაპატრონების მცდელობა არა ერთხელ ყოფილა, თუმცა ამაოდ, რადგან იგი ბურჯანაძის საკუთრებად ითვლებოდა. წლები გავიდა. „წინოს ბინა“ თითქოს ყველას მიავიწყდა, მაგრამ ერთხელაც, უფრო ზუსტად, ერთი წლის წინათ, სახლში გრანდიოზული რემონტი წამოიწყეს. ეს იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. მალე ახალი მეზობლის ვინაობაც ცნობილი გახდა; ის ბურჯანაძის დაცვის უფროსი აღმოჩნდა. იგი ახალ ბინაში მეუღლესთან და ორ მცირეწლოვან შვილთან

ერთად შესახლდა, თუმცა იქ დღემდე მიმდინარეობს რემონტი. ბინის ახალმა მესპატრონემ ეზოც კი შემოიღო. ფაქტობრივად, კერძო საკუთრებად აქცია. არადა, ეს ეზო ყველასია და დამატებით შემოიღვასაც არ საჭიროებდა. ამასთან, ეზოში დღემდე თავმოყრილია სამშენებლო მასალები. ჩვენ კვლავაც შევეცდებით ქალბატონი ბურჯანაძის ან მისი დაცვის უფროსისაგან კომენტარის მიღებას, უფრო მეტიც, თუ ისინი დასაბუთებენ, რომ ეს აგარაკი არ ეკუთვნის ექს-სპიკერის დაცვის უფროსს, სიამოვნებით დაგვუქდავთ მათ განცხადებას.

თუ რა დამსახურებისთვის უძღვნა ასეთი საჩუქარი ქალბატონმა ნინომ დაცვის უფროსს, ამის გარკვევას „საქართველო და

ნანა არევაკი, მაკა ქობალია

# სკრუპულოზი, სკრუპულოზი და სკრუპულოზი

„მიშა, მოვედით!“ — ორი წლის წინათ სწორედ ამ ფრთხილად შექმნილ დაიწყო ქართული ოპოზიციის შეტევა სააკაშვილის ხელისუფლებაზე. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ძმებ გაჩეჩილაძეებს სენტიმენტალიზმი მოეძალათ და საბრძოლველად შემართული ორასი ათასი მხარდამჭერი მოსესავით ეგვიპტის უდაბნოში არა, მაგრამ ხან იპოდრომის, ხანაც სამების ტაძრისკენ მიმავალ არც თუ ისე ძნელ გზაზე ატარეს. ამასობაში რუსეთმა თავისი შეიარაღებული ძალების ოთხმოცდაათი პროცენტი, ე.ი. თითქმის მილიონი ჯარისკაცი და აურაცხელი ტექნიკა გადმოტყორცნა სააკაშვილის დასამარცხებლად, მაგრამ, როგორც ეს უკანასკნელი ხშირად იმეორებს ხოლმე, მისი ხელისუფლება არა თუ არ „ჩამოიშალა“, არამედ გაძლიერდა კიდევ! ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ ჩვენი თავმოებზრებული ოპოზიციონერები, რომლებმაც განხილულ მსოფლიოს უკვე არაერთგზის აუწყეს „საკაშვილის დამთავრება“, დღეს კვლავ ერთ ადგილს ტკეპნიან და სიმბოლური საკნების დაშლა-ანგობის ფრიად რუტინული საქმიანობით არიან დაკავებულნი. მათ ჯიბრზე კი სააკაშვილი დაუფარავად აცხადებს: „ოპოზიციის ადგილზე რომ ვიყო, ამ ხელისუფლებას სამ თვეში დავამხოვდი“...

სამი თვე კი არა, ბარე ორი წელიწადი იწურება, მაგრამ ეს „ჩამოშლელი“ პრეზიდენტი ისე ურყევად დგას, „როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“. ოპოზიცია კი აშკარად დაბნეულია. მან, უკვე დიდი ხანია, ჩვეული სიმშვიდე და წონასწორობა დაკარგა, საბაგიეროდ, კვერცხები შეიძინა და ქვების სროლაც დაიწყო. ეს უკვე ცუდის ნიშანია. **ზუსტად ოცი წლის წინათ ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ ხანგრძლივი დისიდენტური საქმიანობის შემდეგ „ხალხში გასვლა“ დაიწყეს და ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღის აზვირთებას შეუდგნენ. ისინი მართლაც „შიშვნი ხელებით“ მივიდნენ ხალხთან და თან მიიტანეს ყველასთვის სანუკვარი და საოცნებო იდეალები. თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო ბევრს მხოლოდ სიზმრად ჰქონდა ნანახი, მაგრამ არსებობს ერის ისტორიული მესიერება, რომელიც მუდამ ძალზე მგრძობიარეა და შეხებისთანავე იღვიძებს, თუმცა ისიც მნიშვნელოვანია, თუ ვინ და როგორი ხელით ეხება ამ ძვირფას საუნჯეს. საქართველოში არავის გაჰყვარებია, რომ სწორედ ზვიადმა და მერაბმა იტვირთეს ეს ისტორიული მისია, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რომ ისინი სრულიად უანგაროდ იდგნენ იდეის სამსახურში. მათ არც ფინანსები გააჩნდათ და არც პრესის მხარდაჭერა უმაგრებდათ ზურგს; პირიქით, ყოველ ნაბიჯზე ათასგვარ დაბრკოლებას აწყდებოდნენ და, რაღა თქმა უნდა, დევნა-შევიწროვებაც არასოდეს დაჰკლებიათ. ყველაფერთან ერთად მათ კიდევ ერთი ღირსებაც ჰქონდათ — საოცრად განსწავლულნი და დვთისმოსავნი იყვნენ. მოკლად, ზვიადის და მერაბის მორალური ავტორიტეტი საკნებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ხალხს მათთვის ყური დაეგდო და მხარში ამოსდგომოდა. ამ ურთიერთგაგებაში იყო რაღაც ირაციონალური და, თუ გნებავთ, მისტიკური მომენტებიც. ორი „შეტქმული“ არა**

ლიდერებად, არამედ ნამდვილ ქრისტიანულ მოღვაწეებად მოველინა თანამემამულეებს და მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური მომავლის კი არა, მთელი ერის სულიერი და ზნეობრივი სახის გადარჩენაც ითავა. აქ უკვე მათი „ხელი“ ათასების, ასიათასებისა და მილიონების გულსა და გონებას უნდა მისწვდომოდა. ამისთვის კი მათ ოცდაათწლიანი განდგომის, თვითგვემისა და ჯოჯოხეთური ტანჯვის გადატანა მოუხდათ. **სულ რაღაც ორ წელიწადში ზვიადმა და მერაბმა ფეხზე დააყენეს მთელი საქართველო. ერთადერთი მონოდება, რომელიც მაშინ უცვლელად ჟღერდა მანიფესტაციებზე, თავისუფალი საქართველო იყო. სწორედ ამ იდეამ, და არა ხელისუფლებაზე პრეტენზიის გამოცხადებამ, გახდა შესაძლებელი თითქმის წარმოუდგენელი მიზნის მიღწევა — არსებული რეალობის ძირფესვიანი შეცვლა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება. ნიშანდობლივია, რომ ამ იდეის ხორცშესხმის გზაზე ორივენი დაეცნენ და დაიღვწნენ. ასეთი მსხვერპლის გარეშე არც ერთ დიდ საქმეს აღსრულება არ უნერია. ცამდე მართალი აღმოჩნდა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც ჯერ კიდევ ადრეულ წლებში წინასწარმეტყველურად შენიშნავდა: „როცა დიდ საქმეს შეეწირება მსხვერპლად მისი მესვეური, ეს მოასწავებს ამ საქმის გამარჯვებას.“ **„მიშა, მოვედით!“ — კვლავ გულშიჩამწვდომად გაჰყვირიან ჩვენი ლიდერები და არაფერ იცის, თუ რატომ, რამიზნით და როგორი ტვირთით დამძიმებული მოდიან ისინი. აგერ უკვე ორი თვე მიილია და მთელი საქართველო სულგანაბული უსმენს ამ ლიდერთა გაუთავებელ გამოსვლებს. ყველა ტელეარხი ყოველდღიურად მათ სახეებს გვიჩვენებს, გაზეთები მათი პორტრეტებითა და ინტერვიუებით არის აჭრელებული, მაგრამ ისინი მაინც წუნუნებენ, პროტესტს აცხადებენ და ბრაზობენ, — აქაოდა, ჩვენი იდეები ხალხადევე ვერ მიგვაქვსო.****



**სახელდასჯელად სიბოლური საკნების დააგზავნეს, ყალბა თითქმის ქსოვილებს შეამოიხვიეს, მებრამ ვერ იქნა და დასავლეთს თავი გაიხს ვერ მოაწონეს. ბოლოს აღგნენ და ხალხი სტალიონზე შეაკიბეს. ჩვენ, ქართველებს, სომთაჟის, „სხანაზე გამოსვლის“ მიდრეკილება ოდითგან გვახსნიათ. კოდა, ახლა გაინს კარგად შეამოგზავნეთ და სათითაოდ დაგვთავალოთ, — უთხრას დანარჩენ მსოფლიოს.**

წინაშე სამამულო ომში გამარჯვებულ ტრიუმფატორი ვით ჩამოატარეს. ასე ვიცით ჩვენ: ზოგჯერ ერის ქვეყნის რიტ მოჭრნახულეს შუბლში ტყვიას ვესვრით და არც რეალურ საკნებში წლობით გამოკეტილ ადამიანებს დავინდობთ ხოლმე... მაგრამ საკმარისია, სიმბოლურ საკანში სიმბოლურად მოთავსებულ სიმბოლურ გმირს წამოსცდეს — „ოღონდ ქვეყანამ, ერმა ჩემმა არ მიღალატოსო“ და, — ერთგულების ნიშნად უმალ კვარცხლბეკზე შემოვასკუპებთ... ის კი გვაფიწყდება, რომ ქვეყნის ამჟამინდელი უბედურება — მიხილ სააკაშვილი სწორედ ამ სიმბოლური მომდერლის სრულიად რეალური თავგამოდებით მოექცა ხელისუფლების სათავეში. ასე რომ, არც ქ-ს სალომეს გაემტყუნება, ზურაბიშვილს, ამას წინათ ფრიად ნორნამხდარმა რომ საქვეყნოდ დაიჩივლა: „ჩვენ ვდგავართ და რაღაცას ვთამაშობთო“. დიახ, ეს ყველაფერი მართლაც ცუდად დადგმულ სპექტაკლს ნააგავს. ლიდერები „რაღაცას თამაშობენ“, მაგრამ მათ დღემდე ვერ გაუგიათ, რომ სამშობლოს საკითხი სათამაშო თემა ნამდვილად არ არის. **რაკი სიტყვა თამაშზე ჩამოვარდა, „ჰამლეტის“ ერთი ეპიზოდი უნდა გავისხენო. დანის პრინცსაც ხომ ძალიან უყვარდა თამაშის ხელოვნება, მაგრამ მის მიერ დადგმულ სპექტაკლს**

ის შედეგი მოჰყვა, რომ ქვეყნის მართლები ძიებით შეპყრობილი ნამდვილი გმირი თავადვე დაიღუპა და მთელი სამეფო კარიც თან გაიყოლა. ასე გასწრა თავი ჰამლეტმა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ „დანიას საპყრობილედან ქვეყნის გათავისუფლება მხოლოდ თავგანწირვის ფასად იყო შესაძლებელი. **ჩვენს სიმბოლურ გმირებს კი, ღვთის წყალობით, მსგავსი საფრთხე ნამდვილად არ ემუქრებათ. ისინი მხოლოდ სააკაშვილის „გადაყენების“ უზენაესი იდეით არიან შეპყრობილი და დღენიდაგ მის მიერ ჩადენილ უამრავ ბოროტებაზე მოთქვამენ. შიგადაშიგ კი მასთან მოლაპარაკებებსაც მართავენ და ახალ-ახალ სანახაობებს გვთავაზობენ.**

**საკუთარს მისცას, ოფიციალურად, მთელი მსოფლიოს თვალნი დაკანონებინა თავისი კალაუფლება. არადა, ინაუგურაციის ჩაუღა და თვითმარქვინა პრეზიდენტის თამაშობა მდგომარეობაში დატოვება უმტკივნეულოდ შეიძლება. საზოგადოება მხოლოდ მოგვიანებით შეიტყუო, რომ, თურმე, ყველაფერი ოპოზიციის ზომიერად ლიდერთან კონსერვატიული ბარიერის შედეგად ყოფილა მიღწეული.**

ახლა მდგომარეობა გაცილებით მძიმეა. უზურპატორი უკვე ქვეყნის გადაულახავ საფრთხედ იქცა. გაიხსენეთ მისი საზეიმო დაპირება ინაუგურაციის ცერემონიაზე. მაშინ ხანმოკლე გამოსვლაში მან ორჯერ დაიფიცა, რომ საქართველოს მომავალ პრეზიდენტს, ე.ი. თავის უშუალო მემკვიდრეს, გაერთიანებულ და გამთლიანებულ საქართველოს დაუტოვებდა. დღეს ის ამ დანაპირების თაობაზე რატომღაც პარტიზანულ დუმის ამფობინებს. მისი ხელქვეითები კი უკვე ისრაელის სახელმწიფოს შექმნის ორიანთასწლიან ისტორიაზე მიგვიტოვებენ და იმით გვანუგეშებენ, რომ ასეთი პერსპექტივა არც ჩვენთვის იქნება ურიგო... არადა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიხილ სააკაშვილი 2013 წლამდე მართლაც დარჩება პრეზიდენტად, ამ სურვილს ასრულება ნამდვილად არ უნერია.

კიდევ კარგი, რომ ქართველებს ერთი გულთმისანი წინასწარმეტყველი გვაჩუქა ბუნებამ, რომელიც, კვირა არ გავა, ჩვენი „პრეზიდენტის“ მიერ ტაბუდადებულ ამ თემას არ შეეხოს და პოლიტიკური ლაბირინთიდან გზის გაგებაში ხელი არ შემოგვაშველოს: „არაფერიც არ დავკარგეთ! პირიქით, ვიბრუნებთ!“ — ასე ამბობს ქალბატონი ლელა კაკულია.

შენ რაღას გაჩუმებულხარ, მკითხველო?!

**თამარ ქორიკია**

# შავი ორშაბათის ქრონიკა

ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში „დემოკრატიული დასავლეთის“ მიერ ზურგშემავრებული „ნაცების“ რეჟიმი მშვიდობიანი დემონსტრანტების სისხლიან რეპრესიებს განაგრძობს; „ვარდოსანთა“ ძირგამომპალმა ხელისუფლებამ, რომელიც ავგისტოს ომისა და მით უფრო 9 აპრილის საპროტესტო აქციების დაწყებიდან სიმხდალისა და ანტიეროვნულობის განსახიერებად იქცა, სახელისუფლებო სავარძელი საკუთარი ხალხის დასასჯელ გილიოტინას დაამსგავსა. ვინაიდან მიმდინარე პროცესების შიშით დაბრმავებული სააკაშვილი 2013 წლამდე პოსტის შესანარჩუნებლად სხვა გამოსავალს ვერ ხედავს, მან პროტესტის გამოსახატავად დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში ქუჩაში გამოსულ მოსახლეობას „შავი ორშაბათი“ გაუთენა. სპეცნაზელებმა 15 ივნისს სასტიკად სცემეს სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს.



ინციდენტის დასრულების შემდეგ, რომელიც თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, შემთხვევის ადგილზე ოპოზიციის ლიდერებიც გამოჩნდნენ. ეკა ბესელიას დანახვაზე პოლიციის სამმართველოს ეზოში შეგვეფუფულმა ნილბიანებმა პროტესტის მრავალგზის ნაცად ხერხს მიმართეს და უშვერი სიტყვების ნიაღვარი მიავებეს საქმის გასარკვევად მოზრძანებულ ქალბატონს. მათ შეძახილებში იყო ისეთი სიტყვებიც, რომლებსაც ძნელად თუ გაიგონებთ „ქუჩის საზოგადოებაში“, მსუბუქი ყოფაქცევების ქალბატონთა თავშეყრის ადგილებშიც კი (მაგალითად, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ან „ჩელუსკინელების“ ხიდზე). **ბესელიას შიშვალად სამმართველოს შენობასთან დაცვის სამსახურთან დატოვების შემდეგ ბი-ოცხადლა. სივარტელე ბი-ოცხადლა, მებონა, მასაც შიშვალად დატოვებულა „ლირაული“ სიტყვებით, მებონა პირიქით მოხდა: ბურჯანაძის ავტორიტეტთან თავისი განცხადებით მისი გამორჩენის იტანა — მისი გამორჩენის იტანავე სამმართველოს ეზოში სიჩხვალად დაიხადებულა... ოპოზიციის წარმომადგენელთა შიშვალად ბი-ოცხადლა ხანს გაგრიკელა. ხანმოკლე თათბირის შემდეგ პროტესტანტი ლიდერები უსიტყვოდ დაიხადნენ და ყველაშერი ავით დასრულდა...**

საზოგადოების იმედები არ გამართლდა (თუმცა ნანოლობრიც).

**ყველას ეგონა, რომ პოლიციის სამმართველოსთან მოხდარ ინსიდანტს მხვავე რაქსინა მოყვავოდა, მებონა ოპოზიციის შეშინავული ქურდელივით გაიხუსა.**

ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ იტყვიან, რომ მიშა კურდელივით თავგანჯერქვილმა ერთ-ერთმა დემონსტრანტმა, რომელიც ოპოზიციის უსუ-სურობით უკმაყოფილო და იმედგაცრუებული, ალბათ, მეთათხვერ ბრუნდებოდა მიტინგიდან...

ბოლო ორი თვის მანძილზე, ანუ რაც 9 აპრილის საპროტესტო გამოსვლები დაიწყო, მერაბიშვილის უწყების ე.წ. ზონდერბრიგადების მიერ მომიტინგეთა დარბევის ფაქტებმა უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია. თითოეული ინციდენტი ხელისუფლებამ დემონსტრანტების მხრიდან პროვოკაციაზე სამართალდამცავთა ადეკვატური რეაგირების შეფასება მისცა, თუმცა, ბუნებრივია, საზოგადოებისთვის აბუჩად ავადებისა და თვალში ნაცრისშეყრის ტოლფასი იყო ის განცხადებები, რასაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ქალბატონი ზღუღაძე დარბევის შემდგომ თვალისდაუხამხამებლად აკეთებდა. ამის მიუხედავად, საზოგადოება მაინც ყურადღებით ისმენდა ხელისუფლების დემაგოგიურ განმარტებებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ორი თვე საკმაოდ დიდი ხანი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სააკაშვილსა და მის დამქაშებს პროტესტანტთათვის ახსნა-განმარტებების მიცემა ყელში ამოსვლოდათ...

ველოსთან მიტინგის გასამართლად მივიდნენ. დემონსტრაცია, მართალია, ხალხმრავალი არ იყო, მაგრამ, რაც მთავარია, იყო მშვიდობიანი — ახალგაზრდა პროტესტანტებს ჯიბეებში არც კვერცხები ელაგათ (როგორც წინა დღეებში პარლამენტში გამართულ მიტინგზე) და არც უშვერი სიტყვებით მიუმართავთ სამმართველოს ეზოში შეკრებილი ნილბიანებისთვის მაგრამ...

**მიტინგის დაწყებიდან სულ რამდენიმე წუთში ნილბიანებმა ეკსპრი ბრკანება მიიღეს — დასხვით, ბიჭავო, დასხვით!... მათი შეტევა, როგორც ყოველთვის, სწრაფი და მოულოდნელი იყო, იმდენად სწრაფი, რომ მომიტინგეებმა გაუჩიკაბას ვერ მოახსრეს, რა სდებოდა...**

**ინიანაღვებოგის განვავს არავის უხდია, ვინაიდან ნილბიანებს ხელქატიბი კქონდათ და რიხსოგრიკვადს გახილავით მებნი იყვნენ...**



## „სამართალდამხვავები“ კი მოლინარი სახით დაკუჩრებდნენ „ბრძოლის ველს“ ...

როცა მომიტინგეებმა უკანდახვევა დაიწყეს, „სამართალდამხვავებს“ შეიარაღებულითა მეორე (დაახლოებით ორმოცდაათკაციანი) ჯგუფი მიეშველა, რომელმაც ყიფინითა და ლანძღვა-გინებით ალყაში მოაქცია გაქცეული პროტესტანტები. როგორც კი სისხლისმღვრელი დაპირისპირება დაიწყო, ნილბიანთა ერთმა ნაწილმა ჟურნალისტებს კამე-

რები წაართვა; ზოგს კასეტები ამოაცალეს და მათივე თვალწინ დაამტვრიეს... ასევე სასტიკად სცემეს რამდენიმე ჟურნალისტი (უმეტესად „კავკასიის“ და „მესტროსი“), რომლებმაც ტელეკამერების წართმევის დროს ნილბიანებისთვის თავიანთი კონსტიტუციური უფლებების ახსნა-განმარტება სცადეს... განსაკუთრებული სისას-

ტიკით, ბუნებრივია, ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებს გაუსწორდნენ. ხელკეტებითა და ნიხლებით სცემეს დაახლოებით ოთხმოცამდე აქტივისტი და მათი ლიდერები... ნაცემ-ნაცემი ახალგაზრდები სისხლში ცურავდნენ, „გამარჯვებით“ კმაყოფილი „სამართალდამხვავები“ კი მოლიმარი სახით დაჰყურებდნენ „ბრძოლის ველს“...



**P.S. 15 მაისს დღის პირველ საათზე (ანუ საწამ სამმართველოსთან შეკრებილი მომიტინგეების დარბევა მოხდებოდა) საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის შენობასთან საპროტესტო აქცია გაიმართა. დემონსტრაციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში (ზუსტად იმავე ინტერვალში, როგორც პოლიციის სამმართველოსთან) დემონსტრანტებში ლექსუსის მარკის ჯიბი შეიჭრა და მიტინგი დაარბია. შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაზიანდა, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დრომდე მძიმეა.**

ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ავტომანქანის მძღოლის დაკავების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა, თუმცა ფაქტის თვითმხილველმა მომიტინგეებმა დაკავებული პიროვნება ვერ ამოიცნეს. ოპოზიციის ლიდერთა ვარაუდით, იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია, რომელიც, როგორც შევსტყვევით, დაკავებიდან რამდენიმე საათში გაათავისუფლეს...

ჯაბა ჟვანიძე

ყველაფერი დღის ორ საათზე დაიწყო, როცა ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები მოძრაობა „7 ნოემბრის“ ერთ-ერთი ლიდერის დაჩი ცაგურისა და მეთაურობით პოლიციის სამმართველომდე წაიყვანეს...

# მეჩაბიუვილის უწყება დავნილავს საპროტესტო აქციას მისვლა სავსეა სახელმწიფო აპარატის

ავიციტოს ომის დაწყებიდან მალე ერთი წელი გავა... აფხაზეთის ტრაგედიიდან 15 წლის შემდეგ ქვეყანას დევნილების ახალი ტალღა მოაწვია... ხელისუფლებას რომ ჰქონოდა, დევნილები ალტერნატიული ფართით დააკმაყოფილებს, თუმცა ეს მხოლოდ ხელისუფლების აზრია. რეალობა კი გაცილებით მკაცრია. მათ ვინც შს სამინისტროს მიერ დაპროექტებულ-აშენებულ გეტოებში ცხოვრებაზე უარი განაცხადა ან სხვა მიზეზის გამო „სრა-სასახლე“ ვერ მიიღო, დღემდე სხვადასხვა დაწესებულებას აფარებენ თავს, სადაც ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიც არ გააჩნიათ.

ამიერკავკასიაში, რუსეთის ჯარების ყოფილ შტაბს (ვაკე-საბურთალოს გზაზე), რომელსაც ერთი წლით თბილისის საქალაქო სასამართლო შეეხიზნა, დღეს ახალი ხიზნები ჰყავს — დევნილები სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან, ანუ, როგორც უკვე ხალხში გავრცელდა, „ახალი“ და „ძველი“ ლტოლვილები.

შენობაში, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს „მინიმარკეტი“, რომელიც ერთ-ერთ დევნილს გაუხსნია. მამაკაცები დერეფანში, მეტწილად კი, გარეთ, ნაძვარში კლავენ დროს... აყრილი იატაკი, ჩამოშლილი კედლები, დამტვრეული სანოლები, ზოგან ფანჯრის რაფა — მაგიდის ნაცვლად... — ასეთია დევნილების სამყოფელის უბადრუკი სურათი... მთავარი კი, რაზეც უნდა მოგითხროთ, წერილია შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომლითაც ვანო მერაბიშვილის უწყება დევნილებს არაორიონად აფრთხილებს, არ მიიღებს მონაწილეობა საპროტესტო აქციებში.

ასეთი „მეგობრობა“ გამაფრთხილებელი წერილების დასტა დევნილებმა 9 აპრილამდე, ანუ ოპოზიციის საპროტესტო აქციის დაწყებამდე ზუსტად სამი დღით ადრე მიიღეს. წერილში, რომელიც „საქართველო და მსოფლიომ“ მოიპოვა, საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მეოთხე ასეულის მეთაური მიხეილ დიდიშვილი ერთ-ერთ ადრესატს, ქალბატონ ნინოს (გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ) „მონივნებით“ მოუწოდებს, თავი შეიკავოს ოპოზიციის მიერ დაგეგმილ საპროტესტო აქციებში მონაწილეობისაგან. წერილის ქვეტექსტში, სტრიქონებს შორის ნებისმიერი თქვენგანი ამოკითხავს არაორაზროვან მუქარას.

„ამ შენობაში მცხოვრებთაგან მსგავსი შინაარსის წერილები ოთხმა ოჯახმა მივიღეთ; გაგაფრთხილეს, რომ აქციებზე არ გამოვსულიყავით. ეს წერილი ჩემთვის შეურაცხყოფელია, მართალია, ოპოზიცია არ მომწონს, მას მხარს არ ვუჭერ, რადგან ყველა თავის სკამზე ფიქრობს, მაგრამ აქციებზე გამოვალ თუ არა, ეს ჩემი გადასაწყვეტია“, — ამბობს ჩვენი რესპონდენტი, ქალბატონი ნინო.

ალსანიშნავია, რომ დევნილთა შორის თავიანთ პრობლემებზე საუბრის სურვილი ყველამ როდი გამოთქვა; „ვლავარაკობთ, მაგრამ რა? ამით არაფერი შეცვლილა, ჩვენი პრობლემებით არავინ შეწუხებულა.“ — ასეთია მათი პასუხი, თუმცა მათ გვერდით ისეთებიც მოიძებნა, ვინც ომიდან მოყოლებული

დღემდე დანვრილებით გვიყვება თავგადასავალს.

„დიდი ლიხვის ხეობა ქართულმა შენაერთებმა ადგილობრივ მოსახლეობაზე ადრე დატოვა, — გვიამბობს ხეობელი რესპონდენტი, რომელმაც სიკვდილს თვალეში ჩახედა, — ხეობიდან 11 ავიციტოს გამოვდივით. ოსებთან რამდენიმე ქალი მივედი თხოვნით (რადგან მამაკაცების გამოჩენა საშიში იყო), რომ კორიდორი გაეკეთებინათ, სროლები შეენწყვიტათ და ხეობიდან გასვლის უფლება მოეცათ. ამ დროს მაროდირები უკვე დათარეშობდნენ. დაგვცხრილავთ, დაგვემუქრენ ოსები. ერთ-ერთმა ჩვენგანმა სახელმწიფო მანქანა შესთავაზა... დაეჭვდნენ, მაგრამ, როგორც იქნა, დაიჯერეს. გაემიშნათ. მათ შორის ერთი ხაშურელი ოსი ერია, რომელსაც ქართველებმა, თურმე, შვილი მოუკლეს. უნდა მოგვკლათო“, — ყვიროდა „ჩვენც ხომ სხვისი შვილები ვართ, ასეთი სიმწარე გამოგვიცდია, როგორ უნდა მოგვკლა-მეთქი?“. ეტყობა, ქართველებთან წლების მანძილზე ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა და გამოგვიშვეს.

ტყით წამოვდივით, 15 კილომეტრი ფხვით ვიარეთ.



## გზაზე კაზაკები დაგვხვდნენ.

გვიტხრეს, ოსებმა რაციით გადმოგვცეს, რომ მოდიხართ; წყალი და ჩაი შემოგვართავავენ. გზა განავარძლეს. გორში ჩავედით. ჩემი შვილი დასთან მყავდა დატოვებული. იქ მისვლიდან რამდენიმე წუთში მეზობელი კორპუსი აფეთქდა, კასეტური ბომბი ესროლეს. ამის მერე გორი დაეტოვეთ და ფხვით წამოვედი თბილისისკენ.

როდესაც გორისკენ მივართებოდით, გზაში ჩვენს უშიშროებას რუსების ადგილობრივი ნაწილები მანძილზე ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა და გამოგვიშვეს. ტყით წამოვდივით, 15 კილომეტრი ფხვით ვიარეთ.

პონდენტი ჯერ სიძეს შეეხიზნა ნაქირავებ ბინაში, მერე კი გაიგო, რომ „კზაკოს“ შენობაში დევნილებს უშვებდნენ და მას შემდეგ აქაურობის ბინადარია.

ომმა სხვა ყველაფერთან ერთად სამსახურიც დააკარგვინა. სანაკოვეის ადმინისტრაციაში, ეკონომიკის სამინისტროში მუშაობდა. „საერთოდ დამალეს ეს სტრუქტურა; ახლა მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დარჩენილი. ეტყობა, ფორმალურად არიან. არადა, სამსახური ძალიან უშიშროებას რუსების ადგილობრივი ნაწილები მანძილზე ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა და გამოგვიშვეს. ტყით წამოვდივით, 15 კილომეტრი ფხვით ვიარეთ.

## ელემენტარული წამლებითაც ვერ ვეხმარები...“

კიდევ ერთი, ალბათ, უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომ დევნილებს, რომლებმაც სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ კოტეჯებზე ან 10 000 ლარზე უარი თქვეს, დევნილის სტატუსს არ ანიჭებენ: „მალე ერთი წელი გახდება, რაც დევნილები ვართ, მაგრამ ამ დრომდე დევნილის სტატუსი არ გვაქვს, რომ ის მიზეზი უნდა იყოს, რომელიც ალბათ უნდა იყოს, რომელიც ალბათ უნდა იყოს, რომელიც ალბათ უნდა იყოს...“

„კზაკოში“ შეხიზნულ დევნილებს ძალიან ანუხებთ პიტიუნი პრობლემაც. საერთო საპირფარეოებში, რომლებიც ყველა სართულზე განლაგებული, თითქმის ყველაგან მოშლილია გაყვანილობა.

# ირმა ინაშვილი: ისე დაუნდობლად გვირტყავდნენ, თითქოს პოლიციის შენობის ასაღებად მივადით

15 ივნისს თბილისის პოლიციის სამმართველოსთან ოპოზიციური ახალგაზრდული მოძრაობების აქციაზე სახელწოდებით „დაგვიჭირეთ“ ზონდერხელისუფლებამ მანიფესტანტების მოთხოვნა პირდაპირი მნიშვნელობით შეასრულა — 39 მომიტინგე დაიჭირა, მათთან ერთად კი ორ ამდენს სულ ცხვირპირი დაუნაყა. პოლიციელებმა არც ყურნალისტები დაინდეს. უფრო მეტიც, როგორც კი მათთვის ნაცნობ ოპოზიციონერ ყურნალისტს თვალს მოჰკრავდნენ, ნამდვილ ნადირობას იწყებდნენ.



ყურნალისტთა კავშირ „ოპოზიციის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი აქციას ვიდუოკამერით იღებდა, რადგან იგი დოკუმენტურ ფილმზე მუშაობს. ამის მიუხედავად, პოლიცია დაუნდობლად გაუსწორდა და აპარატურაც დაუშტურია. გუშინ იგი „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში მოვიწვიეთ და 15 ივნისის დარბევის თაობაზე ვესაუბრეთ: — ჩემს ცხოვრებაში სულ რამდენიმე განსაკუთრებით დასამახსოვრებელი თარიღია. არასოდეს დამავინყდებია 1993 წლის 16 მარტის სოხუმის დაბომბვა. მაშინაც ყურნალისტურ მოვალეობას ვასრულებდი. 27 სექტემბერს კი ჩემთვის უდიდესი ტრაგედია მოხდა — სოხუმი დაეცა. მაგრამ მაშინ, იმ ომშიც კი, დაუნერულ კანონებს ორივე მხარე იცავდა — ყურნალისტი ხელმეუხეხელი იყო. სწორედ ის დღეები გამახსენდა 15 ივნისს, როცა მშვიდობიანი მანიფესტანტების წინააღმდეგ იერიშზე წამოვიდა ძალა, რომელსაც პირდაპირ შეიძლება მტერი უწოდო. ისინი განსაკუთრებული სისასტიკით მოქმედებდნენ. მათთვის სულ ერთი იყო ჯან-ლონით სავსე ახალგაზრდა კაცი და მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებიც იქვე, მაღაზიაში ნაყინს ყიდულობდნენ, მიკროფონიანი ყურნალისტები

და ხელჯობიანი მოხუცები, რომლებიც იმ დროს ქუჩაში აღმოჩნდნენ. ჩვენ დავიპირისპირდა რალაც მონსტრი, რომელსაც მხოლოდ ცხოველური ინსტინქტები ამოძრავებდა. — მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ არა ერთხელ განაცხადა, რომ ძალას არ გამოიყენებდა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ, გასაკვირი იყო ასეთი დაუნდობელი ანგარიშსწორება, მით უმეტეს, ყურნალისტების მიმართ... — მეტსაც გეტყვით. გასაკვირი კი არა, სრულიად არაადეკვატური იყო მათი მოქმედება. მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს და იქ მყოფ

ყურნალისტებს დარბევის მოლოდინი რომ გექონოდა, ჩვენც მომზადებული დავხვდებოდით — ტექნიკას და გადაღებულ მასალას მაინც გადავარჩინეთ. აბსოლუტურად მოულოდნელი იყო მათი თავდასხმა. არც ქუჩა იყო გადაკეტილი და არც მოთხოვნები და პროტესტის ფორმები იყო კანონსაწინააღმდეგო. ისე დაუნდობლად გვირტყამდნენ, თითქოს პოლიციის შენობის ასაღებად მივადით. ისინი განსაკუთრებით ყურნალისტებს და ოპერატორებს დავგვედნენ; ამტვრევდნენ ფოტო- და ვიდეოკამერებს, ანადგურებდნენ კასეტებს. ჩემი დანახვისას 20-25 წლის უნილბო სპეცრაზმელნი, რომელსაც აუცილებლად ვიცნობ, თუკი სადმე შეგხვდება, დაიძახა: ეს ირმა ინაშვილია, ყურნალისტი და კამერის ნართმევას შეეცადა. წინააღმდეგობა რომ გავუწიე, ყელში მგვდა და „დუბინით“ მირტყამდა. კამერა რომ ვერ გამაგვებინა, მარჯვენა ხელში კასეტები ჩამარტყა. მყისი გამოიწვია და კამერა გაგივარდა. ხელი სტაცა და დალენა. ძირს დავეცი, სპეც-

რაზმელმა დაიძახა, მოსაკლავიო და სხვებსაც მოუხმო. ერთ-ერთ სპეცრაზმელს შევეციოლე და გადაამარჩინა.

— როგორც ჩანს, იმათშიც ურევია ადამიანები... — ჩემი მაგალითიც ადასტურებს, რომ მათ შორისაც არიან ისეთები, რომლებსაც ადამიანური სახე არ დაუკარგავთ. ტყუილად ჰგონია სააკაშვილს და მერაბიშვილს, რომ დიდხანს შეინარჩუნებენ ხელისუფლებას. ამ სპეცრაზმელებს შორისაც არიან ადამიანები, რომლებიც კარგად აცნობიერებენ, რა დანაშაულისკენ უბიძგებს მათ ეს რეჟიმი.

მინდა, ისიც ვთქვა, რომ მიუხედავად დიდი პატივისცემისა კოლეგებისადმი, არ ვიზიარებ „მაესტროს“ და „კავკასიის“ პროტესტს. როცა ქვეყანაში ასეთი მძიმე ვითარებაა, არხების გათიშვა აბსოლუტურად მიუღებელია. ხალხი სიმართლის მოსმენას ელოდა, მათ კი ადამიანებს ეს უფლება წაართვეს.

ესაუბრა ბონდო მიინარაჰვილი

# პოლიციის გადაღწივით საპატრიარქოს დასვის თანამშრომელი მოკლა

სანდრო გირგვლიანი, ბუტა  
რობაქიძე, ზურა ვაზაგაშვილი,  
გიორგი გამცემლიძე...  
პოლიციის მიერ ჩადენილ  
მკვლელობათა რიცხვს მორიგი  
მსხვერპლი, 30 წლის მამუკა  
(ლენიძე) ჩხარჩხალია შეემატა.  
შს სამინისტრო  
საზოგადოებისთვის თვალში  
ნაცრის შეყრას განაგრძობს და  
განზრახ ჩადენილი  
მკვლელობის ჩაფარცხვას  
ცდილობს. პოლიციელის  
იმიჯის შესანარჩუნებლად  
მკვლელის, ვაკე-საბურთალოს  
მე-3 განყოფილების უფროსის,  
სერგო სუხიშვილის ტყავის  
გადარჩენას ცდილობს.



## მოკლულს ოჯახი პროტესტის ნიშნად მიხვალაბულს დაგზიონარს არ აპირებს

შს სამინისტროს ოფიციალურ  
რი ვერსიით, „შინაგან საქმეთა  
სამინისტროს თანამშრომელმა,  
სერგო სუხიშვილმა სამსახურე-  
ობრივი მოვალეობის შესრულე-  
ბის დროს, მასზე განკუთვნილი  
ტაბელური იარაღიდან მოახდინა  
ერთჯერადი გასროლა, რა  
დროსაც ადგილზე გარდაიცვალა  
სახელმწიფო დაცვის სპეცია-  
ლური სამსახურის თანამშრო-  
მელი, 1979 წელს დაბადებული  
ლენიძე გულადის ძე ჩხარჩხა-  
ლია. სერგო სუხიშვილი დაკავე-  
ბულ იქნა შინაგან საქმეთა სამი-  
ნისტროს მიერ. საქმეზე გამოძი-  
ებას აწარმოებს ქ. თბილისის  
პროკურატურა“.

მოკლულის ოჯახი აღფრთოე-  
ბულია შს სამინისტროს ამ გან-  
ცხადებით, რადგან დარწმუნე-  
ბულია, რომ მათი შვილი განზ-  
რახ მოკლეს. ნათესავები ობიექ-  
ტურ გამოძიებას და დამნაშავეს  
დასჯას ითხოვენ.

ჩვენთან საუბარში მამუკას  
დედა დოდო ჩხარჩხალიამ გა-  
ნაცხადა:  
**„ერთი შვილი გყავდა.  
დადიხარა  
მოვიქლას...  
არ დაგვარხავ...  
ფხვით ჩამოვალ  
თბილისში!“**

ადვილი წარმოსადგენია შვილ-  
მკვდარი დედის მდგომარეობა.  
მან საუბრის გაგრძელება ვეღარ  
შეძლო.

მოკლული მამუკა ჩხარჩხალია  
ჩხორჩხალის რაიონის სოფელ ხა-  
ბუმედან იყო. იგი საპატრიარქოს  
დაცვის თანამშრომელი გახლ-  
დათ, პარალელურად, სამშენ-  
ლო კომპანია „კიდ-არქიტექტურ-  
რაშიც“ მუშაობდა.

შეგახსენებთ, მკვლელობა 15  
ივნისს, ნუცუბიძის პირველ  
კვარტალში, რესტორან „ქვევრ-  
სა“ და „კიდ-არქიტექტურის“  
სამშენებლო ობიექტს შორის  
მდებარე ჩიხში მოხდა. ამ დროს  
ჩხარჩხალია ობიექტს დარა-  
ჯობდა.

რომლის შესახებაც მკვლელო-  
ბის ღამესვე აცნობა გამოძიებას.  
ირაკლი კეკეუა: **„დღის ოთხ  
საათზე დედის ბიძაშვილმა, ტა-  
რიელ ანთიამ დაძვინა. ის და  
მამუკა დაბადების დღეზე მი-  
დიოდნენ და მათ მოსვლამდე  
ობიექტზე დარჩენა მთხოვა.  
ლამის თერთმეტის ნახევარზე  
მამუკა სამსახურში მოვიდა.  
საკმაოდ ნასვამი იყო. დაახლო-  
ებით ხუთ წუთში ისევ წასვლა  
მოინდომა; სიგარეტი არ მაქვს  
და ვიყიდოთო. ერთად ჩავედით  
იქვე მდებარე ჯიხურთან, სა-  
დაც მამუკა სიგარეტს ხშირად  
წილიდა იღებდა, თუმცა იმ და-  
მეს გამყიდველმა წილიდა სიგა-  
რეტის მიცემაზე უარი უთხრა:  
ხვალ სმენა იცვლება და ვერ  
მოგცემო. მამუკამ თხოვნა მე-  
ორედაც გაუმეორა. უარის მი-  
ღების შემდეგ გაბრაზდა და სა-  
რეკლამო აბრას ხელი დაარ-  
ტყა. დამშვიდება დაუწყებ და  
გზის მეორე მხარეს გადავიყვან-  
ე. არ დამემორჩილა და ისევ  
ჯიხურთან მიბრუნდა, გამყიდ-  
ველს ხმამაღლა ლაპარაკი და-  
უნყო. დავამშვიდე და ერთად  
ავუყევით სახლისკენ მიმავალ  
ჩიხს. მერე პატარა ძელსკამზე  
ჩამოვხედით. რამდენიმე წუთ-  
ში ორი უცნობი მამაკაცი მოვი-  
და. ერთს შავი მაისური (სუხიშ-  
ვილი. — რედ.), მეორეს კი ღია  
ფერის პერანგი ეცვა. მოგვიახ-  
ლოვდნენ, არც კი უთქვამთ,  
რომ პოლიციელები იყვნენ,  
პირდაპირ მამუკას მიმართეს:  
„შენ ხარ ის ძველი ბიჭიო?“**

ამ დროს შავმა მაისურმა მამ-  
მუკას ყელში სწვდა, დახრჩობა  
დაუწყო. მამუკამ დაარტყა და  
მოიშორა. ისევ გაიწია მისკენ.  
მამუკას ვერ ერეოდნენ, ყველა-  
ფერი წამებში მოხდა.

**შავმა მაისურმა  
იარაღი როდის  
აგორა, არ ვიცი,  
მაგრამ დაინახე,  
როგორ გადატანა და**

### მამუკას პირდაპირ თავში ესროლა.

ჩვენ მისაშველებლად გავიწი-  
ეთ, მაგრამ ღია პერანგის გვა-  
კავებდა. ამის მერე ისინი ქვე-  
მოთ, ვაჟა-ფშაველასკენ დაეშ-  
ვნენ. უკან გაყვევით, გზაზე ტა-  
რიელი შეგვხვდა, რომელსაც  
ვუთხარი, რომ მამუკას ესრო-  
ლეს და არ გავეუქვინე-მეთქი.

**ამ დროს  
15-20 პოლიციელი  
მოხვიდა, ყველანი  
მთვრალეები იყვნენ.  
ადგილზე მივიდნენ,  
მკვდართან  
მიხვალაბის უფლება  
არ მოგვცა.  
ამ არაულობაში  
შავმა მაისურმა  
სადაც უნდა, არ ვიცი.**

გავიგეს თუ არა, რომ მკვლე-  
ლობას შევესწარი, პოლიციე-  
ლებმა მანქანაში ჩამსვეს და ქა-  
ლაქის სამმართველოში წამიყ-  
ვანეს დასაკითხად. მათ ყველა-  
ფერი მოუწყვეს“.

ჩვენს შეკითხვაზე — თუკი გა-  
მოძიებამ სიმართლე იცის, რამ  
განაპირობა შს-ს რადიკალუ-  
რად განსხვავებული ვერსია  
მომხდართან დაკავშირებით —  
ასეთი პასუხი მივიღეთ: „სამსა-  
ხურში პოლიციელი მთვრალი  
არ დადის. როგორც მერე გავი-  
გე, ისინი რესტორან „ქვევრში“  
ქეიფობდნენ. თუ სამსახურე-  
ობრივ მოვალეობას ასრულებ-  
დნენ, ჯერ შავში დაუმიზნა, ფხვ-  
ში მაინც ესროლა. უიარაღო  
კაცს როგორ უნდა ესროლოს  
პოლიციელმა?!“ — ამბობს ირ-  
აკლი კეკეუა.

დღიდან მეგობრის მანქანით  
დაბრუნდნენ. მამუკა ობიექტზე  
დატოვეს:

**„ჩემს მეგობარს ფული  
უნდა მოეხა, 50 ლარი  
და „კოკულში“  
ჩავედით.  
იქიდან ფხვით  
ნამოვადი  
სამსახურისკენ.  
გზაზე ირაქლი  
დავინახე, რომელიც  
ჩამაქან მოგვრდა.  
მითხრა, ჩვენიანს  
ესროლესო.  
დაამანხა ვიღაც  
შავმა მაისურმა,  
როგორც ბაბოდა,  
ამან ესროლაო“.**

როგორც მან აღნიშნა, ოჯახი,  
სამეგობრო, სანათესაო მომხ-  
დართან დაკავშირებით შს-ს მი-  
ერ გავრცელებული ვერსიით აღ-  
მფრთხილები არიან და ობიექ-  
ტურ გამოძიებას ითხოვენ.

„ახლა ისეთ მდგომარეობაში  
ვართ, რომ ყურადღებას ვერა-  
ფერს ვერ ვაქცევთ, თუმცა ტე-  
ლევიზიით გავიგეთ შეთითხნი-  
ლი ვერსიების შესახებ. მშობ-  
ლები გაფრთხილები არიან და  
მკვდრის დამარხვას არ აპირე-  
ბენ; ამბობენ, თბილისში ჩამო-  
ვასვენებთო. სჯობს, სიმართლე  
თქვან, თორემ ამას კარგი არა-  
ფერი მოგვყვება და საქართვე-  
ლო კი არა, მთელი მსოფლიო  
გაიგებს მომხდარის შესახებ.“

როგორც ამბობენ, სამსახურე-  
ობრივი მოვალეობის დროს  
მოკლულს, როდესაც მკვლელი  
რესტორან „ქვევრში“ შვილის  
ნათლობას აღნიშნავდა და იქი-  
დან გამოვიდა. ეს რესტორანში  
დამონტაჟებულმა ვიდეოკამე-  
რებმა დააფიქსირა“, — ამ-  
ბობს ანთია.

### „ვარსკვლავების აკადემიის“ გარდაცვლილი თანამშრომლის ოჯახი „რუსთავი 2“-ს ობიექტს უკანა სტოპს

პროექტ „ვარსკვლავების აკადემიის“  
შენიშნული ჩამონგრევის შედეგად  
გარდაცვლილი ნიკა გელაშვილის  
ოჯახი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს  
გამოძიების მსვლელობის  
მიჩქარებასა და კომპანია  
„არტიქსისთვის“ ხელის დაფარებაში  
ადაწინააღმდეგებს. ამასთან  
დაკავშირებით დალუპულის ოჯახმა  
ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის  
შენიშნულთან  
აქცია გამართა.

ნიკა გელაშვილის მეუღლის თეა კახია-  
ნის განცხადებით, შენობის ჩამონგრევის  
მიზეზზე ექსპერტიზის დასკვნა უკვე  
დადებულია, რომელშიც ნათვალია, რომ  
შენობა კომპანია „არტიქსის“ მიერ ჩატა-  
რებული სამუშაოების გამო ჩამონგრეა.  
ამის გამო მისი ერთ-ერთი თანამშრომე-  
ლი დააკავეს, „რუსთავი-2“ კი ამ ინფორ-  
მაციას შეგნებულად არ აუშუქებს, რადგან  
აღნიშნული კომპანია დავით კეზერაშვი-  
ლის მეუღლისა და გიგა ბოკერიას მეუღ-  
ლის დის სახელზეა გაფორმებული.

„შენობის ჩამონგრევის დროს ხომ სწო-  
რედ ამ ტელეკომპანიის თანამშრომლები  
დაიღუპნენ? მათგან მხოლოდ გამოძიების  
პროცესის გააუმჯობესებლად მოვიტხოვთ. რო-  
გორც ჩანს, ტელეკომპანია სამშენებლო  
კომპანია „არტიქსის“ ინტერესებს იცავს,  
რადგან „არტიქსის“ დამფუძნებლები არი-  
ან, ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით  
კეზერაშვილის ცოლი და საგარეო საქმე-  
თა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერიას  
ცოლის და,“ — აცხადებს თეა კახიანი.

გარდაცვლილი ნიკა გელაშვილის ოჯა-  
ხის წევრებმა ტელეკომპანიის შენობას-  
თან პლაკატები გააკრეს წარწერით: „ვის  
ინტერესებს იცავს „რუსთავი-2“? გააშუ-  
ქეთ გამოძიების მსვლელობა!“

### „აღამიანის უფლებათა ხელისუფლების ხელის და დაგზიონარის ფაქტებს გეგონს

როგორც ცნობილია, აქციის  
მონაწილეების გარდა სამმართველოს  
შენიშნული გამოხდის პოლიციის  
თანამშრომლები ურუნღის ტყეებზე  
სასტიკად გაუსწორდნენ.

ნაცემია ტელეკომპანია „მეგისტროს“  
შურნალისტი თეონა ლალიაშვილი და  
ოპერატორი სერგი ბარამიძე. ფიზიკური  
შეურაცხყოფა მიაცენეს და კამერა წაარ-  
თვეს ტელეკომპანია „კავკასიის“ გადამ-  
ღებ ჯგუფსაც.

„აღამიანის უფლებათა ცენტრი“ შემ-  
ფრთხილებს გამოთქვამს შურნალისტების  
მიმართ ძალის გამოყენებაზე. ორგანიზა-  
ცია მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს  
მოახდინონ სასწრაფო რეაგირება კანონ-  
ით დადგენილი წესით.

„აღამიანის უფლებათა ცენტრი“ გმობს,  
აგრეთვე, პოლიციის სამმართველოს შე-  
ნობის წინ მშვიდობიანი საპროტესტო აქ-  
ციის მონაწილეების დარბევისა და დაკა-  
ვების ფაქტებს.

„აქციის მონაწილეები დღეს დილით  
სამმართველოს შენობასთან დაკავებული  
აქციისტების გათავისუფლების მოთ-  
ხოვნით შეიკრიბნენ. აქციიდან 2 საათის  
შემდეგ სამმართველოს შენობიდან ორა-  
სამდე დუბინკებით შეიარაღებული პოლი-  
ციელი გამოვიდა და აქციის მონაწილეებს  
სასტიკად გაუსწორდა. ამავე დროს, და-  
ჭერილია მოძრაობა „9 აპრილის“ ერთ-ერ-  
თი აქტივისტი დაჩი (ვაგურობა და კიდევ  
რამდენიმე ადამიანი, რომელთა ვინაობაც  
ჯერ-ჯერობით გაურკვეველია“, — ნათ-  
ქვამია უფლებათა დამცველი ორგანიზა-  
ციის განცხადებაში..

„აღამიანის უფლებათა ცენტრი“ შემ-  
ფრთხილებს გამოთქვამს მშვიდობიანი დე-  
მონსტრანტების მიმართ ძალის გამოყე-  
ნებაზე. ორგანიზაცია მოუწოდებს შესა-  
ბამის ორგანოებს, მოახდინონ სასწრაფო  
რეაგირება კანონით დადგენილ წესით.

ნანა არაგვიანი  
მედიკოსი

# რას მოვიპოვებთ, ღავითარ...

რუსეთი საქართველოს ამჟამინდელ რეჟიმთან დიპლომატიის გამართვას არ აპირებს, რაც ძალიან ცუდია. ცუდია, როგორც ის „დიპლომატია“, რომელიც რუსეთის მისამართით მხარე-მხარე რეპლიკებით იწყება და ასევე მთავრდება. ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ჯერ არავის მოუსმენია სერიოზული განსჯა რუსეთთან საქართველოს სახელმწიფოებრივი ურთიერთობის პერსპექტივის შესახებ.

არსებობს კი სახელმწიფო პოლიტიკა ჩრდილოეთის მიმართულებით? რა მოგახსენოთ. მით უფრო საინტერესოა, რა პოზიცია აქვს რუსეთს საქართველოსთან დაკავშირებით.

PIA Новости იტყობინება, რომ რუსეთი საქართველოსთან დიპლომატიის მზად იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ ქვეყნის სათავეში ახალი ხელმძღვანელობა მოვა. ჩინეთის ცენტრალური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთის დამოკიდებულება საქართველოში მოქმედი რეჟიმის მიმართ არ შეცვლილია.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ პოლიტიკურმა რეჟიმმა ჩაიდინა დანაშაული და მასთან საერთო არაფერი გვაქვს. მაგრამ ამასთან, ბუნებრივია, რომ იმ არჩევნების შემდეგ, რომლებიც საქართველოში ადრე თუ გვიან გაიმართება, მზად ვიქნებით, დავუბრუნდეთ სხვადასხვაგვარი საკითხების განხილვას, თუ ქართველი ხალხი აირჩევს ახალ ხელმძღვანელობას, რომელსაც ექ-

ნება უნარი, გამართოს მეგობრული დიპლომატიის რუსეთთან და საქართველოს სახელმწიფოს ახლო მეგობრულთან — სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხალხებთან“ — განაცხადა მედვედევმა.

რუსეთის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ „ყველაფერი, რაც მოხდა, არის იმ უპასუხისმგებლო, დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგი, რომელსაც საქართველოს ხელმძღვანელობა იმ პერიოდში განახორციელებდა“.

ჩინელი კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ როგორ აფასებს რუსეთის პრეზიდენტი ვაშინგტონის დამოკიდებულებას სამხრეთ ოსეთის გარშემო შექმნილი ვითარებისადმი, მედვედევმა უპასუხა, რომ აშშ-მ დაიკავა საკმარისად ხისტი პოზიცია.

„ბოლოს და ბოლოს, ეს მათი საქმეა. ჩვენ ჩვენი განწყობილება მივიღეთ დამოუკიდებლად, იმედი არ დავგიჟებოთ იმაზე, რომ ვინმე ამ საქმეში მხარს დაგვიჭერდა, რადგან ეს იყო ჩვენი პუბლიკური, თუ გნებავთ, ზნეობრივი ვალი ამ სიტუაციაში“, — განაცხადა მედვედევმა.

# საქართველის ღოგისებრი ეპროსაბჭოს კოიისის დასკვნას მალავენ



პროვინციულ კაროუნასავით ტელევიზორში თავგამოყოფილმა პოლიტიკოსებმა რაგინდ ხშირ-ხშირად გვიმტკიცონ, ავგისტოს ომი ჩვენ არ დაგვინყიო, საერთაშორისო ელექტრონული მედია, ამტკიცებს, რომ ჩვენები სიმათლეს არ ამბობენ: ოფიციალურ თბილისის ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შენევის 1949 წლის 12 ავგისტოს კონვენციის რიგი პუნქტების დარღვევაში ადანაშაულებენ.



ეს კონვენცია, ისევე, როგორც საერთაშორისო სამართლის პრესტიჟი საერთოდ, ამ ბოლო პერიოდში საკმაოდ შელახულია და წინა პლანზე გამოსულია ომის უფლება, რაც წარმატებით გამოიყენეს იუგოსლავიაშიც და კავკასიაშიც, მათ შორის, ცხინვალის კონფლიქტურ რეგიონში. და მაინც, სწორედ ამ კონვენციით დგინდება ის ზღვარი, რომლის გადალახვა დაუშვებელია, ასევე, — კონფლიქტის მონაწილეთა ბრალეულობა პოსტფაქტუმ.

ნას? გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მოგესხენებათ, მაგრამ პერსპექტივისთვის, საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისთვის, ალბათ, მნიშვნელოვანია. ავგისტოს ომის მიზეზების შემსწავლელი სპეციალური კომისია, რომელიც თბილისის ინიციატივით შეიქმნა, სწორედ ამის გარკვევითაა დაკავებული. კომისიის წევრების აზრით, რომელმაც ოფიციალურ მოხსენებამდე გამოაჟონა, ამ შეიარაღებულ დაპირისპირებაში კონკრეტული დანაშაულებები საქართველოს მხარეა, რომელმაც და-

არღვია რიგი საერთაშორისო აქტების მოთხოვნები და გადალახა ის ზღვარი, რაც პრინციპულად დაუშვებელია მიჩნეული. ოფიციალურ თბილისს ბრალად ედება, აგრეთვე, ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის აუცილებლობის იგნორირება, რაც ზემოთ უკვე გვქონდა მითითებული.

თუ ეს ინფორმაცია ზუსტია, მაშინ საქართველოს ხელისუფლებას მსოფლიო საზოგადოებრიობის მხრიდან სერიოზული ბრალდების საშიშროება ემუქრება.

ევროსაბჭოს კომისიის შედეგს დიდი რეზონანსი მოჰყვა ევროპის სახელისუფლებო წრეებში, მაგრამ სადაა კომისიის დასკვნა, რომელიც ევროსაბჭოში დამკვიდრებული წესითა და პრაქტიკით საჯარო დოკუმენტია და აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს? ეს სტანდარტული მოთხოვნაა. ირკვევა, რომ გამოძიების მასალები მზადდება კიდევ გამოსაქვეყნებლად, მაგრამ ამ ტრადიციულ პროცედურას წინ დაელოდა გარკვეული პოლიტიკური ძალები კომისიის შეგნით და ევროპარლამენტში. მათი არგუმენტი:

არასაკმარისადაა დამუშავებული საველე გამოკვლევები და, აგრეთვე, რუსეთის ანგაჟირება, ხოლო ამ დოკუმენტის ფართო საზოგადოებაში გაუვრცელებლობის იდეა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოდის.

დოკუმენტი ჯერჯერობით არ ჩანს. საეჭვოა, წაგვაკითხებენ, თუ საერთოდ გადავიწეროთ იმედი? — არაო, ვარაუდობენ, რადგან ევროპის საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატიული პარტიების გამარჯვებამ შექმნა ისეთი ფონი, რომელიც დააჩქარებს კომისიის დასკვნის პუბლიკაციას: ევროპა შედის ისეთ სტადიაში, როცა აშშ პოლიტიკურ ფარგატერში სიარული მოდიდან გამოდის.

ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო შეიძლება იყოს ერთი მომენტიც:

შენევის კონვენციის მესამე მუხლში არის პუნქტი, რომელიც კრძალავს ადამიანის ღირსების ხელყოფას, კერძოდ, შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ მიმართვას. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის რიტორიკულ ტონს თუ გავითვალისწინებთ, კონფლიქტამდე და მის შემდგომ, აგრეთვე, რიგ პრეცედენტებს, რომლებიც შეინიშნება აქვთ საერთაშორისო ექსპერტებს, არავის ეჭვი არ ეპარება, რომ საქართველოს მხარე დაარღვია ეს დებულება.

ჭეშმარიტად: ენაგრძელობამ რა მიყო და თავში რაკუნით.

# რა ჩიტი ღავიჭირათ დსთ-დან გაოსვლით?

თითქმის არალეგალურად გამართულ სხდომაზე საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან ჩვენი გამოსვლის შესახებ.

შესვლისგან განსხვავებით, რაც თავის დროზე დიდი ვნებათაღელვის საგანი იყო, გამოსვლა ისე მშვიდად განხორციელდა, თითქმის არავის გაუგია. იქნებ, არც აინტერესებს არავის?

ჩვენთან ასეა. დასავლეთი კი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული ტრანსნაციონალური ნავთობ- და გაზსადენების უსაფრთხოებით, რასაც საქართველოს დსთ-ში ყოფნაც უზრუნველყოფდა. ეს დაინტერესება ბუნებრივია: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამუშავება 2006 წლის მაისში მიჩნეულია იმ დიდი ძალისხმევების დაგვირგვინებად, რომელიც დასავლეთმა კასპიის ნავთობის დასავლეთის მიმართულებით გადაქაჩვას მოახმარა და რაც 3,6 მილიარდი დოლარი დაუჯდა.

ავგისტოს ომმა დაძაბა საქართველოს ურთიერთობა აზერბაიჯანთან, რაც მანამდეც ვერ ჩაითვლებოდა იდეალურად. რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფრონტაციამ სერიოზული ზარალი მიაყენა ნავთობის ექსპორტს აზერბაიჯანთან.

ეს არ იყო მხოლოდ ეკონომიკური პრობლემა არამარტო საქართველოსთვის, რომელსაც 2008 წელს 45 მილიონ დოლარამდე მოგება უნდა მიეღო ნავთობის ტრანზიტით, და არც აზერბაიჯანისთვის, რომელმაც ამ პერიოდში ვერ შეძლო ნედლი ნავთობის 17 მილიონი ბარელის ექსპორტირება, რის გამოც, აშშ ენერჯეტიკის სამინისტროს შეფასებით, საერთო ჯამში 1 მილიარდი დოლარი იზარალა, არამედ ამან გამოიწვია სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ნორმალური კალაპოტიდან ამოვარდნა.



„ამრიგად, — შენიშნავს „United Press International“, აშშ, — დსთ-ში დარჩენილი ქვეყნები არჩევანის წინაშე დადგნენ: 18 ავგისტოს შემდეგ განაგრძონ ურთიერთობა საქართველოსთან ისე, თითქოს არაფერი მომხდარა და ამით ფარულად მოინონონ თბილისის კონფრონტაციული პოლიტიკა მოსკოვთან მიმართებაში, რითაც რუსეთის მრისხანება დაიმსახურონ, თუ აღიარონ კავკასიაში მედვედევის „პრივილეგებული ინტერესები“, თუმცა მსოფლი-

ოს ამ ნაწილში ძალიან ბევრი რამაა გაურკვეველი. შარშანდელმა საომარმა დაპირისპირებამ სერიოზულად დააფიქრა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები იმაზე, თუ რა შეიძლება დაეძარცვოს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, რომლებიც უგულვებლყოფენ მოსკოვის შემფოთებას და ზედმეტად შორს მიდიან დასავლეთის მიმართულებით“.

# გზიარა? მოითბე ხელი ომის ხანაარზე!

როგორც ჩანს, ომი მუდმივი თანმდევია კაცობრიობის ისტორიის. წარსული — თავისთავად. მომავალზე ლაპარაკი. მშვენიერი ელენეს როლი ამჯერად ენერჯორესურსები მოგვევლინება. ანექლოტი არცთუ შორეული მომავლიდან: 2015 წელი. ავტომანქანების ბენზინგასამართ სადგურებზე პლაკატები ჰკიდია: „თუ სავსე ბაკს იყიდით, საჩუქრად ავტომობილს მიიღებთ!“



დიდი ბრიტანეთის გაზეთი „The Times“ 14 მაისის ნომერში წერს: რუსეთი გვაფრთხილებს — უახლოეს ათწლეულში შეიძლება დაინყოს ომი არქტიკის ნავთობისა და გაზის სიმდიდრეთა გამო. რუსეთის ახალ „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში“ სწორედ ეს მომენტიცაა წამოწეული. კერძოდ, ხაზგასმულია, რომ აუთუვისებელი გიგანტური რესურსებისთვის კონკურენტული ბრძოლის პირობებში გამოიცილებული არ არის წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა სამხედრო ძალის გამოყენებით. შესაძლო პრობლემებში კი ნავთობის ხელისუფლება რუსეთის ფედერაციის საზღვრებთან დასავლეთის ბალანსის დარღვევა. ესე იგი, აუცილებლობის შემთხვევაში მოსკოვი მზად არის, დაიცვას თავისი ინტერესები ძალოვანი მეთოდებით. ეს განცხადება, როგორც ჩანს, პაერზე ნასროლი სიტყვა არ არის, რადგან ზემოთ ნახსენებ „სტრატეგიაში“ პირდაპირაა მითითებული, რომ ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ შეიქმნება სამხედრო ბაზების ქსელი, რომელიც „უზრუნველყოფს უსაფრთხოებას სხვადასხვა

სამხედრო-პოლიტიკურ პირობებში“.

ჩიტი ბდღენად ღირს: არქტიკული შეღვის რუსეთის საკუთრებად გამოცხადება ქვეყნის გეოპოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული თემაა. სპეციალისტების აზრით, ეს ტერიტორია (1,2 მილიონი კვადრატული კილომეტრი), რომელიც ფართობით დასავლეთ ევროპის ტოლია, შეიცავს მილიარდობით ტონა ნავთობსა და გაზს. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რატომ აცხადებს რუსეთი ამ რეგიონს ქვეყნის „სტრატეგიულ საზღვრებსა და უსაფრთხოებას“.

მართებლო რეგიონში რუსეთის ინტერესების დასაცავად.

„უთანხმოებათა შესაძლო ზონებად“ ნავთობის მნიშვნელოვანი რაოდენობის ბარუნების ზღვა და ცენტრალური აზია. აქედან გურჯისტანამდე შორია და, თითქოს, არც არაფერი გვაქვს შესაფოთებელი. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ორომტრიალს საქართველო ვერ ასცდება. „სტრატეგიაში“ ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ რუსეთისთვის მიუღებელია ამერიკელების გეგმები აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო „ფარის“ შექმნისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების — უკრაინისა და საქართველოს ნატოში შესვლის თაობაზე.

ესეც — მსოფლიო თანამეგობრობაში ყოფნის „ჩრდილოვანი მხარე“: ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ ასცდები გლობალურ კრიზისებსა და დაპირისპირებებს.

# კენებ იალოვიცმა სააკაშვილის რეჟიმს ავტორიტარული უნოდა

ცნობილმა გვარებმა განგაშის ზარები დაარისხეს. დენის ქორბოი, ვილიამ ქორთნი, კენეტ იალოვიცი სერიოზულად არიან შეშფოთებული იმით, რომ მათებურად გაგებულნი დემოკრატიის პრინციპების დროშების ფრიალი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების „ფერადი“ მმართველობები შეიძლება ავტორიტარიზმამდე და ანტიდასავლურ მმართველობამდე მივიდეს.



ანტიდასავლური, მიაქციეთ ყურადღება! ეს ნიშნავს, რომ ხელიდან ეცლება ეს ქვეყნები, რომელთა მარიონეტი ხელმძღვანელები აქამდე ილიაში ჰყავდათ ამოჩრილი და „დემოკრატიის შუქურებად“ ჰყავდათ გაპიარებული. უნინარეს ყოვლისა, უკრაინას და საქართველოს დარდობენ.

უკრაინა თავის თავს მოუვლის. ჩვენ ვივარდით. შეშფოთდა სამეული და გადწყვიტა, გაგვარკვიოს ამ „სეველიან პოლიტიკურ ისტორიებში“.

მიზეზთა მიზეზად „სტალინისტურ მემკვიდრეობას“ ასახელებენ, ანუ „ფართოდ გავრცელებულ შიშს“, რომელიც, მათი აზრით, „ხელს უშლის ღია დებატების ჩატარების პროცესს“.

დებატები, დისკუსია და ა.შ. დემოკრატიის თანმდევი პრაქტიკაა, მეთოდია, რაც სიტყვის თავისუფლებას ნიშნავს და სხვას არაფერს. ხოლო ფორმაციის პრობლემა გაცილებით რთული ფენომენია, რომელიც რეცეპტებით არ იქმნება.

საზოგადოებრივ ცოდნეების მტკიცებით, თუ სოციალიზმის დროს ხალხი დარწმუნდა, რომ კომუნისტი ლამაზი, მაგრამ არარეალური მითია, კაპიტალიზმის ეპოქაში დემოკრატია ასევე იქცა ლამაზ მითად, რაც ნიშნავს შემდეგს: ადამიანებმა ვერ იპოვეს საზოგადოების მშენებლობის სწორი და სამართლიანი გზა.

ამიტომ კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ ანტიდასავლური მმართველობა მაინც და მაინც ავტორიტარიზმამდე მივიყვანს, ჭეშმარიტებად და სახელმძღვანელო დებულებად, ვფიქრობ, არ გამოდგება.

გვყავდნენ ჩვენ ასეთი დამრიგებლები და განმანათლებლები:

„ახლა... რაკი იქიდან დავინწყეთ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის,

ისიც უნდა ვთქვათ, განათლება არ არის. მე ამას მაგალითებით აგისხნით: წარმოდგინეთ ბნელი ოთახი. წარმოდგინეთ თუ არა?

— წარმოდგინეთ.

— არა, იქნებ სადმე ერთი ფანჯარა ღია დაგრჩათ, ისიც დაკეტეთ.

— დაკეტეთ, — ვუპასუხე და სიცილი მომივიდა.

— ძალიან კარგი. რაკი ის ფანჯარაც დაკეტეთ, ფარდაც ჩამოაფარეთ.

— ჩამოაფარეთ.

— რაკი ფარდაც ჩამოაფარეთ, ოთახიც დაბნელდება, ვეღარაფერს დაინახავთ. უეცრად შემოიტანეს სანთელი, განათდა ოთახი. განათლებაც ეგ არის“ (ილია ჭავჭავაძე, „მგზავრის ნერილები“).

„პოდპორუჩიკების ტომი“ XXI საუკუნეშიც არ გამქრანა, სიცოცხლისუნარიანი

გამოდგა ფრიალ. თუმცა არ უნდა დავუკარგოთ, რომ „ახლები“ საკმაოდ თვითკრიტიკულებიც არიან, რითაც განსხვავდებიან წინამორბედებისგან. აღიარებენ, რომ „პოლიტიკა უკრაინასა და საქართველოში რთულია“ და „უცხოელებს ყველაფერი ბოლომდე არ ესმით“.

მართალია აბა, ბოლომდე რომ გარკვეულიყვნენ, რა ეშმაკი დაანერინებდათ ასეთ დასკვნას: „სააკაშვილმა ბრძნულად (!) აარიდა თავი მშვიდობიანი საპროტესტო აქციისა და თავისუფალი მედიის დარბევის გამეორებას ისე, როგორც ეს 2007 წელს მოხდა“.

„ისე, როგორც 2007 წელს“ — არა, უარესად — კი, ბატონო! მართლა უცხოელი უნდა იყო, რომ არ დაინახო, არ გითხრან (?), არ დაინტე-

რესდე (?), როგორ და რამდენჯერ დაარბიეს მშვიდობიანი აქციის მონაწილენი რუსთაველის პროსპექტზე, კონცერტზე მისული ახალგაზრდებიც კი. როგორი სისხლიანი შეტაკება მოუწყეს დემონსტრანტებს პოლიციის ქალაქის სამმართველოსთან, რამდენი პოლიტპატიმარი ჰყავთ დღეს და ასე შემდეგ.

დიდი „სიბრძნის“ შედეგია ეს ფაქტები!

ცეკას დირექტივებს ჰგავს სამეულის წერილში მოცემული რჩევები: თავისი „უნდა გააკეთონ“, „გადაწყვიტონ“, „უფრო მეტი უნდა გააკეთონ რეფორმებისთვის უკეთესი გარემოს შესაქმნელად და უგულისყურად არ უნდა მოეკიდონ რთულ რეგიონებში დემოკრატიული ცვლილებების განხორციელების პერსპექტივას“.

და სულ მთლად საპირველმისო მონოდებასავითაა: „ამ მიმართულებებით წინსვლამ წინ უნდა გაუსწროს და შესაძლებელი უნდა გახადოს ევროპის კავშირთან და ნატოსთან დაახლოება. სხვა გზა არ არსებობს!“

დავკომძღვრეს და დიხარჯენ რჩევების მოცემაში, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავთ იმაზე, რომ სადმე, რომელიმე ეტაპზე უნდა ველოდეთ ჩვენი მეგობარი ქვეყნების დახმარებას.

გასაგებია, რა მსოფლმხედველობის ავტორებთან გვაქვს საქმე, მაგრამ მით უფრო მნიშვნელოვანია მათი კრიტიკული პათოსი, განსაკუთრებით, ქვეყნის პირველი პირის შესახებ გამოთქმულ შენიშვნებში გამჟღავნებული. მაგალითად:

„2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა იგნორირება გაუ-

კეთა არა ერთ გაფრთხილებას, თვით აშშ პრეზიდენტი-საც კი, თავი აერიდებინა რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციისთვის“.

ან: „ლიდერებმა რეფორმები მთავარ საკითხად უნდა აქციონ. თუ ისინი ამას ვერ შეძლებენ, მაშინ ადგილი სხვებს უნდა დაუთმონ“.

ან: „ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი საქართველოს პრეზიდენტის დაუყოვნებლივ გადადგომას ითხოვს. გამოკითხვები გვიჩვენებს, რომ მას ქართველების მხოლოდ ორი მე-ხუთედი (!) უჭერს მხარს. ძალადობის რისკი სერიოზული შემოფოტებას იწვევს. ქართული სამხედრო შენაერთი ამბობდა, ხოლო ანტისამთავრობო ტელევიზიასთან ხელყუმბარა ააფეთქეს“.

და ბოლოს: „უკრაინამ და საქართველომ თვითონ უნდა შექმნან საკუთარი მომავალი და მოიძიონ ლიდერები“. როგორ? ცხადია, ისე არა, როგორც ახლა აკეთებენ, როცა „ძირითადად შეერთებულ შტატებს მიმართავენ — დაიბაროს ადგილობრივი ლიდერები და აიძულოს პოლიტიკური ჩიხის მოგვარება“.

ბიჭებო, თქვენს საქმეს თქვენ თვითონ უნდა მოუაროთ! ძალიან ჰგავს ეს პოლიცია პოლატეს მიერ ხელეების დაბანის პრინციპს...

როგორ მომავალს გვიქვდიან? — ისეთ მომავალს, რომელიც „აშშ და ევროპის ინტერესებს არ აზარალებს“.

მადლობა ბატონ კორბოის, კორთნის და იალოვიცს გულახდილობისთვის, რომელიც სრულად გადმოსცეს წერილში „განგაშის ზარი საქართველოსა და უკრაინისათვის“.

# როსა სტატისტიკა ლაპარაკობს, პოლიტიკოსები ღუგან

2008 წლის ომი საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთგვარ მიჯნად ჩამოყალიბდა მანამდე და მას შემდეგ. მას შემდგომ, მაგალითად, გაიზარდა საქართველოს საგარეო ვალი. ცოტათი კი არა, 23 პროცენტით დაახლოებით 10 თვეში. ასეთი ზრდა რამდენიმე მიზეზმა განაპირობა — მთავრობის ობლიგაციების გაყიდვამ ლონდონის ბირჟაზე (500 მილიონი დოლარი), ლარის კურსის დაცემამ და აგვისტოს ომის შემდეგ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან კრედიტების მიღებამ.

ორმხრივი კრედიტების ჩარჩოებში ვალი 537,407 მილიონი დოლარია.

ავსტრიის გემარტებს 1,387 მილიონი დოლარი, აზერბაიჯანის — 14,387 მილიონი, თურქმენეთის — 211 ათასი, თურქეთის — 38,91 მილიონი, ირანის — 11,28 მილიონი, რუსეთის — 119,4 მილიონი, ამერიკის შეერთებული შტატების — 38,311 მილიონი, სომხეთის — 17,323 მილიონი, უზბეკეთის — 373 ათასი, უკრაინის — 340 ათასი, ყაზახეთის — 27,77 მილიონი, ჩინეთის — 4,386 მილიონი, გერმანიის — 157,057 მილიონი, იაპონიის — 53,214 მილიონი, კუვეიტი — 12,274 მილიონი, ნიდერლანდების სამეფოს — 12,535 მილიონი, საფრანგეთის — 2,891 მილიონი.

ევროპული კავშირის ხაზით ჩვენი ვალი 500 მილიონი დოლარით განისაზღვრება, საერთაშორისო ინს-

ტიტუტებისა — 1,862 მილიონი დოლარით. მათ შორის, მსოფლიო ბანკისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციისა — 1,019 მილიონი დოლარით, ევროგაერო-თიანების — 81,08 მილიონით, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის — 13,722 მილიონით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის — 621,4 მილიონით, განვითარების აზიის ბანკის — 76,251 მილიონით.

ვალი, რომელიც სახელმწიფო გარანტიით ავიღეთ, 8,12 მილიონი დოლარია.

ვიღებთ და ვიღებთ ამ ვალებს (ინვესტიციები არ ჩანს, სამწუხაროდ) და უარესდება და უარესდება ჩვენი მოქალაქეების ფინანსური მდგომარეობა. ასეთია ვალის ლოგიკა!

„ACT“ მარკეტინგული კომპანიის გამოკვლევით, 6 თვის განმავლობაში საქარ-



თველოს მსხვილი ქალაქების მოსახლეობის 39 პროცენტის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

ქალაქების მოსახლეობამ ბოლო 3 თვეში 30-50 პროცენტით ნაკლები დახარჯა, სხვებთან ერთად იმ ნაწილ-დედღონეზე დარჩა. ხელმომჭირნეობენ ძირითადად ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, აქსესუარების ხარჯზე. ამ სახის საქონელზე ხარჯი 46 პროცენტით შემცირდა. ნაკლებს ხარჯავენ გართობაზეც. გამოკითხულთა 42-მა პროცენტმა მოუკლო რესტორანში, კაფეში, კლუბებში, კინოთე-

ატრებში სიარულს. ყველაზე ნაკლებ ეკონომიას საკვებ პროდუქტებსა და სამედიცინო მომსახურებაზე ეწევიან, თუმცა გაემოკითხულთა 31 პროცენტმა განაცხადა, რომ გასულ 3 თვეში საკვებსა და მედიცინაზე ჩვეულებრივზე ნაკლები დახარჯეს. ეკონომიის სტრატეგია პერიოდულ ხარჯებშიც აისახა, ასევე, იაფი პროდუქტების უპირატესობის მიცემაში.

გამოკითხვაში 1800 კაცი მონაწილეობდა. სტატისტიკური ცდომილების ალბათობა 2,4 პროცენტს უდრის.

# ბაეროს მისიამ ჩაილურის წყალი დალია

გასულ ორშაბათს, 15 ივნისს, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთმა ვეტო დაადო რეზოლუციის პროექტს მისიის მანდატის ტექნიკური გაგრძელების შესახებ. მანდატის გაგრძელების შესახებ რეზოლუციას ხმა მისცა 10 ქვეყანამ, ოთხმა — ჩინეთმა, ვიეტნამმა, ლიბიამ და უგანდამ — თავი შეიკავა.

გაეროს მისიამ საქართველოში 16 ივნისს დილის 8 საათიდან, თბილისის დროით, მუშაობა შეწყვიტა.

პირველივე სერიოზული საქმე, რომელსაც საქართველოს წარმომადგენელი გაეროში კახა ლომაია შეეჭიდა, კრახით დამთავრდა, სხვათა შორის, ისევე, როგორც განათლების საქმე საქართველოში, რომელიც მაინც და მაინც იმ კაცს ჩააბარეს, რომელმაც ქართულად სიტყვა „ბავშვის“ დაწერა კი ვერ შეძლო, შეებრძოლა ქართულ ჰაგიოგრაფიას, ეროვნულ გამოცდებზე შემოიღო იდიოტური გამოცდა უნარ-ჩვევებში და განათლების გვირგვინად ინგლისურის ცოდნა და კომპიუტერთან მუშაობა გამოაცხადა.

ეს ის ლომაიაა, რომელიც განათლების საქმის ჩაფლავების შემდეგ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშნა მიხეილ სააკაშვილმა, 2008 წლის აგვისტოში თეთრ ჯავშანზე-ლეტში გამოწყობილი პოზიციობდა ტელეკამერების წინ და საომარ მოქმედებაზე ისე აცხობდა, როგორც ხელთუპყარი პატარ-ძალი პირველი საქორწინო



ლამის შემდეგ. ისეთი რა კოკას ფოთლები აჭამა პრეზიდენტს ამ სოროსის ძუძუნა-ნოვმა უფერულობამ, ისე როგორ დააბოლა, რომ ვერა და ვერ შედეგია? ახლა საით უკრავთ თავს კახა-ალექსანდრე ლომაიას, ბატონი მიხეილ? ეგებ, დასვათ თქვენს მემკვიდრედ, და ისე სწრაფად მოუთავსებს ხელს საქართველოს, რომ — თქვენი მონებულები!

# პრეტენზიანი საქართველო რინგარბუსებზე...

დღისით — დაპატიმრებები და შეტაკებები, საღამოს — სტიქიური უბედურება... ერთი შეხედვით, გასული კვირა ჩვეულ კალაპოტში დაიწყო, თუმცა რამდენიმე ისეთი დეტალიც გამოჩნდა, რომელიც კულმინაციის მოახლოებაზე მიანიშნებდა. საგულისხმოა, რომ ვითარების გამწვავება უშუალოდ აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილის ფილიპ გორდონის ვიზიტის შემდეგ დაიწყო, მისი გამგზავრებისთანავე ხელისუფლებამ დააპატიმრა ნინო ბურჯანაძის თანაპარტიელთა ჯგუფი; მომდევნო დღეს პარლამენტის სხდომა დაიწყო (ამ ნაბიჯის შედეგები, იმთავითვე ძალზე იოლი გასათვლელი იყო); ორშაბათს კი, რიგი პროვოკაციების შემდეგ, პოლიციის სამმართველოსთან სასტიკი დარბევა მოახდინდა.

— სახელმწიფოს მეთაური რომ ვიყო, საერთოდ აკრძალავდი საზღვარგარეთ წასვლას, შევზღუდავდი მაინც. არც ერთ შემთხვევაში მცირეწლოვანი ბავშვების დედას საზღვარგარეთ არ გავუშ-

ვებდი. პირიქით, გაჭირვების უამრავი დაგეგმვა და დედაშვილობის მადლს გასაქრობად არ გავიშვებდი, იმ პატარა გულს დედის მონატრებით არ დავალონებდი.

**უსსო ქვეყნების საკონსულტაციო ცენტრის წინ უსაშუალო რიგები დასტურია იმისა, რომ ამ ქვეყანაში რაღაც დიდი შესაძლებლობაა დასაშვანი ამ სახელმწიფოსთვის ყოველი პოლიტიკოსის მიერ.**

დაკარგვა გადაგვარების სანინდარია. სიფრთხილეა საჭირო, ჩვენივე ხელით არ გამოვაცალოთ ქვეყანას ცხოვრების ბურჯი — დედა, ქალი. თითოეული ოჯახის ბედი ისევ ქვეყნის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. სად გაქრა ქართველი ქალის სინდინდე და კდემამოსილება, ოჯახის მოვლისა და კერიის შენარჩუნების მოვალეობა?! რატომ დადის ქართველი დედა უფლად იმ გზაზე, ოჯახის რჩენის გზა რომ ჰქვია... რატომ ურჩევია, თავად ეტიკნოს, თავად გაისარჯოს, სახიფათო ბლიკებზე თავად გაიაროს?... ბევრი ამერიკაში სხვა სახელმწიფოდან გადადის და თავს ხიფათში იგდებს საზღვრების გადალახვით... დაფიქრდით, ეს ხომ ჩვენი სახელმწიფოა... პატარა ერთი ამგვარი გზით მართლაც გავინდგურდებით. ჩემი ძმისშვილები სხვა ბავშვებთან შედარებით გაცილებით სერიოზულნი და გულჩათხრობილი არიან, დაკომპლექსებული... ისინი დანერგული ოჯახის შვილების სახელს ატარებენ...

**რამდენიმე დღის წინათ ტელეკაინაზე თვალს ვაღწევადი ქალბატონ ნინო ბუკჯანაძის ვაჟთან ერთად... პიკუელ ლედის ელუარდსა და ნიკოლოზთან ერთად... გული გოლითა და წყროვით აეხსებოდა.... ნუკაზინი მიწყენს, თუ ჯიუტად მოწყობილი მტკიცებას, რომ ჩვენ, მათ შორის, ჩემი ოჯახის, მათ კარიკასა და კეთილდღეობას უნერგული ზეპარაქი ვართ.**

— ქალბატონო ირმა, ვიცი, გულისტკივილმა მოგიყვანათ ჩემთან... გაიხსენეთ, რატომ და როდის წავიდა თქვენი რძალი საზღვარგარეთ, რამ აიძულა, ორი მცირეწლოვანი ბავშვი დაეტოვებინა?

— ამ ამბის გახსენება ჩემთვის ყოველთვის ტკივილიანია. ერთ დროს უჩვეულობითი სახსე ოჯახი გვექონდა. მამა ეკონომისტი იყო, „ცეკავშირში“ მუშაობდა, ხოლო დედა — „მირნში“ ბუღალტრად. ჩემი ძმა სადამოს დასწრებულზე სწავლობდა და დედამ ისიც ქარხანაში წაიყვანა სამუშაოდ. მე მოსწავლე ვიყავი. 1989 წელს მამა ავარიამი დაიღუპა.

ორი წლის შემდეგ ჩემი ძმა მეგობრის დაბადების დღეზე წავიდა. დილაუთენია ვიღაც ლამაზ გოგოსთან ერთად დაბრუნდა და განაცხადა: „ეს ლიკაა, ჩემი მეუღლე!“

მე და დედამ გაოცება ვერ დავფარეთ. მართლაც ლამაზი წყვილი იყო. დედამ ვალი აიღო და ახალდაქორწინებულთა ქორწილზე გადაუხადა. ცდილობდა, უკაცო ოჯახისთვის ტრადიციისამებრ არაფერი დაეკლო. ვალის გასასტუმრებლად ბევრს მუშაობდა, ზოგჯერ სამუშაო შინ მოჰქონდა.

გვანცას დაბადებამ ჩვენი ოჯახი დიდი სიხარულითა და ხალისით აავსო.

მალე ქვეყანა აირია. რაც ხდებოდა, ჩემთვის სრულიად ახალი, გაუგებარი პროცესები იყო. სკოლაში წასვლის ნაცვლად მიტინგებზე დავდიოდი, პოლიტიკოს ლიდერებს ვუსმენდი, ათასობით ადამიანთან ერთად ლოცვებს ვკითხულობდი...

ქარხანა დაიხურა. დედა და ჩემი ძმა უმუშევრები დარჩნენ. საქართველოში ყველაფერი ჩაქრა. იყო სიძინლე, სიბნელე, ძმათა ომი, გზებზე

დაყარაღება, ყველა ჯურის სიყალბე და გაუტანლობა.

ლიკა უკვე მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ. მართალი გითხრათ, ბავშვის მოცილება უნდოდა, მაგრამ უფროსებმა არ დაანებეს... ასე შეგვეძინა სანდრიკა.

ოჯახი გაიზარდა, შესაბამისად, ხარჯებიც. დედა თვითდასაქმების გზას დაადგა. კვირაში ორჯერ მარნეულში ჩადიოდა მატარებელით, თათრებისგან ბოსტნეულს ტომრებით იაფად ყიდულობდა, მატარებელს ისევ უკან მოჰყვებოდა, თბილისის ვაგზალზე ჩემი ძმა ხვდებოდა. მერე დედა დეზერტირების ბაზარში ყიდდა ჩამოტანილ პროდუქტს, მცირეოდენი მოგება რჩებოდა.

მასსოვს, როგორი სიხარულით მოიტანდა შემოდგომის პირზე ირანული მარკის დიდი ნითელი ნავთქურა.

ნავთს მთელი ზაფხული იმარაგებდა. ზამთარში სამოთხიანი ბინის ნავთის სუნი გაეგრებულ ერთ ოთახში ვცხოვრობდით. მე და დედა დასაძინებლად გაყინულ ოთახში გავდიოდით.

ზამთარში ძალიან გვიჭირდა. ზაფხულში მორჩენილი ბოსტნეულით გაკეთებული კონსერვებით ვიკვებებოდით. ბავშვები განსაკუთრებით მეცოდებოდა.

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო გაუსაძლისი პრობლები შეგვექმნა, თავის გატანა გვიჭირდა. ოჯახიდან ყველაფერი გაგვექონდა და ყვედი. ერთდღეს დედა ფერმიხდილი და ჩამქრალი დაბრუნდა. ბოსტნეული პოლიციელებს წაერთმიათ. მშვირები თანაგრძნობით შევცქეროდით.

გვრძობდი, მთელი ღამე დედა ბალიშზე თავჩარგული ჩუმად ტიროდა, ცდილობდა, მიყენებული მუხრაცხეოდა და ტანჯვა ჩვენითვის დაემალა.

როცა ამას ვისხენებ, მხო-

ლოდ გული კი არა, სულიც მტკივა. არავითარი პოლიტიკა არ ღირს დედის ცრემლებად.

გაქვავებული, მზერაჩამქრალი სახეები ჩემ ირგვლივ მრავლდებოდა. ჩემი ძმა სულ რაღაცას ეძებდა, მთელი დღის ხეტიალის შემდეგ სახლში კუდამოძუებული ნაცემი ძალიან ბრუნდებოდა და დამნაშავესავით თავჩაქინდრული მდუმარედ იჯდა. ძნელია, გახსენებით ხელმეორედ განიცადო ის, რამაც ჩემ თვალწინ რამდენიმე წლის წინათ ჩაიარა. სიტუაცია იმდენად იყო ასატანი, რამდენადაც ყველას ერთბაშად გვიჭირდა...

წლები გადიოდა, მდგომარეობა კი უცვლელი რჩებოდა. დედა ისევ ვაჭრობდა. პოლიცია მოვაჭრეებს მძიმე ტვირთით ქუჩის ერთი კუთხიდან მეორისკენ თავისი სურვილისამებრ უმოწყალოდ ერეკებოდა. დიდ ყინვებში შინ სულ მთლად გათოშილი ბრუნდებოდა და იმის საშუალებაც არ გვექონდა, მისთვის თბილი წყალი დაგვეტყვიდნენ.

ერთ დღეს, სადილობისას, ლიკამ გამომწვევად (რატომღაც, ასე მომეჩვენა) განაცხადა, რომ ამერიკაში აპირებდა წასვლას მამიდამშვილად. მაიკო რამდენიმე წლის წინათ გაემგზავრა ამერიკაში. ჩემმა ძმამ თავი ასწია და მუქარით უთხრა, რომ ვერსად ვერ წავიდოდა. მამინი ლიკამ მიახალა: — უნიათო და უსაქმური ხარ, ვერ გვივლი, ბავშვებს შიმშილით არ დაგახოცვინებო. უტყვედა და უტყვედა...

ლუკმა გაგვიმწარდა. ჩემმა ძმამ დაჭრილი ნადირივით წამოიყმუჭლა და ჩვენი ღარიბული სუფრა მაგიდიანად ააყირავა.

ლიკამ თავისი მაინც გაიტანა. არ დავანებეთ, ბავშვები

**ჩემი კმისხვილები სხვა ბავშვებთან შედარებით გახილვით სერიოზული და გულჩათხრობილი არიან. დაკომპლექსებული... ისინი დანერგული ოჯახის შვილების სახელს ატარებენ...**

# მოსამართლეებს გამამართლებელი განაჩენისათვის სასტიკად სჯიან

საქართველოში დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე მხოლოდ საუბრობენ, სინამდვილეში კი ტერმინები: დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ამ სისტემის მუშაკებისათვის ისეთივე უცხოა, როგორც — მგლისათვის სახარება. სწორედ სასამართლოსა და მოსამართლეების პრობლემებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ ყოფილი მოსამართლე თამაზ ილიაშვილი.



იგი 1999 წელს სასამართლო რეფორმის შედეგად თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნა; 2000—2006 წლებში იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლე; 2006 წელს დისციპლინური დევნის შედეგად, როგორც დანარჩენები, ისიც გამოდევნეს სასამართლო სისტემიდან. მოსამართლეობიდან მათი გათავისუფლების საქმეები ევროსასამართლოშია შესული; იყო ერთ-ერთი „მეამბოხე“ მოსამართლე; 2007 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას.

— ბატონო თამაზ, რას იტყვით ქართული სასამართლო სისტემის ყბადაღებულ „ნარმატებულ“ რეფორმას?

— ვფიქრობ, ნარმატებულ რეფორმაზე საუბარი უხერხულია. ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს. წელს, იანვარში, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე ვიცავდი განსასჯელს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ სრულიად ობიექტურად დაადგინა გამამართლებელი განაჩენი, თუმცა ამ განაჩენს მოსამართლე ეკა გაბრიჩიძე შეენირა და იგი ახლამარნეულის რაიონშია განმსვენებული. ეს განაჩენი მან 21 იანვარს გამოიტანა, დაახლოებით სამ კვირაში კი მარნეულის რაიონში გადაიყვანეს. ვეჭვობ, სწორედ მისი პრინციპულობა გახდა გადაყვანის ნამდვილი მიზეზი. ეს იყო გაფრთხილება გაბრიჩიძისა და სხვა მოსამართლეებისთვისაც, თუ რა შედეგი მოჰყვება პროკურატურის სანინაღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებას. ამიტომაცაა, რომ

შედარებით ობიექტურები გახდნენ.

— მათი ობიექტურობა, ალბათ, ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებში ვლინდება, მეთანხმებით?

— მართალია ბრძანდებით. ეს ხდება ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებზე. თუ საქმით დაინტერესებულია დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელი ან ცალკეული გავლენიანი პიროვნება, თითქმის 100 პროცენტით ხდება მათი ინტერესების შესაბამისი განაჩენი. ნებისმიერ განხილულ საქმეზე გამოტანილია გადაწყვეტილება, რაც „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ინტერესებშია.

**აუსილაგლად უნდა მოხდეს ბოლო წლებში გამოტანილი განაჩენებისა და სხვა გადაწყვეტილებების გადასინჯვის საკითხი?**

**პროკურატურის ნებისმიერ უკანონო მოთხოვნას მოსამართლეთა დიდი ნაწილი იზიარებს, აკაყოფილებს, თვალს ხუჭავს და გამოაქვს, თითქმის ყველა შემთხვევაში, ის გადაწყვეტილება, რას პროკურატურისთვისაა მისაღები.**

თუმცა ბოლო ორი თვეა, ვამჩნევ, რომ მოსამართლეები

ბის მოსმენის ბრძანებას კი სასამართლო გასცემს...

— მინდა, ერთი შემთხვევითი პრეცედენტი გავიხსენო, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინათ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა, როდესაც ცნობილი პოლიტიკოსის — ირაკლი მელაშვილის მიმართ მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო მოსმენები განხორციელდა იმის საფუძველზე, თითქოს მისი სატელეფონო ნომერი არასრულწლოვანი გოგონას გატაცებაში ფიგურირებდა. როგორც აღმოჩნდა, ირაკლი მელაშვილს გამოგონილი საფუძველით მოუსმინეს. უკანონო სატელეფონო მოსმენა მიმდინარეობდა პირადი ცხოვრების ხელშეშელობა საერთაშორისო აქტებითა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების, მაგარამ, როგორც ვხედავთ, დღეს ეს ჩვენთან ნაკლებად აინტერესებს.

— რა გამოსავალი არსებობს?

— უბრალოდ, უნდა არსებობდეს იმის პოლიტიკური ნება, რომ სასამართლო იყოს დამოუკიდებელი. ამის უზრუნველსაყოფად კი უნდა შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. სისხლის სამართლის სფეროს მაგალითზე ვიტყვი, რომ თითქმის ყველა სამართლებრივი ნორმა და ინსტიტუტი, რომელიც 2004 წლიდან გაუქმდა ან შეიცვალა, უნდა აღდგეს, ვინაიდან დღეს აღარავინ დაობს იმაზე, რომ ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები მთლიანად პოლიტიზირებული იყო და წარმოადგენდა საყოველთაოდ ცნობილი მონოდეობის „ყველანი — ციხეში!“ სამართლებრივ უზრუნველყოფას. ასევე, უნდა არსებობდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის მყარი გარანტიები. პოლიტიკური ნების შემთხვევაში, ეს არ არის ძნელად მოგვარებადი საკითხი.

და ბოლოს, უარყოფითი როლი შეასრულა სასამართლო სხდომებზე „რკინის ფარის“ ჩამოფარებამ, ყურნალების თითქმის მოკლებული არიან შესაძლებლობას, მოახდინონ სასამართლო პროცესების ვიდეო-აუდიო ჩანერა. სასამართლო სხდომები, რომ უწინდებურად შუქდებოდეს, დღეს სასამართლო ასეთ მდგომარეობაში არ იქნებოდა.

## „მადლოა ღმერთს, მოვასწარიო მისი პოლიციის ბადასა, თოკა, ვინ იხის, კიდევ რამდენ მოზარდს დაუნგრევს ხოვრებას“

მომხდარი ფაქტის შინაარსიდან გამომდინარე მოქმედ პირთა გვარ-სახელები და შემთხვევის ადგილი შეცვლილია. 19 წლის გოგონა კაპანაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიამ 30 წლით პატიმრობა მიუსჯა. მას ბრალად 9 წლის ირაკლი ყავლაშვილის 2-ჯერ გაუპატიურება ედებოდა. ბრალდებულმა სასამართლოს წინაშე დანაშაული აღიარა და სასამართლოს თხოვნით მიმართა, პროცესი მალე დაესრულებინა. მოსამართლემ გაითვალისწინა განსასჯელის თხოვნა და სასამართლო პროცესი შეკვეცილი წესით ჩატარდა.

## პედოფილს, როგორც 9 წლის ბიჭუნა გააუპატიურა, 30 წელი მიუსჯეს



საქმის მასალების მიხედვით, 2008 წლის აპრილში გოგონა კაპანაძე ვარკეთილის დასახლებაში, ძმის სახლში იმყოფებოდა.

„კაპანაძემ ეზოში მოთამაშე ბავშვები დაინახა, მათ შორის 9 წლის ირაკლი ყავლაშვილიც. კაპანაძემ ბიჭუნას გაუპატიურება განიზრახა; მოტყუებით შეიყვანა ძმის ბინაში; რომ დარწმუნდა, არავის დაუნახავს, ფიზიკური ძალის გამოყენებით, ლოგინზე დააწვინა, მარჯვლი გახადა და დაამყარა სქესობრივი ურთიერთობა, რის შემდეგაც ბავშვმა მოახერხა ლოგინიდან წამოდგომა და სახლიდან გაქცევა.“ — ამბობს პროკურორი თენგიზ ჭითაშვილი.

მისივე თქმით, „რამდენიმე დღის შემდეგ კაპანაძემ კვლავ მოისურვა ირაკლი ყავლაშვილის გაუპატიურება. მან ყავლაშვილსა და მის მეგობარ ბიჭუნას ბანქოს თამაში შესთავაზა და კვლავ შეიტყუა ბინაში. ბანქოს თამაშისას ყავლაშვილი დაიმალა, რომელიც კაპანაძემ სამალავიდან ფეხებით გამოათრია და კვლავ გაუპატიურა. ამის დანახვაზე ყავლაშვილის მეგობარი გაიტყა.“

2008 წლის 30 აპრილს მომხდარის თაობაზე ყავ-

ლაშვილის დედამ შვილის მეგობრისგან შეიტყო. მან დასახმარებლად საპატრულო პოლიციას მიმართა. გოგონა კაპანაძე იმ დღესვე დააკავეს. მან იმთავითვე აღიარა დანაშაული.

პოლიციაში მის მიმართ აღიძრა სს საქმე 138-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რაც 15-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს.

სასამართლოში კაპანაძემ სრულად აღიარა დანაშაული, დადასტურა რომ 9 წლის მოზარდი ორჯერ გაუპატიურა და დასძინა, რომ ჩადენილ დანაშაულს ინანიებდა.

ყავლაშვილის დედა ქეთევან ყავლაშვილი იხსენებს, რომ მომხდარის თაობაზე მეზობელმა შეატყობინა.

„ჩემი მეზობლის ბავშვი მოვიდა დედამისთან ერთად და მითხრეს ეს საშინელება, ჯერ არ დავიჯერე და ბავშვს დავეკარგე, როცა ირაკლი გამომიტყდა, რომ ეს მართალი იყო, ძლივ მომასულიერეს, არ ვიცოდი, რა მექნა. საღამოს სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარსაც მოვუყვი. ჩემი ქმარი იმ ავადმყოფსა და მოძალადეს იმ დროს მიუჯერებდა სახლში, როცა ბარგი უკვე ჩალაგებული

შქონდა და გაქცევას ცდილობდა, მაგრამ, მადლოა ღმერთს, მოვასწარიო მისი პოლიციის ბადასა, თოკა, ვინ იხის, კიდევ რამდენ მოზარდს დაუნგრევს ხოვრებას.“

კაპანაძეს მეზობლები დადებითად ახასიათებენ:

„ერთი თვე ცხოვრობდა ჩვენს მეზობლად, წყნარი და მშვიდი ბიჭი ჩანდა, არავის არ აწუხებდა, ხშირად იჯდა აივანზე და ეზოში იყურებოდა, ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი სისაძაგლის ჩამდენი იყო.“ მოსამართლემ განაჩენის გამოტანისას განმარტა, რომ „კონკრეტული ქმედების ხასიათის გათვალისწინებით, კერძოდ, იმის მხედველობაში მიღებით, რომ მამათმავლობა თავისი არსით სოციალურად განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენს და ხელყოფს სს სამართლის კოდექსით დაცულ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას და აღნიშნული მაცნად გასაკიცხი ქმედებაა.“

ვინაიდან კაპანაძემ 9 წლის მოზარდი ორჯერ გაუპატიურა და ორჯერ ჩაიძინა დანაშაული, მოსამართლემ 30-წლიანი პატიმრობა მიუსჯა.

## პათოლოგი აკაჯანისალი

ადამიანის ფსიქიკა ძალზე რთული და ამოუხსნელი ფენომენია. კიდევ უფრო რთულია, ახსნა მოუძებნო ამა თუ იმ ქმედებას, თუნდაც დანაშაულის შემთხვევაში. სწორედ ასეთ რთულ შემთხვევებზე სასაუბროდ მივმართეთ ფსიქოლოგ რუსუდან ფხაკაძეს.

ჩვენი ინტერვიუ კონკრეტული მაგალითების საფუძველზე წარმართა. როგორ ყალიბდებიან პედოფილები და რატომ კლავენ შვილები დედის საყვარლებს, ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ჩვენი რესპონდენტი შეეცადა.

**რუსუდან ფხაკაძე:** — მოარული აზრით, პედოფილები ასაკოვანი ხალხია. ზუსტი საზღვრები დადგენილი არ არის. თავისთავად, ეს ასოციალური თვისებაა, რომელიც რაღაც პირადი გადახრების შედეგად ყალიბდება. რა ინვეს ამას, რთული სათქმელია, რადგან გამომწვევი მიზეზი მრავალნაირია: ბავშვობისდროინდელი ტრავმა ან შესწრებითი მაგალითები. ბავშვი თავის ფსიქიკაში ამგვარ გადახრებს ადვილად იჭერს. შეიძლება ფსიქიკაზე გავლენა იქონიოს პორნოგრაფიული ფილმების ყურება, რადგან ყველას ერთნაირად სტაბილური ფსიქიკა როდი აქვს. ეს არის პათოლოგია, რომელიც არაჯანსაღი შინაგანი სამყაროს შედეგს წარმოადგენს.

— როგორ უნდა ამოვიცნოთ პედოფილი?

— მათი ამოცნობა ადვილი არ არის, რადგან საზოგადო-

ებაში მშვიდები და კონტაქტურები არიან და გარემოში ყოფებზე დადებით შთაბეჭდილებას ტოვებენ, შინ კი რადიკალურად განსხვავებულ თვისებებს ავლენენ. ასეთი ადამიანები ფსიქოპათიური ხასიათის ადამიანები არიან. ბავშვებში ეს გადახრა ძნელად შეიმჩნევა, სანამ არ ჩამოყალიბდებიან.

პათოლოგები, თავისთავად, მოძალადეები არიან. მათი დამახასიათებელი თვისებაა მანიპულირება. ნდობა სჭირდებათ იმისათვის, რომ ეს ქვენა მიდრეკილებები დამალონ. ხშირად პედოფილები სპორტულ დარბაზებს, სკოლებს, ბავშვთა ბანაკებს ექცევიან, სადაც მათი ინტერესის შესატყვისი ობიექტები არიან. ხშირად პედოგოგებიც კი შეიძლება პედოფილები იყვნენ. ბავშვი გულპირეული

# დედის საყვარლის მკვლელობის 11 წელი მიუსაჯეს

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი გარემოს უკავია, რომელშიც ესა თუ ის პიროვნება ცხოვრობს. არცთუ იშვიათად ჩვენს ქმედებებს სწორედ გარემოფაქტორები განაპირობებს. ასევე იყო 22 წლის ზაზა სიჭინავას ცხოვრებაშიც. ის ფარული აგრესია, რაც მას დედის საყვარლის მიმართ ჰქონდა, მკვლელობაში გადაიზარდა. მამის ერთმა ნამოძახილმა — „კაცი არა ხარ, მიხედვით დედაშენს, ხალხი რას იტყვის?!“ — შვილის თავმოყვარეობაზე გადამწყვეტი დარტყმა იქონია, რაც საბოლოოდ დედის საყვარლის მკვლელობით დასრულდა.

ოპერის თეატრის ყოფილი მძღოლისა და მალაზიის გამყიდველის სასიყვარულო ისტორია ტრაგედიაში რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. გურამი ქაშიაშვილმა ოპერიდან ნამოსვლის შემდეგ იქვე, მახლობლად სასურსათო მალაზია გახსნა. სწორედ აქ გაიცნო მან 38 წლის მანანა ლლონტი. მსუბუქი ფორტიტით დაწყებული ურთიერთობა ბოლოს იმით დასრულდა, რომ მანანა მალაზიის მეპატრონის საყვარელი გახდა.

მკვლელობის შემდეგ ლლონტი ორწუნივითაა, რომ მას გურამთან სასიყვარულო ურთიერთობა არ ჰქონია და ისინი მხოლოდ მეგობრები იყვნენ. მეგობრობის შესახებ მითი მოკლულის ყოფილმა ცოლმა გააქარწყლა. არგუმენტი მეტად მყარი აღმოჩნდა — გურამისა და მანანას ფოტოები და მათი სასიყვარულო გზავნილები, ე.წ. „მესიჯები“.

მოკლულის ყოფილმა მეუღლემ ელეონორა გაბაიძემ „ქმრის საიდუმლოს“ მისი მკვლელობის შემდეგ ახადა ფარდა. ამისთვის დიდი ჯაფა არც დასჭირვებია, უფრო გამოალო და...

აი, რას გვიამბობს ელეონორა გაბაიძე: „ჩემი მეუღლის სიკვდილის შემდეგ მის უფრაში ამ ქალთან ერთად გადაღებული ფოტოები ვნახე. ერთმანეთს რომ კოცნიან, ისე აქვთ ფოტოები გადაღებული. ვიპოვე მესიჯებიც, სადაც ის ქალი ჩემს ქმარს სიყვარულს უხსნის. ამის შემდეგ როგორ ამბობს, რომ უბრალოდ მეგობრები იყვნენ? მე ის მესიჯები არც ვაპოვე, რომლებიც მის მიერ იყვანებოდა, რადგან ჩემი ქმრის

ხსოვნას ვეცი პატივი, მაგრამ ეს ქალი აღარ გაჩერდა; თავს დამნაშავედ არ ცნობს და ამბობს, მეგობრები ვიყავითო. სასამართლოში ეს ფოტოები სახეზე რომ ავაფრტე, ხმა ჩაიკმინდა... ან რა ეთქმოდა?!“

...მის ნერილებში, ჩემს ქმარს რომ სწერდა, დაფიქსირებულია, რომ მხოლოდ ჩემი უნდა იყო. ჩემს მტერს, ვისაც მანანა გადაეკიდებდა, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი უნდა იყო... ერთ-ერთ მესიჯში კი ჩემს ქმარს სწერდა: „ჩვენ რომ ვიცით, ისეთ მესიჯებს ნუ მწერ, რადგან ზაზა კითხულობსო. ე.ი. ბიჭს ამ მესიჯების კითხვა უხდებოდა. ახალგაზრდა ბიჭია და, ალბათ, არ არის ასეთი მესიჯების ნაკითხვა სასიამოვნო“...

ნიშანდობლივია, რომ ზაზამ კარგად იცოდა დედის ცხოვრებაში ვიღაც მამაკაციც არსებობდა, მეტიც, მან იცოდა, რომ ეს ვიღაც გურამ ქაშიაშვილი იყო და მასთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა.

ამ „ნორმალურ ურთიერთობას“ ზაზას მამამ მალე ნერტილი დაუსვა. ზაზას მშობლები რამდენიმე წლის წინათ განქორწინდნენ. მამამ მალე მეორე ოჯახი შექმნა. მანანა კი მარტოხელა დედად დარჩა.

კაცმა რომ თქვას, მასაც ჰქონდა უფლება, თავისი ცხოვრებით ეცხოვრა. როგორც ჩანს, ქართულ რეალობაში ეს „უფლება“ ჰაერში ნასროლ სიტყვად რჩება. ამის აღმოსაჩენად მიუღებელ სექსუალურ ინსტინქტებს, მისასალმებელია მათი ვიზიტი ფსიქოლოგთან.

— ამგვარი ძალადობის მსხვერპლი შეიძლება თუ არა ნორმალურ ადამიანად ჩამოყალიბდეს?  
— ბავშვს, რომელზეც ძალადობა მოხდა, ფსიქოლოგიური ტრავმა აქვს მიღებული. მას მიხედვით სჭირდება, რასაკვირველია, პროფესიონალის მხრიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, ტრავმა პიროვნების გონებაში რჩება. აქ საუბარია იმაზე, რამდენად სწორად გილს მიუჩენენ მომხდარს მის გონებაში. ბავშვმა მიიღო გამოცდილება, რომ იგი დაუცველია, უსაფრთხო გარემოში არ ცხოვრობს და მასზე შეიძლება ნებისმიერ დროს განხორცილდეს ძალადობა. მას სამართლიანი სამყაროს შესახებ წარმოდგენა დაერღვა.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის, ახლობლების, მეგობრების თანადგომას. ხშირ შემთხვევაში მშობლების მხრიდან გაუცხოებას ვხვდებით შვილის მიმართ, იმიტომ კი არა, რომ შვილი არ უყვართ, თვითონ ვერ ერევიან პრობლემას. ეჭვი მეპარება, ჩვენს საზოგადოებაში ასეთი გაგებული, ნორმალური, კულტურული პიროვნება ვიპოვოთ. პირიქით სდება;

ბის მკვეთრად შეტრიალება გამოიწვია... უარესობისკენ. ...ახალ წლამდე ორი კვირადღა რჩებოდა. საახალწლოდ ბუნებამ თბილისელებს გული არ დასწყვიტა და ქალაქი ფიფქების კორიანტელში გაეხვია.

2007 წლის დეკემბრის ერთ საღამოსაც თოვდა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ხალხი შინ მიიჩქაროდა.

გურამიც შინ წასვლას ჩქარობდა. სახლში სადღესასწაულო სუფრა იშლებოდა. უფროსი ბიჭის დაბადების დღეს ზეიმობდნენ.

გურამმა მალაზიის დაკეტვის შემდეგ ოპერის სამკერვალოში შეიარა (აქ მის მეზობლად მცხოვრები ოლია გეგუჩიძე მუშაობდა, ძველ თანამშრომლობას არ ივინყებდა, შინ წასვლის წინ ოლიას გამოუვლიდა და ერთად მიდიოდნენ ხოლმე სახლში) და იქიდან ერთად გამოსულები მანქანაში ჩასხდნენ.

მკერავი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ იმ საღამოს მკვლელობის შემსრულებელი იყო. სიკვდილს თვალში ჩახედავდა და, ბოლოს, სწორედ მისი ჩვენების საფუძველზე დააკვებდნენ მგლისნიღბიან ზაზა სიჭინავას.

როგორც შემდგომში მკერავი იხსენებდა, მანქანაში ჩასხდომისას მათ იქ ახალგაზრდა დახვდათ. ეს ზაზა იყო.

მანქანა ვაკე-საბურთალოს მიმართულებით დაიძრა. არადა, გურამი შინ ამ გზით არასდროს ბრუნდებოდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მოკლულმა გზა ზაზას გამო გაიმართლა.

ბიჭი ნერვიულობდა, კეპს ხელში აწვავდა და შიგადადნენ. მამამ მალე მეორე ოჯახი შექმნა. მანანა კი მარტოხელა დედად დარჩა. კაცმა რომ თქვას, მასაც ჰქონდა უფლება, თავისი ცხოვრებით ეცხოვრა. როგორც ჩანს, ქართულ რეალობაში ეს „უფლება“ ჰაერში ნასროლ სიტყვად რჩება. ამის აღმოსაჩენად მიუღებელ სექსუალურ ინსტინქტებს, მისასალმებელია მათი ვიზიტი ფსიქოლოგთან.

„მე და ჩემი ქმარი 25 წლის წინათ განვქორწინდით. თუმცა ეს იყო ფიქტიური განქორწინება იმისათვის, რომ თავისუფლება ჰქონოდა. მე-



გადახტა მოძრავი ტრანსპორტიდან. მან მძიმე დაზიანებები მიიღო... მოგვიანებით კი ერთადერთმა მოწმემ (ოლიამ) დანაშაულებით ისაუბრა ტრაგედიის შესახებ:

„გზად მიმავალი ჩვეულებრივად საუბრობდნენ, საგანგაშო არაფერი შემიმჩნევია. წყნეთის ასახვევამდე არ ვიყავით მისული, რომ ეს ბიჭი (ზაზა სიჭინავა) მანქანიდან გადმოხტა და ერთი გასროლაც გაისმა. ყველაფერი წამებში მოხდა. დავიინახე, რომ გურამი მკვდარი იყო... მე იქ სხვა არავინ მიინახავდა არ ვიცი, სხვა ვის უნდა ესროლა... ფაქტია, რომ მე არ დამინახავს, ვინ ისროლა, მე მხოლოდ სროლის ხმა გავიგე.“

არ ვიცი, რატომ მოკლა. მერე გავიგე, რომ ეს ბიჭი გურამის საყვარლის შვილი ყოფილა და სწორედ ეს გახდა მკვლელობის მიზეზი... პოლიციამ ბიჭი მალევე დააკავა. მან დანაშაული აღიარა. მისი ერთადერთი თხოვნა იყო, რომ სასამართლო პროცესები, სადაც შესაძლოა, ინტიმური დეტალები გახმაურებული იყოს, დახურული ყოფილიყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მანანა ლლონტი კატეგორიულად უარყოფდა გურამ ქაშიაშვილსა და მას შორის ინტიმურ ურთიერთობას, თუმცა მოკლულის ყოფილი ცოლი საპირისპიროს ამტკიცებს:

„მე და ჩემი ქმარი 25 წლის წინათ განვქორწინდით. თუმცა ეს იყო ფიქტიური განქორწინება იმისათვის, რომ თავისუფლება ჰქონოდა. მე-

ზობელ კორპუსებში ვცხოვრობდით მე და ჩემი მეუღლე. მე შვილებთან ერთად დავრჩი. გურამი თავის ბინაში მხოლოდ დასაძინებლად მიდიოდა. ჩვენთან სადილობდა, დღესასწაულებზე ყოველთვის ჩვენთან იყო. როცა მალაზიიდან ბრუნდებოდა, წინასწარ მირეკავდა და მატყობინებდა, რომ მოდიოდა...“

...ის ქალი სად და როდის გაიცნო, ვერ გეტყვით, თუმცა წლებია, რაც იცნობენ. როცა მე რაიონში ვიყავი ნასული, ჩემს ქმარს სახლში მოჰყავდა. ჩემი ქმარი მაგ ქალს თავის ნათესავებს მეგობრად აცნობდა, ხოლო როცა სანაპიროზე ჩაწყვდა ჩემს მაზლთან, ჩემი „ნამა“ არისო, — ეუბნებოდა. ასე რომ, აქ დასამალი არაფერია.

ძალიან ბევრი მოწმე არსებობს, რომლებმაც კარგად იციან, ვინ იყო და რა როლს თამაშობდა ეს ქალი მის ცხოვრებაში... ელეონორა დარწმუნებულია, რომ ზაზა სიჭინავამ მკვლელობა შურისძიების ნიშნად ჩაიდინა:

„როცა იცი, დედაშენი როგორ ცხოვრების წესით ცხოვრობს... მე როგორც გავიგე, ზაზა მამამისმა დაინახა და უთხრა, — დედაშენი როგორ იქცევა, ძმაკაცები გყავს, რას იტყვიანო... ესეც გაბრაზებული გამოვარდა სახლიდან და მკვლელობა ჩაიდინა. თუ მკვლელობას აპირებდა, მაშინ ჯერ დედამისი უნდა მოეკლა.“

ჩემს ქმარსა და ზაზას დაქორწინება... ამ ქალმა მე ცხოვრება დამინგრა, ჩემს

შვილებს მამა დაუღუპა, თავისი შვილი კი ციხეში გაუშვა და მთელი ცხოვრება აურია...“

მოკლულის ყოფილი მეუღლე მკვლელობის დღეს იხსენებს:

„ღამის 12-ის ნახევარზე ვილაცამ დარეკა. ყურმილი ავიღე, მაგრამ გათიშა. მივხვდი, რომ მანანა იყო, რადგან სხვა დროსაც მოქცეულა ასე. როცა მეორედ დარეკა, ჩემმა შვილმა უპასუხა. ჰკითხა, მამაშენი თუ დაბრუნდა... დაახლოებით ღამის 12 საათზე ჩვენთან პოლიციელები მოვიდნენ და გვითხრეს, რომ განყოფილებაში მიგვეკითხა. მომხდარის შესახებ იქ გავიგეთ... ერთი ტყვია იყო ნასროლი... კვადან შუბლიდან მოსული და მანქანის მინას მოხვდა... ჩემი ქმრის შეცდომა იმ ქალთან ყოფნა იყო. ამის მიუხედავად, უაღრესად თბილი, ყურადღებიანი ადამიანი გახლდათ. ამით ის თავის შეცდომას ფარავდა...“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზაზამ თავი დამნაშავედ ცნო. მან სასამართლოს ჩვენებაც მისცა. პროცესი მისი თხოვნით დახურეს. მოკლულის შვილმა გვიამბო, რის შესახებ ისაუბრა ზაზამ პროცესზე:

„მან თქვა, იმიტომ მოკვალ, რომ დედაჩემთან დაიბოლო. როდესაც ვკითხე, დედაშენმა სხვა კაცთან რომ გაიაროს, იმ კაცსაც მოკლავ, ან დედაშენი რატომ არ მოკალი-მეთქი, არაფერი მიპასუხა და თავი ჩაღუნა...“

მოკლულის შვილი უკმაყოფილო დარჩა სიჭინავას სასჯელის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებით.

სასამართლომ სიჭინავას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მოკლულის ოჯახი მიიჩნევს, რომ ეს სასჯელი მეტისმეტად ლომბიერია:

„სასაცილოა, მოზილურის ქურდობისთვის და ყაჩაღობისთვის 10 წელს აძლევდნენ, მკვლელობისთვის კი 11 წელი მისცეს. მით უმეტეს, მან დანაშაული აღიარა. განაჩენით უკმაყოფილო ვარ. მისთვის მაქსიმუმ უნდა მიეცათ“... — ამბობს მოკლულის შვილი.

## შინაგანი საყვაროს შედეგს ნაკიოვდგენს

ობიექტს წარმოადგენს, ამიტომ, თუ გამოცდილ პედოფილთან გვაქვს საქმე, მას შეუძლია, დიდი გავლენა მოახდინოს მოზარდზე. ამასთან, პედოფილს ემინიათ, არ გახმაურდეს მათი ნამოქმედარი. ამიტომაცაა ბავშვები მათთვის სასურველი და საშიშნებელი ობიექტები. პედოფილი მასზე ძლიერთან არასდროს მივა. სწორედ ამიტომ პედოფილი ბევრად უფრო სადამსჯურ ფუნქციებს ატარებს.

— როგორ ფიქრობთ, ზემოგანხილულ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ პედოფილიასთან გვაქვს საქმე?

— ამ შემთხვევაში შეიძლება პედოფილიასთან კი არა, გაუკუღმართებულ სექსუალურ მიდრეკილებებთან გვეჭიდება შეხება, ანუ ის შე-

იძლება „გვი“ ყოფილიყო. რაკი ჯერ პატარა იყო და თავისი მიდრეკილებების რეალიზაციას ვერ ახორციელებდა, ამ მოქმედებით დაიკმაყოფილა მოთხოვნები. პრაქტიკაში მქონია შემთხვევები, როცა ჩემთვის მოუმართავთ ბიჭებს, რომლებიც ამ მიჯნაზე დგანან. თუკი თავის თავში აღმოაჩენენ მიუღებელ სექსუალურ ინსტინქტებს, მისასალმებელია მათი ვიზიტი ფსიქოლოგთან.

— ამგვარი ძალადობის მსხვერპლი შეიძლება თუ არა ნორმალურ ადამიანად ჩამოყალიბდეს?

— ბავშვს, რომელზეც ძალადობა მოხდა, ფსიქოლოგიური ტრავმა აქვს მიღებული. მას მიხედვით სჭირდება, რასაკვირველია, პროფესიონალის მხრიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, ტრავმა პიროვნების გონებაში რჩება. აქ საუბარია იმაზე, რამდენად სწორად გილს მიუჩენენ მომხდარს მის გონებაში. ბავშვმა მიიღო გამოცდილება, რომ იგი დაუცველია, უსაფრთხო გარემოში არ ცხოვრობს და მასზე შეიძლება ნებისმიერ დროს განხორცილდეს ძალადობა. მას სამართლიანი სამყაროს შესახებ წარმოდგენა დაერღვა.

უნდა დაიმალოს, რომ მერე თითო არ მოგივიწიონ... — რაც შეეხება მეორე მაგალითს... — ამ შემთხვევაშიც ძალიან ბევრი ქვედინებაა. საერთოდ, ბიჭებისთვის ძნელი ასატანია, როცა დედა თხოვდება, არა თუ საყვარლის ყოფილი. ფსიქოლოგიურ ასპექტში, გასაგებია, კონკურენტული ურთიერთობა, დედის ცხოვრებაში სხვა მამაკაცი არსებობს, მანამდე თვითონ იყო ერთადერთი მამაკაცი დედის ცხოვრებაში.

— ბიჭს დედის საყვარელთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, რომ არა მამის ნამოძახილი... — ეს იყო ნაქმეობა; ამ შემთხვევაში ის ბრმა იარაღად იყო გამოყენებული. თითქოს

დაგროვილი გალიზიანება და ეს შესაძლოა, ბოლო წვეთი იყო. ერთი სიტყვაც კი უკვე საკუთარი „მე“-ს შელახვაა.

— თქვენი აზრით, რატომ მოკლა ბიჭმა საყვარელი და არა დედა?

— ამ შემთხვევაში მსხვერპლი ვინ იქნებოდა, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. როცა მიუღებლობა არ ჰქონდა, მათი ურთიერთობა ადარ აქვს, მეორედ გადააბიჯებთ თუ არა. რატომ მოკლა საყვარელი და არა დედა, არ ვიცი. ეტყობა, საყვარელმა უფრო გააღიზიანა. აქ მამაკაცური თავმოყვარეობის შელახვასთან გვაქვს შეხება, რომელიც შიგადაშიგ ყოველთვის სდებოდა, მაგრამ — ასატან ფარგლებში.

**ზურაბ გაგნიძე:**

# დავით უსუფაშვილი პოლიტიკური ლიდერის სურობათია

უკვე ოცი წელია, პოლიტიკურ წყვილად ჩაძირული საქართველო ამოდ ელოდება გამოჩენას. ბოლო ხუთწლეულში უფრო აშკარა გახდა, რომ სამტრედო მოსული მოყვარე გამუდმებით უტევს ქართველი ერის ფასეულობებს, ადათ-წესებს, მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, რადგან ფერადი რევოლუციების არსი ერის მენტალიტეტის შეცვლას ემყარება. ათასი პრობლემით დახუნძლულ ქართველებს ნელ-ნელა ათასი მიუღებელი ხრიკით თავს ახვევენ კოსმოპოლიტური მოქალაქის აზროვნებასა და სამყაროს მოწყობაზე თავიანთ შეხედულებებს. ეს ყველაფერი მოდის ნაბიჯ-ნაბიჯ, შემპარავად ქართველ ავანტიურისტ პოლიტიკოსთა ხელმძღვანელობით. უკანასკნელ წლებში საკითხი გაშიშვლდა, რადგან ქართველი კაცის ზემოქმედით გონიერება მიხვდა, რომ ნიველირების საშუალებით ტენდენცია გამეტებით ურტყამს მის ეროვნულ ცნობიერებას და ინტერესებს. ქვეყანა დაიშალა, მძიმე სოციალური მდგომარეობა, სამართლიანობა გაქრა და ამ ფუნქციას უკვე საერთაშორისო ორგანიზაციები ასრულებენ. დაკარგულია ტერიტორიები, დაღის ხეობა აფხაზეთად გამოცხადდა, ახალგაზრდა — ოსეთად. სიჭრელის გამო ოპოზიციამაც ნდობა დაკარგა. პრეზიდენტის ნაჟიდან გუშინ გადმოშტატარნი ისეთივე თავგამოდებით აკრიტიკებენ ხელისუფალთ, როგორცაა 5 წლის განმავლობაში ემსახურებოდნენ; თანაც, სურვილი აქვთ, ერის ლიდერები გახდნენ. ოპოზიციის გარკვეულმა ნაწილმა ხალხის ზურგს უკან ხელისუფლებასთან დიალოგიურ საეჭვო რეპუტაციას შეიძინა. სოროსის გლობალისტებიც ოპოზიციონერობენ და ამერიკელებს „ფიცს აძლევენ“, ჩვენ უფრო გონივრულად დავანგრევთ საქართველოს. ჭეშმარიტი და უღალატო მხოლოდ ქართველი ხალხია, რომელიც ცდილობს, ქვეყნის მოვლა-პატრონობა თავად აიღოს ხელში და სამართლიანი არჩევნების უფლება მოიპოვოს. ამჟამად საუბარი გვექნება რესპუბლიკური პარტიის ლიდერზე, „ალიანსი საქართველოსთვის“ თანაავტორად დავით უსუფაშვილზე, რომლის ფსიქოტიკის წარმოგვიდგენს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი **ზურაბ გაგნიძე**.



— ბატონო ზურაბ, როგორია დავით უსუფაშვილის როგორც ლიდერის სულიერი ანატომია, რომელ შტრიხებს გამოჰყოფთ მის ფსიქოპორტრეტში?

— მთელი თავისი არსით ცდილობს რა ჩრდილით ყოფნას, მისი ფსიქიკა მთლიანობაში გახსნილი არაა. როგორი სულიერი ანატომია ექნება ლიდერს, რომელიც უდიდეს რადიკალიზაციას უკავშირდება ხელისუფლებაში მოსასვლელად, მაშინ, როდესაც წინა არჩევნებში ბარიერს კი ვერ გადალახავს. საინტერესოა, რამ შემატა რიხი? თუმცა ამის გამოცნობას დიდი ფსიქოლოგობა არ სჭირდება. იგი „ბიძია ჯორჯისგან“ გადმოსროლილ ბატონობის ბაღში ელოდება მალაქას ახსტომად. ასეთი განცხადება ამკარად მიგვანთხნის ავტორის გონიერი უნარების სიზარმაცესა და სულიერ ნაკლებობებზე. ყველა ვითარებაში უსუფაშვილის მიზანი ერთია — პოლიტიკურ სივრცეში დამყვანი ძალის სახელის მოპოვება და გავლენის მიღწევა. დღეს მისი სურვილია, „ახალი ცოცხის“ პრინციპით, ალასანიაზე დაყრდნობით, ავტორიტეტი მოიპოვოს და მომეტა ძირის გამოთხრით, გული-სამრევი მლიქვნელობით „ოკეანის გაღვლედი“ დირექტორთა „მხარდაჭერა“ დაიმსახუროს. ფსიქოლოგიური ანალიზით კი, პიროვნება, რომელიც მზაობას მანიფესტურად გამოხატავს, თავს იმხნეებს და ამით ქვეცნობიერში — სულში ატყობს შიდა კონფლიქტს ებრძვის. ამბიცია აქვს, მაგრამ ხომ იცის, მალალი რეიტინგით ვერ დაიკვებნის, ქვეცნობიერის ძახილით თავს ჩამოქვეითებულად გრძობს. ამიტომაც იქადნება. ლირსულს ხომ ეს არ სჭირდება, მაგრამ მას სჭირდება ხელისუფლება, რადგან მის სულიერებაში უკვე განივთებულია მიზანი და გამეფებულია პატივმოყვარეობა.

მოსაზრებები განსჯითი შეფასებებითა დადგენილ-დან-მენდლი ანალიზით, მაგრამ არასოდეს გამოირჩევა მუხრძოლი ლიდერის ცეცხლოვანი სიტყვებითა და ემოციური მუსხტით. მისი გონებრივი უნარები ცივია, შინაგანი ექსპრესიის გარეშეა დარჩენილი. მის ნათქვამში არ იგრძნობა გულითადადობა და გულსტყვილი მომხდარის გამო. მას აკლია პოლიტიკური ლიდერის ინდივიდუალობა, განსასჯელ პრობლემაზე ან მომხდარზე ყურადღება რომ მიგაქცევიდეს. ის იმდენად მოსაწყენი ორატორია, არ შეუძლია, თანამოაზრედ გაგიხადოს, ამის მიზეზ-სათავე კი სულიერი სიღარიბეა. ამ ნაკლის გამო (თუმცა უამრავი სხვა უფრო სერიოზული მიზეზიც არსებობს) ვერ მოიხვეჭა ფართო პოპულარობა. მის ფსიქოპორტრეტს აკლია ინდივიდუალობის კოლორიტი, დინამიკურობა, შთაბეჭდილობა, სულიერების მასებზე განფენის ნიჭი, ამიტომ თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის გზაზე არასოდეს უგემინია აუდიტორიის მხრიდან ტამის ქარიშხალი. ის ნელა, თავისი ტემპერამენტის შესაბამისად ირჯება დინჯად და უემოციოდ და, ასევე, ჩუმად უჩინარდება, მსმენელს კი ამ სიმშრალის გამო არაფერი ამასოვრდება.

— ამ პარტიასთან ალიანსში ალასანიას შესვლა რას უსულიერმა ერთობამ განაპირობა?

— მათი გაერთიანება მოტივირებულია უკიდურესი ანტიეროვნული განწყობით. რესპუბლიკური პარტია რადიკალური სოროსიზმის მიმდევარია და მისივე დაფინანსებული. დემოკრატიულ პარტიას ალასანია გადარჩენისთვის, რეიტინგის ასანევად სჭირდება, ალასანიას კი პარტიის შექმნისთვის თანაზრეთა ჯგუფი არ ჰყავდა. მათზე დაყრდნობით ალასანია ამ პარტიის პოლიტიკური წარსულის თანაზიარი გახდა. პოლიტიკაში სულიერი ერთობა გამორიცხულია. აქ არის „ხელი ხელს ჰბანს“, გარიგებები და პირად ინტერესთა თანხვედრა, ფსონის

დადება ამერიკულ მოდელზე... და საქმე იქამდე მიდის, რომ საკითხავია: ისინი ერთმანეთს ახერხებენ? — რა თქმა უნდა, არა, იმიტომ, რომ ორივე მხარე სულით დატაკია, უცხო ძალებს ემსახურება და და მინაგანი სულიერი ნყოფით ერის სულიერ კონსტიტუციას უპირისპირდება. დავით უსუფაშვილი ამერიკულ მტატებში ანალიტიკოსებისა და პოლიტიკოსების თვალში ირაკლი ალასანია ერთ-ერთ მისაღებ ვარიანტად რომ არ ჩანდეს, კარგია, თუ ჩვენი ინტერესები დავითზეა ობამას ადმინისტრაციის შეხედულებებს. ამ სიტყვებით ისევე მოწურავს ფსიქოლოგია ამჟღავნებს ავტორიული მადლიერების გრძობასაც. მისი ზნე და ბუმბუბი ანტიეროვნული საზომებით უდგება არსებულს. თვითნებურად ჩნდება კითხვები: ბატონო დავით, ის არ გაგიკვირდათ, რომ ირაკლი ალასანია, როგორც პოლიტიკოსი და პრეზიდენტობის კანდიდატი, საესებით უცნობი იყო ქართველი ამომრჩეველისათვის? რატომ მიგაჩნიათ, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, თქვენი და ობამას, მისი ადმინისტრაციის შეხედულებათა დამთხვევა? ნება მომეცით, შეგისწავლოთ: — კარგი მაშინ იქნებოდა, თუ თქვენი და ქართველი ხალხის შეხედულებების თანხვედრა მოხდებოდა. დაიხ, თვითმყოფად, ეროვნულ სამყაროსთან თანხვედრამ უნდა მოგანიჭოთ სიხარულიცა და სასიამოვნო განცდაც და არა ნიღბინმა „დამპყრობმა“. ისიც მინდა, შეგახსენოთ, რომ 35 წლის პოლიტიკურ ლიდერად ახლად გამოცხვარ ბიჭებს ამერიკაში პრეზიდენტად არ ირჩევენ. თქვენ ტიპური მედროვისა და უზიანი კარიერისტის ნიღბი ისე უღაზათოდ მოირგეთ, რომ, თქვენს ესთეტიკურ უნარებზე რომ ალარაფერი ვთქვათ, უკომენტაროდაც ყველაფერი ნათელია. სიცრუე პოლიტიკოსების თანამგზავრია, როგორც მაკიაველი ამბობს, მაგრამ უსუფაშვილის გარშემო ყვე-

ლაფერი სიცრუითაა გაჯერებული, მაგრამ მის საუბარში მაინც იპარება ქვეცნობიერში ჩაღეჭილი ჭეშმარიტი. ამერიკელების აღმოჩენას — ირაკლი ალასანიას — დავით უსუფაშვილი სტუდენტობის დროიდან იცნობდა. ის მისი მეუღლის — თინა ხიდაშელის თანაკურსელი იყო. ასე რომ, ნაცნობობის კარგად ცნობილმა ჭირმა „ალიანსშიც“ შეაღწია. ირაკლი ალასანიას სახით „საქართველოს ოპოზიციურად განწყობილ მოსახლეობას პოლიტიკური ორიენტირი გაუჩნდა“, — ასე ხსნის ბატონი დავითი ალასანიას პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებას. ამ სიტყვების მიღმა ახალი ფსიქოლოგიური ნყოფის პოლიტიკოსი დგას,

**ამჟამად უსიქოლოგიკა დაეაგოვება ბავრად აღმატებული, რადგან მის განსჯაში უსინდისობას უკავია და უშაქავს ჭკვიანია.**

— რესპუბლიკელების პარტიას თვითონ წევრები „ინტელექტუალთა“ პარტიას უწოდებენ; მათ პრეტენზია აქვთ ნიჭზე, განსწავლულობასა და გონიერებაზე, ამგვარ თავმოძრონეობას ფსიქოლოგიური თვალსაზრით როგორ ახსნი?

— აქ მე უკვე ერთ მარტივ ჭეშმარიტებას შეგახსენებთ მნიფე თავთავის თავმდაბლობის შესახებ, გნებავთ, სახარებისეულ სიბრძნეს — „დამდაბლი, რომ ამალდე!“

მათი ინტელექტი საეჭვოა იმიტომ, რომ ვერ ხვდებიან, დღეს საქართველო და მისი ხალხი ახალ მსოფლიო წესრიგში თვითდამკვიდრების მტკივნეულ ძიებაში რომაა. ინტელექტის სიჩლუნგზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ამ სიტუაციაში მენ ამ ხალხს ორიენტირად უმნიფარ, უსახელო, დაუღვინებელ და

სხვის ხელდასხმულ ალასანიას სთავაზობ. დღეს უსუფაშვილი თავისი გუნდით ქვეყნის დამტკევი ძალის საყრდენად მოიაზრება.

საერთოდ, რამ გამოიწვია პოლიტიკოს-დამნაშავეთა გამრავლება? სოციალური ფსიქოლოგიაში ეს ასე აიხსნება: მას იწვევს ქვეყნის ეკონომიური დონის დაქვეითება, მასათა შეგნებულობის დაცემა, რასაც საზოგადოების კარკვეული ნაწილის გულსისატყნად განწყობილ მოსახლეობას პოლიტიკური ორიენტირი გაუჩნდა“, — ასე ხსნის ბატონი დავითი ალასანიას პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებას. ამ სიტყვების მიღმა ახალი ფსიქოლოგიური ნყოფის პოლიტიკოსი დგას,

ბატონი უსუფაშვილი ბრძანებს: „როდესაც ამერიკელი კონგრესმენი თუ ადმინისტრაციის წარმომადგენელი ხედავს, რომ საქართველოს უუნარო, გონებაზე ღელული გუნდი მართავს, მათ ინტერესშიცაა, აქ უკეთესი ინტელექტი იხილონ. ამიტომ ეს ინტერესი არის და საჩვენოდ უნდა გამოვიყენოთ“. ეს დიდი პოლიტიკაა, როდესაც და საქმეც უგულო, მშრალი და სისხლნაკლულია. თუ პარტიის შემოთავაზებული თანამდებობები მის კარიერისტულ მიზნებს არ დაემთხვა, ის, ახალი ტიპის პოლიტიკოს-არამზადების მსგავსად, ყოველგვარი კაცურკაცობის გარეშე, მონინაღმდეგეთა ბანაკში გადაბარგდება, რადგან მისი ნებელობა პათოლოგიურ უპრინციპობაშია ჩაძირული. მის ფსიქოპორტრეტში იმდენი წინააღმდეგობა, ალტერნატიული გაორება და მეუსაბამოვილის პიროვნებაში კი ნიჭისა და მიმართულებების ეგოისტური მიდრეკილებებისკენ წარმართვა ხდება, ჭარბობს ეგოიზმი, სუბიექტურის ობი-

ექტურ ჭეშმარიტებაზე წინ დაყენება. მის პიროვნებაში სიცრუე — სანყისი ყველა უბადრუკი ჩვევისა, ერთგვარ დოგმად და კანონად არის ქცეული, თანაც, მის საქმიანობას აკლია ჭეშმარიტების მარლი, ამიტომ პოლიტიკური ლიდერის სუროგატია, რომელიც ქვეყანაში მომხდარი მძაფრი მოვლენების დროს უკან მიდევნებული ლამპრის როლს ასრულებს. ის მოვლენების მუაგულში კი არ არის, არამედ ინტელექტუალობის პრეტენზიით აღჭურვილი, დასტაქარივით ზემოდან დასტკერის მოვლენებს და საკუთარი მიზნის მისაღწევად (არა ქვეყნის ჩიხიდან გამოსაყვანად) ამკარად ფსევდოობიექტურ დასკვნებს აკეთებს. სხვათა ნების გამახატულებასთან მისი ლოგიკური კავშირი ბუნებრივად აჩენს მის მიერ არჩეული გზის სიმრუდეს, რომ ის ვერაფრით ერევაანგარებასა და ქვენა გრძნობებს, რის გამოც ადევნებულია მსოფლიოს გლობალურ და მოდურ პრობლემებს არა მრწამსით, არამედ გამორჩენის მიზნით, რაც მის პიროვნებას ძალიან აპატარავებს. უსუფაშვილის უდიდესი დანაშაულებრივი მტკიცებულებაა მისი გეგმა საქართველოს ფედერალური მოწყობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთი, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი იქნება. მან კი გეგმით სოროსეთა და აკვეთა შესაძლებელია და დაეყრდნო გლობალისტების მოთხოვნას — დაყონ სახელმწიფოები ჯუჯა რესპუბლიკებად. ამით მან ცხადყო, რომ კლასიკური ნყოფის სოროსელია და მოკლებულია მაღალზნეობრივ თვისებებს: სამშობლოს სიყვარულსა და პატივისცემას; არ გააჩნია სინდისის, სირცხვილისა და ღირსების გრძნობა და გამოირჩევა გულგრილობით, რითაც აპათიის ზღვარზეა. ამგვარ ტიპებს ფსიქოლოგიაში ანტისოციალურ ფსიქოტიკს უწოდებენ. მის სულიერ უნარებში ნებელობა ჩაკლულია თავისუფალი მოქმედებითა და არჩევითობის შესაძლებლობებით. ეს კი სულიერი დაცემის წარმომშობია. ასეთ ფსიქოლოგიურ სურათში სუბიექტი ხდება უსამართლო, უზნეო, ცდომილების მსხვერპლი, ეგოისტური და ცალმხრივი, დისტანციური და ჩაკეტილი; დარღვეულია ხასიათის სიძლიერე; არ არსებობს მისი უნარების შინაგანი ჰარმონია; მისი სიტყვაც და საქმეც უგულო, მშრალი და სისხლნაკლულია. თუ პარტიის შემოთავაზებული თანამდებობები მის კარიერისტულ მიზნებს არ დაემთხვა, ის, ახალი ტიპის პოლიტიკოს-არამზადების მსგავსად, ყოველგვარი კაცურკაცობის გარეშე, მონინაღმდეგეთა ბანაკში გადაბარგდება, რადგან მისი ნებელობა პათოლოგიურ უპრინციპობაშია ჩაძირული. მის ფსიქოპორტრეტში იმდენი წინააღმდეგობა, ალტერნატიული გაორება და მეუსაბამოვილის პიროვნებაში კი ნიჭისა და მიმართულებების ეგოისტური მიდრეკილებებისკენ წარმართვა ხდება, ჭარბობს ეგოიზმი, სუბიექტურის ობი-

**ესაუბრა ლალი შაჟიაშვილი**

# ამერიკის გზა ფაშიზმისკენ

გაგრძელება. დანახვისი №16

## უთვალთვალეთ მოქალაქეებს

ფაშისტურ იტალიაში, ნაცისტურ გერმანიაში, გერმანიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კომუნისტურ ჩინეთში — ნებისმერ დახურულ საზოგადოებაში — საიდუმლო პოლიცია ჩვეულებრივ მოქალაქეებს უთვალთვალავდა და აქეზებდა, მეზობლებს უთვალთვალავდა. მაგალითად,

**საქართველოში, „შტაის“ ტვალყურის დავება და ნახვინის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა ნაწილზე, რათა დანარჩენების დაარსებების, რომ მათას უთვალთვალავდნენ.**

2005-2006 წლებში ჯერმანიაში და რიკლინგბლადი „ნიუ-იორკ თაიმსში“ ხელისუფლების საიდუმლო პროგრამის შესახებ სტატიების სერია გამოაქვეყნეს, რომელიც ითვალისწინებდა მოქალაქეთა ტელეფონების მოსმენას, მათი ელექტრონული შეტყობინებების „პერუსტრაციას“ და საერთაშორისო ფულადი გადაციხვებისთვის თვალის დევნებას. მაშინ უბრალო ამერიკელებისთვის ნათელი გახდა, რომ შესაძლოა, სახელმწიფოს ხაფანგი მათთვისაც დაეკმ.

დახურულ საზოგადოებაში ასეთი თვალთვალის „ნაციონალურ უსაფრთხოებასთან“ დაკავშირებული მოსაზრებებით საბუთდება. სინამდვილეში კი მისი მიზანი მოქალაქეთა მორჩილების უზრუნველყოფა, განსხვავებული აზროვნებისა და დამოუკიდებელი საზოგადოებრივი


საქმიანობისთვის დაბრკოლებების შექმნაა.

## არ მოსვენოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციები

„ინსტრუქციის“ მეხუთე პუნქტი უშუალოდ უკავშირდება მეოთხეს — აუცილებელია ინფორმაციით საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაგვსება და მათი დაშინება. საუბარია წვრილმანებზეც: მაგალითად, პასადენის ერთ ეკლესიაში საგადასახადო სამსახურმა გამოძიების ჩატარება დაიწყო, რადგან მღვდელმა ქადაგებისას აღნიშნა, რომ ქრისტი ხალხთა შორის მშვიდობის მომხრე იყო. ეს იმ დროს, როცა ეკლესიებს, სადაც რესპუბლიკელებს საარჩევნო უბნებზე მისვლისკენ მოუწოდებდნენ (რაც ასევე აკრძალულია ამერიკის საგადასახადო კანონმდებლობით), ხელს არ ახლებდნენ (ეპიზოდი „ომის საწინააღმდეგო ქადაგებით“ 2004 წელს ნინასაარჩევნო კამპანიისას მოხდა და ხელი-სუფლებამ ის პოლიტიკურ აგენტად შეაფასა. შეერთებული შტატების კანონებით, გადასახადებისგან გათავისუფლებულ ორგანიზაციებს, კერძოდ, ეკლესიებს, უფლება არ აქვთ, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ საქმიანობაში, ამიტომ ასეთი შემთხვევების გამოძიებით საგადასახადო სამსახურია დაკავებული, — ავტ.).

თუმცა არსებობს ამგვარი თვალთვალის უფრო სერიოზული მაგალითებიც:

**ამერიკის სამოქალაქო თავისუფლების კავშირის მონახვებით, სპეცსამსახურები თავიანთ აგენტებს ათასობით ანტისამხედრო, ეკოლოგიური და საზოგადოებრივი**



XX საუკუნის დანახვისი ამერიკული არმიის ფორმა

## ორგანიზაციები ნარკავნი.

პეტეგონის საიდუმლო მონაცემთა ბაზაში 1500 „საექვო ინციდენტს“ შორის 40-ზე მეტი მშვიდობიანი შეკრება, მიტინგი და მსვლელობა ირიცხება, რომლებიც ამერიკელმა მოქალაქეებმა გამართეს. თავდაცვის სამინისტროსთან არსებული გასაიდუმლოებული ოპერატიული კონტრაზვერვის სამმართველო ინფორმაციას აგროვებს ამერიკულ ორგანიზაციებზე, რომლებიც სავეტებით კანონიერი პოლიტიკური საქმიანობით არიან დაკავებული: ამგვარად, ისინი თითქოსდა „ტერაქტების პოტენციურ საშიშროებას“ ავლენენ. ახლახან მიღებული კანონი „ტერორიზმის“ კვალიფიკაციას აძლევს საზოგადოებრივი საქმიანობის ზოგიერთ სახეს; მაგალითად, ცხოველების უფლებების დაცვის აქციებს. ასე რომ, „ტერორიზმის“ ცნება თანდათანობით ფართოვდება, რათა მასში შესაძლო გახდეს პოლიტიკური ოპოზიციის ჩართვა.

## პრაქტიკაში უპრობლემო თვითნებური დაპატიმრება და ბათავისუფლება

კატათავობანას თამაშით ხალხის დაშინება შეიძლება. თავიანთ ნიგნში („ჩინეთი ილვიძებს: ბრძოლა დიდი სახელმწიფოს სულისთვის“) ჟურნალისტი ნიკოლას დ. კრისტოფი და შერილ ვუ-დანი მოგვითხრობენ, რომ ხელისუფლება პერიოდულად აკავებს, შემდეგ კი ათავისუფლებს ჩინელ დემოკრატებს, კერძოდ, ვეი ძინშენს. დახურულ ან დახურვის მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებაში უთუოდ არსებობს დისიდენტთა და ოპოზიციის ლიდერთა „შავი სია“. იქ მოხვედრილი სამუდამოდ იქვე რჩები.

2004 წელს ამერიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამმართველომ დაადასტურა, რომ აქვს იმ მგზავრთა სია, რომელთა განხრეკა აეროპორტების უსაფრთხოების სამსახურებს აქვთ დავალებული... და ვინ აღმოჩნდა ამ სიაში? — ორი მოხუცი პაციფისტი ქალი სან-ფრანცისკოდან, ლიბერალი პოლიტიკოსი სენტორი ედვარდ კენედი, ვენესუელის მთავრობის ერთ-ერთი წევრი — ის ამ სიაში მას შემდეგ შეიყვანეს, რაც ამ ქვეყნის პრეზიდენტმა ბუში და, ასევე, ათასობით ამერიკელი მოქალაქე გააკრიტიკა.

\*\*\*  
უოლტერ ფ. მერფი პრინსტონის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, საკონსტიტუციო სამართლის ერთ-ერთი ნამყვანი სპეციალისტი ქვეყანაში და კლასიკური ნაშრომის — „კონსტიტუციური დემოკრატია“ — ავტორია. გარდა ამისა, ნარსულში მერფი საზღვაო ძალების მსახურობდა, მიღებული აქვს ორდენები, პოლიტიკური შეხედულებებითაც ლიბერალურ ვერ მიაკუთვნებ. მიუხედავად ამისა, მიმდინარე წლის 1 მარტის თვითმფრინავში არ შეუშვეს ნიუარკის აეროპორ-



ამერიკული „ლია ბარათი“

ტში, რადგანაც, ტერორიზმის თვალსაზრისით, არაკეთილსაიმედო პირთა სიაში აღმოჩნდა.

„როდისმე მონაწილეობდით მშვიდობის მომხრეთა მარშში? ჩვენ ბევრს ვუკრძალავთ ფრენას ამის გამო“, — უთხრა მას ვიკიკომპანიის თანამშრომელმა.

„ავუსხენი, — მოგვითხრობს მერფი, — რომ ასეთ მარშებში არ ვმონაწილეობდი, თუმცა 2006 წლის სექტემბერში პრინსტონში ნავიკითხე ლექცია, — ის ტელევიზორითაც გადაიყვანა და ინტერნეტშიც განთავსდა, — რომელშიც მკაცრად ვაკრიტიკებდი ჯორჯ ბუშს კონსუფციის არაერთგზის დაღვევის გამო.“

„ეს საკმარისია,“ — შენიშნა თანამშრომელმა.  
მონაწილეობდით ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში? — ესე იგი, ტერორისტი ხართ. კონსტიტუციას იცავთ? — ისევე პოტენციური ტერორისტი ხართ. ისტორიიდან ვიცით, რომ ცნება — „ხალხის მტერი“ გაფართოების ტენდენცია აქვს და სამოქალაქო აქტივობის სულ ახალ-ახალ სფეროებს ესება.

ამერიკის მოქალაქე ჯერმანიაში გუანტანამოში მუსლიმანი სამხედრო სასულიერო პირი იყო; ის საიდუმლო დოკუმენტებისადმი დაუდევარ მოპყრობაში დაადასტურა. მოგვიანებით მას ეს ბრალდება მოეხსნა, მაგრამ შემდგომში კიდევ რამდენჯერმე დააპატიმრეს. დღეს ის ხელისუფლების დაუინტერესებული ყურადღების ქვეშაა.

კიდევ ერთი ამერიკელი მოქალაქე, ორეგონელი ადვოკატი ბრენდონ მერიფილი შეცდომით ტერორიზმთან კავშირში დაადასტურდა. სპეცსამსახურების თანამშრომლები მალულად შეიპარნენ მის სახლში და კომპიუტერის კონფისკაცია მოახდინეს. მიუხედავად იმისა, რომ მერიფილი სრულებით უდანაშაულოა, დღემდე შავ სიაშია.

ასეთია ყველა ფაშისტური რეჟიმის სტანდარტული პროცედურა: თუ არაკეთილსაიმედო მოქალაქეთა სიაში მოხვდებით, იქიდან აღარ ამოგიღებენ.

## დააშინეთ უამოქმადი აღამიანაბი

დააშინეთ ხელმწიფოს მუშაკები, მეცნიერები და სახელმწიფო მოღვაწენი სამსახურის დაკარგვით, თუ ისინი არ შეესატყვისებინათ თქვენს საზს. სწორედ ასე ექცეოდა მუსოლინი სახელმწიფო უნივერსიტეტთა რექტორებს, რომლებიც ფაშისტურ იდეოლოგიას არ ემორჩილებოდნენ. ასე იქცეოდა იოზეფ გებელსიც, — რეპრესიებს ახორციელებდა მეცნიერებზე, რომლებსაც პრონაციისტული პოზიციები არ ეკავათ. იმავეს აკეთებდა ჩეხოსლოვაკიაში ჩილემი და ჩინეთის კომპარტიის ამჟამინდელი პოლიტიკური — სჯიდა დემოკრატიულად განწყობილ სტუდენტებსა და მასწავლებლებს.

მეცნიერთა თანამეგობრობა საზოგადოებრივი აქტივობის ნამდვილი „დენთის კასრია“, ამიტომ ისინი, ვინც საზოგადოებაში ფაშისტური წესრიგის დამყარებას ცდილობს, სასწავლებლებიდან რიცხავენ სტუდენტებს და სამსახურებიდან ათავისუფლებენ მეცნიერებს, რომლებიც, როგორც გებელსი ამბობდა, არ ემორჩილებიან იდეოლოგიურ „კოორდინაციას“, ვინაიდან სახელმწიფო მოსამსახურეებამ თვალსაზრისით არ ვმონაწილეობდით, თუმცა 2006 წლის სექტემბერში პრინსტონში ნავიკითხე ლექცია, — ის ტელევიზორითაც გადაიყვანა და ინტერნეტშიც განთავსდა, — რომელშიც მკაცრად ვაკრიტიკებდი ჯორჯ ბუშს კონსუფციის არაერთგზის დაღვევის გამო.“

„ეს საკმარისია,“ — შენიშნა თანამშრომელმა.  
მონაწილეობდით ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში? — ესე იგი, ტერორისტი ხართ. კონსტიტუციას იცავთ? — ისევე პოტენციური ტერორისტი ხართ. ისტორიიდან ვიცით, რომ ცნება — „ხალხის მტერი“ გაფართოების ტენდენცია აქვს და სამოქალაქო აქტივობის სულ ახალ-ახალ სფეროებს ესება.

**ბუშის მოხრეკილი რაქციონი უბათის საკანონმდებლო თავყრილობაზე სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორებისგან მოითხოვნა, გაათავისუფლონ ან დასაჯონ კედაგობები, რომლებიც აშაშინდულ ადვინისტრაციას აპრიტიკებენ.**


რაც შეეხება სახელმწიფო მოსამსახურეებს, ბუშის ადმინისტრაციამ კარიერა გაუფუჭა ერთ-ერთ სამხედრო იურისტს, რომელიც მიუკერძოებელ სასამართლოს ითხოვდა დაპატიმრებულთათვის, ხოლო ერთი ჩინოვნიკი საჯაროდ ემუქრებოდა პატიმრების უანგაროდ დამცველ იურიდიულ ფირმებს, რომ დაარწმუნებდა მათ კორპორატიულ კლიენტებს, ბოიკოტი გამოეცხადებინათ ამ კომპანიებისათვის.

**ნაოლი კულფი „the guardian“ გაგრძელება იქნება**



ამერიკული ფაშიზმი

ბილდერბერგის ჯგუფი (Bilderberg group), რომელიც 130-მდე წევრისაგან შედგება, ყოველ წელს ატარებს არაოფიციალურ, ბილდერბერგის კონფერენციის სახელით ცნობილ შეხვედრას. კლუბის წევრთა უმეტესობა პოლიტიკის, ბიზნესის, საბანკო საქმის გავლენიანი წარმომადგენლები არიან, ნაწილს დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის ნამყვან საშუალებათა ხელმძღვანელებიც წარმოადგენენ. კონფერენციაზე დასწრება შესაძლებელია მხოლოდ პირადი მოსაწვევებით. კლუბის სხდომა მიმდინარეობს სრულიად გასაიდუმლოებულ ვითარებაში. შეხვედრის ორგანიზებასა და მონაწილეთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ქვეყანა, სადაც ბილდერბერგის წარმომადგენლები იკრიბებიან. ეს სახელწოდება ჯგუფმა მიიღო 1954 წლის ოქტომბერში, როდესაც ჰოლანდიის ქალაქ ოსტერბეკის სასტუმრო „ბილდერბერგში“ კლუბის პირველი სხდომა გაიმართა. მიუხედავად სრული გასაიდუმლოებისა, ბილდერბერგის ყოველი შეხვედრა მსოფლიო საზოგადოების უდიდესი ინტერესის საგანს წარმოადგენს და, ცხადია, გაუხმაურებულიც თითქმის ვერასდროს რჩება, რადგან, პრაქტიკულად, შეუძლებელია ერთსა და იმავე ადგილას მსოფლიოს უამრავი ცნობილი ადამიანის — პრეზიდენტების, მეფეების, პრინციების, კანცლერების, პრემიერ-მინისტრების, ელჩების, ბანკირების, უდიდესი კორპორაციების ხელმძღვანელთა ერთდროული ვიზიტის დაფარვა. მით უფრო, რომ თითოეულ მათგანს, როგორც წესი, თან ახლავს მდივნების, მზარეულების, ოფიციალტებისა და პირადი მცველების მთელი ამაღლა. ბილდერბერგის შტაბბინა ნიუ-იორკში, კარნეგის ფონდის შენობაში მდებარეობს. კლუბის აქტივი 383 ადამიანისაგან შედგება, მათგან 128, ანუ ერთი მესამედი, ამერიკელია.



# ბილდერბერგის კლუბი მოსახლეობის ორ მილიარდად შეამსიკაბის შესაძლებლობას განიხილავს

საბერძნეთში, ათენის შემოგარენში, ვულაგმენში, სასტუმრო „ასტორ პალასში“, როგორც ყოველთვის, ზესაიდუმლო ვითარებაში გაიმართა ბილდერბერგის კლუბის მორიგი სხდომა. შეხვედრის ადგილს იცავდნენ სანაპირო დაცვის გემები, აკვალანცისტების სპეცრაზმი, „F-16“ ტიპის ორი თვითმფრინავი და პოლიციის ვერტმფრენი. შეხვედრაზე მიღებული ძირითადი გადაწყვეტილებების შესახებ მისი ინფორმაცია, როგორც წინა შემთხვევებისას, ახლაც ჯონ ტაკერისა და დევიდ ესტულისისაგან მოდის.

ერთ ეკონომიკურ ვარდნას, რაც მსოფლიოს ახალი წესრიგისკენ უბიძგებს, წესრიგისკენ, რომელიც ნაციონალური სუვერენიტეტის მკვეთრი შეზღუდვის ხარჯზე ეფექტიანობის პრინციპის განმტკიცებას დაეყრდნობა. ტაკერის თქმით, გეიტნერმა და ბილდერბერგმა ხანმოკლე და ინტენსიურ რეცესიას დაუჭირეს მხარი, ვინაიდან ხანგრძლივად შესაძლებელია ბილდერბერგის ჯგუფის წევრთა სამეზარეულო ჯგუფების ინტერესები დიდ დაზარალოს. ეკონომიკურ გამოცოცხლებასთან დაკავშირებული ამოწმადელი ეფორია კი მხოლოდ პროულდია იმ უდიდესი დანაკარგების წინ, რომელთა წინაშეც მსოფლიო ისე ახლო მომავალში აღმოჩნდება.

ლობენ ეკონომიკური კრიზისის გამო შექმნილი პრობლემების აქცენტირებას და ეპიდემიის საფრთხით ამართლებენ „გლობალური ელიტის“ ძალაუფლების ცენტრალიზებას. შიმშილს დაწვრივების კოორდინირებულ პოლიტიკაში გადამწყვეტი როლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უნდა შეასრულონ. სწორედ ამიტომ ესწრებოდა შეხვედრას ამ სფეროს არა ერთი წარმომადგენელი. მათ შორის იყვნენ: ამერიკელი „Washington Post“-ისა და „Newsweek“-ის, ინგლისური „The Economist“-ისა და „Financial Times“-ის, ფრანგული „Le Point“-ისა და „Nouvel Observateur“-ის, გერმანული „Der Standard“-ისა და „Die Zeit“-ის, ესპანური „El Pais“-ისა და „Prisa“-ის, თურქული „Milliyet“-ის, ბერძნული „Kathimerini“-ის, ფინური „Talouselama“-ის, შვედური „Ringsier“-ის ხელმძღვანელები.

ტრის იდეების სიყალბეს. ეს „ყოველის შემძლეობა“ მხოლოდ და მხოლოდ „გლობალური ელიტის“ უსაზღვრო გავლენისადმი ბრმა რწმენას ეფუძნება. დასავლეთის მმართველთა ფართო საშუალო ფენა თავად ხდება ფინანსური მწვერვალის დანაშაულებრივი პოლიტიკის მძევალი და მსხვერპლი.

ბერძნულ გაზეთ „To Vima“-ს ფურცლებზე გამოქვეყნებულ მონაწილეთა სიაში გახლდნენ დევიდ როკველერი, ნიდერლანდების დედოფალი ბეატრიქსი, ესპანეთის დედოფალი სოფია, ბელგიის პრინცი ფილიპი, აშშ ფინანსთა მინისტრი ტიმოთი გეიტნერი, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი რობერტ ზელიკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი პასკალ ლამი, აშშ სპეცნარმომადგენელი ავლანეტსა და პაკისტანში რიჩარდ ჰოლბრუკი, ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი ჟან-კლოდ ტრიშე, ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი დომინიკ სტროს-კანი, აშშ თავდაცვითი პოლიტიკის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ამერიკის მენარმეობის ინსტიტუტის თანამშრომელი რიჩარდ პერლი, იმავე ინსტიტუტის თანამშრომელი, მსოფლიო ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი პოლ ვულფოვიცი, აშშ ცენტრალური სარდლობის სარდალი, გენერალი დევიდ პეტრუსი, ბრიუსელის ანალიტიკური ცენტრის „ბრეიკელის“ ხელმძღვანელი ჟან პიზანი-ფერი, „ბრიტოპ პეტროლიუმის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და ვატიკანის ფინანსური მარჩეველი პიტერ სუტერლანდი, „Royal Dutch Shell“-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იერუნ ვან დერ ვერი, ინგლისის დაზვერვის სამსახურის ყოფილი დირექტორი რიჩარდ დერლოვი, როტ-შილდებისა და კისინჯერების ოფიციალური ისტორიკოსი, ეკონომისტი ნილ ფერგიუსონი და სხვანი.

რაც შეეხება დღის წესრიგს, ესტულისისა და ტაკერის ინფორმაციით, მთავარ თემებად განიხილებოდა ეკონომიკური კრიზისის შემდგომი „განვითარება“, ჯანდაცვისა და ფინანსთა საერთაშორისო სამინისტროების შექმნა. სხდომის მონაწილეთათვის წინასწარ დაგზავნილ ბროშურაში აღნიშნული იყო, რომ მსოფლიო ელიტა ხანგრძლივ ან ხანმოკლე, მაგრამ ღრმა დეპრესიებს შორის არჩევანის წინაშე დგას. პირველის არჩევის შემთხვევაში მსოფლიოს ათწლეულობით ერთ ადგილზე გაყინვა და სილატაკე ელის, მეორე კი გულისხმობს მკვე-

რის ხელმძღვანელობა და მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ევროკავშირის გაფართოების საკითხს, თურქეთისა და მაკედონიის ევროსაბჭოში გაწევრებას, რისთვისაც აუცილებელია კვიპროსის პრობლემის მოგვარება. თუ საბერძნეთი გაართულებს მაკედონიის განვითარების თარიღთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს, მას სერიოზული პრობლემები გაუჩნდება, ამჟამადაც ქვეყნის ხელმძღვანელობა ევროკავშირის მხრიდან ინტენსიურად „მუშავდება“. ამ საიდუმლო შეხვედრას საბერძნეთის 11 წარმომადგენელი ესწრებოდა, მათ შორის იყვნენ საგარეო საქმეთა, ეკონომიკის, ფინანსთა მინისტრები და სხვანი.

შეხვედრაზე ბილდერბერგმა წამოაყენა წინადადება, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს გაერთიანების დაქვემდებარებისა და მსოფლიო სამინისტროებად გარდაქმნის ხარჯზე ფუნქციები გაუფართოვდეს. ეს მიმართულება საგანგებო შემთხვევაში ლონდონური „ოქსფორდის“ გადაწყვეტილებას მსოფლიო სავალუტო ფონდის გაძლიერებასთან დაკავშირებით და უშუალოდ დაკავშირებით და უშუალოდ ეპიდემიის გამო ატეხილ სკანდალთან. ფაქტობრივად, საუბარია მოსახლეობის დამინების კამპანიაზე, რომლის მიზანია საერთაშორისო ორგანიზაციების კონტროლის გამკაცრება. ტაკერის აზრით, ეს არჩევანი მნიშვნელოვანი ნაბიჯია მსოფლიო ხელისუფლების შექმნის გზაზე, რასაც გეგმავენ კიდევ ბილდერბერგელები. საკუთარი ძალაუფლების ცენტრალიზებისათვის ისინი შესაბამისი საშუალებებით ცდი-

რომში. ეს მოლაპარაკებები სწორედ კლიმატის ცვლილების საკითხებს მიეძღვნება და საბოლოო ნახშირბადზე გადასახადის დაწესების საკითხიც იქვე განიხილება. კერძო უშუალო ძალისხმევით ობამას ადმინისტრაციას მიმართეს წინადადებით, დაწესდეს გადასახადი ნახშირორჟანგის ნებისმიერი სახით გამოყოფისათვის, ადამიანის სუნთქვის ჩათვლით. ეს საკითხიც ბილდერბერგის დღის წესრიგშია. „ბრიტოპ პეტროლიუმის“ თავმჯდომარის პიტერ სუტერლანდის თქმით, მას სურს, გადასახადების გაზრდისა და ადამიანთა ცხოვრების წესის კონტროლისათვის გლობალური დათბობის შიმში კამპანია გამოიყენოს.

ტაკერმა აღნიშნა, რომ ამჟერად ჯგუფის წევრთა შეხვედრამ სევდიან ატმოსფეროში ჩაიარა, ვინაიდან გეოპოლიტიკური მდგომარეობა მათ ნისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს, მათი პროგრამა კი სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდება. ესტულისის ინფორმაციით (და უნდა აღინიშნოს, რომ ის ყოველთვის უზუსტესია), ბილდერბერგის კლუბი შემფოთიულობა, ვინაიდან ის სიტუაციის კონტროლის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. უკანასკნელი წლების განმავლობაში კლუბის პოლიტიკა „მოთხოვნილების რღვევას“ ეფუძნება და ხორციელდება მსოფლიო ეკონომიკის წინასწარ დაგეგმილი დემონტაჟის საარჩევნო მდგომარეობა. ახლანდელ ეკონომიკურ კრიზისს შესაძლოა, ერთი ან ორი თაობის შემდეგ ფიგურირებდა, მაგრამ, სავარაუდოდ, თავად შეხვედრას ესწრებოდა. ის მონაწილეობდა მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში და 2009 წლის ბოლოსათვის კოპენჰაგენში დაგეგმილი მოლაპარაკებების მოსამზადებელ შეხვედრაზე



ბილდერბერგის სასტუმრო (ოსტერბეკი, ნიდერლანდები), სადაც 1954 წელს პირველი „ბილდერბერგის კონფერენცია“ შედგა

ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ დასავლეთის მმართველი ელიტები ნამდვილად არჩევანის წინაშე დგანან და მათ არ აქვთ საერთო აზრი, ეს კი კიდევ ერთხელ ამტკიცებს მათ მიერ დანერგილი ყოველშემძლეობისა და საერთაშორისო მმართველობის ცენ-

**ოლგა ჩატვირიკოვა**

# მსოფლიო კრიზისი თუ ახალი მსოფლიო წესრიგი?

ძველ ერთპოლარულ სისტემას, რომელსაც სათავეში აშშ ედგა, როგორც ჩანს, მრავალპოლარული სისტემა ენაცვლება და, ამდენად, აუცილებელია, თვალის გადავხედოთ კავშირს მსოფლიოს მსხვილ მოთამაშეთა გეოპოლიტიკურ პოზიციებსა და თანამედროვე კრიზისს შორის.

## მსოფლიო კრიზისი თუ დასავლური სისტემის კრიზისი?

დღევანდელ ფინანსურ, ეკონომიკურ და სამრეწველო კატასტროფას „მსოფლიო კრიზისი“ ვუწოდებთ, მაგრამ ეს გამოთქმა მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს სინამდვილეს. გეოპოლიტიკური თვალთახედვით, ფინანსური კატასტროფა, უპირველეს ყოვლისა, დასავლური სისტემის კრიზისია.

დავაზუსტოთ რამდენიმე განსაზღვრება:

**1. დასავლური სისტემა.** გეოპოლიტიკის მიხედვით, დასავლურ სისტემაში შედის აშშ, ევროკავშირი და იაპონია; ასევე, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია. ამ უზარმაზარ გეოპოლიტიკურ ზონაში ცენტრალური როლი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის ისტორიულ პარტნიორს — დიდ ბრიტანეთს ეკუთვნის. ევროკავშირი და იაპონია კი, განლაგებული არიან რა ევრაზიის კონტინენტის დასავლეთით და აღმოსავლეთით, ამ გეოპოლიტიკური ზონის პერიფერიას წარმოადგენენ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპა და იაპონია აშშ გეოპოლიტიკურ დოქტრინაში ევრაზიის ორი „ფილტვის“ — რუსეთისა და ჩინეთის კონტროლის განსაუქმრებული ფუნქციისათვის ორ სიმეტრიულ პლაცდარმს წარმოადგენს. სწორედ ევრაზიის კონტროლი გახლავთ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში აშშ ჰეგემონიის უზრუნველყოფელი; ასევე, — ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკისა და ამერიკული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის პოლიტიკის განმსაზღვრელი;

**2. გლობალური სისტემა.** თანამედროვე გეოპოლიტიკურ სიტუაციაში ეს ტერმინი აღნიშნავს დასავლური სისტემის განზრახვას, აკონტროლოს მთელი პლანეტა, ძირითადად, ფინანსურ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ საფუძვლებზე. გლობალური სისტემა არის პროექტი, მიზანი, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული. გლობალური სისტემის შექმნის სტრატეგიას საფუძვლად უდევს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირი. ფინანსურ დონეზე გლობალური სისტემის შექმნის მცდელობა დიდი ფინანსური ჯგუფების „პოლიტიკურ“ მისწრაფებებს ასახავს;

**3. გლობალიზაცია.** უნდა დავეთანხმოთ ფრანგი ეკონომისტის ჟაკ საპირის მიერ მოწოდებულ განსაზღვრებას: „ეგრეთ ნოდებული გლობალიზაცია — ეს ორი პროცესის შეწყობაა. პირველი პროცესია მსოფლიოში კაპიტალიზმის ინდუსტრიული ფორმით ზრდა, მისი ისეთ რაიონებში შეღწევა, რომელთა დაპყრობა ჯერ ვერ მოასწრო; მეორე პროცესი, რომელიც

უფრო მეტად შეესაბამება აშშ პოლიტიკას, ფინანსურ და სავაჭრო განხილვას უკავშირდება“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გლობალიზაცია არის აშშ სტრატეგია, რომელიც მიმართულია მსოფლიო ბატონობის მისაღწევად „ერთპოლარული სისტემის მომენტის“ გამოყენებით.

## დასავლური კრიზისი და ახალი მრავალპოლარული სისტემა

ცნობილია, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისი თავისთავად წარმოადგენს რამდენიმე კრიზისის ჯაჭვს, რომელიც ამერიკიდან დაიწყო და მთელ პლანეტაზე ვრცელდება, მოქმედებს ეროვნულ ეკონომიკაზე და არღვევს სოციალურ სტაბილურობას. აილორა სტარტი დასავლური სისტემის გეოპოლიტიკურ ცენტრში, კრიზისის პირველ ეტაპზე ამავე სისტემის პერიფერიები — ევროკავშირის ქვეყნები და იაპონია მოიცავს, მეორე ეტაპზე კი მან დედამიწის მთელი აღმოსავლეთ ნახევარსფერო დაფარა.

## კრიზისის ბავრცხელების ინტენსივობა და სისწრაფე თითოეულ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციით განისაზღვრება.

გარდა ამისა, კრიზისი დგება მაშინ, როდესაც: ერთპოლარული სისტემა მრავალპოლარული იცვლება;

ეკონომიკური მდგომარეობა განსაკუთრებულია, რადგან აზიაში ჩინეთისა და ინდოეთის სახით გაჩნდნენ ახალი ნამყვანი მოთამაშეები;

## ევრაზიის გეოპოლიტიკური სენატის ადგილს თანდათან იკავებენ რუსეთი.

ამგვარი ვითარებისას კრიზისს შეეძლო, დაეჩქარებინა ერთპოლარული სისტემის მრავალპოლარული შეცვლა. ევროპის ქვეყნები, ბოლოს და ბოლოს, უნდა მიხედნენ, რომ მათი ინტერესები კონტინენტურად განისაზღვრება და, ამდენად, მჭიდრო კავშირშია რუსულ და აზიურ ინტერესებთან. ევრაზიის ინტეგრაციის კონტექსტში ევროპა კვლავ დაიკავებდა თავის ბუნებრივ გეოპოლიტიკურ პოზიციას. ევროპის „ნახევარკუნძული“ გახდებოდა აზიისა და აფრიკის დამაკავ-

შირებელი და ევრაზიისათვის ატლანტის ოკეანეში საზღვაო კარიბჭის ფუნქციას შეასრულებდა.

მრავალპოლარული სისტემის კონსოლიდაცია ევროპული ქვეყნებისაგან პოტენციური ევრაზიული ინტეგრაციის ფარგლებში პასიური პერიფერიული მდგომარეობიდან აქტიურ როლში გადასვლას მოითხოვს. ევროპის გეოპოლიტიკური პოზიციის შეცვლა კრიზისის დაძლევისა და სოციალური სტაბილურობის მნიშვნელოვანი პირობაა. როგორც ჩანს, ანალოგიური სივრცეები ისმის იაპონიიდანაც. ტოკიოში სულ უფრო მეტად ინტერესდებიან პეკინსა და ნიუ დელისთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გამყარებით.

## დაბავრცხელება დასავლური სისტემის წიაღში

კრიზისის დასაძლევად განუყოფელია დასავლეთ მსოფლიოში მნიშვნელოვანი დაძაბულობა. კრიზისმა ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისადმი დამოკიდებულების მხრივ ევროპასა და ამერიკას შორის ღრმა სხვაობა გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ სარკოზი და მერკელი ნეოატლანტიკური ევროპული ოლიგარქიის შეხედულებებს გამოხატავენ, პარიზმა და ბრიუსელმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ევროპული ეკონომიკის კრიზისული დინამიკის საფუძველი ნეოლიბერალიზმსა და სოლიდარობის პრინციპებით შთაგონებულ საზოგადოებრივ პრაქტიკას შორის განსხვავებაა.

მიუხედავად ულტრალიბერალიზმის რეგულარული მასობრივი ტალღებისა და ზოგიერთი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციის (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ზოგიერთი რეიტინგული კერძო სააგენტო) არაერთჯერადი გაფრთხილებისა, სოლიდარობის პრინციპი უფრო ფართოდაა წარმოდგენილი კონტინენტალურ და ხმელთაშუა ზღვის ევროპაში.

## სოლიდარობის პრინციპი ევროპის ქვეყნებში სოციალური ინტეგრაციის გვერდითაა წარმოდგენილი. მათ შორისაა დანესებულებები, რომლებიც პენსიონერთა და უმუშევართა მხარდაჭერითაა დაკავებული, ხელს უწყობს ზოგიერთ ასპექტში ევროპული ეკონომიკის მთავარ შემადგენელ ნაწილს — მცირე და საშუალო ბიზნესს.

ამის შემდეგ უკვე ცხადი და გასაგებია მსოფლიო კრიზისისადმი მიძღვნილ მრავალმხრივ შეხედულებებზე აშშ და ევროკავშირის შორის წარმომობილი აზრთა სხვადასხვაობა. მართალია, ამ განსხვავებებმა (ევროკავშირის მოთხოვნა — მეტი საკანონმდებლო ნორმა, აშშ მოთხოვნა — მეტად თავისუფალი ბაზარი) ევროკავშირსა და აშშ შორის განხეთქილების პროვოცირება ვერ შეძლო, მაგრამ თავად „დასავლურ სახლში“ მნიშვნელოვანი

პრობლემა წამდვილად შექმნა.

ატლანტიკური ოლიგარქიის მმართველი დასავლური სისტემა შეეჯახება იმ ფაქტს, რომ, მიუხედავად სამხედრო თუ ეკონომიკური შეთანხმებებისა, ერთმანეთზე ღრმა ეკონომიკური დამოკიდებულებისა და აშშ სამხედრო ძალების (ნატო) კონტინენტალურ ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში განლაგებისა, „პერიფერია“ (ევროკავშირი და იაპონია) უკვე აღარაა მისთვის იმდენად სანდო პარტნიორი, როგორც ეს ადრე იყო. ევროპას შეუძლია, თავი დაიძვრინოს აშშ კონტროლისაგან მაშინ, როდესაც ამერიკა ცდილობს, საკუთარი ვალები ევროპულს გადააბაროს.

სახელმწიფოს მიერ „კონტროლირებადი“ ეკონომიკის დაბრუნება და ეგრეთ ნოდებული პროტექციონისტური ზომები, რომელთაც შეერთებული შტატები და ევროპის რამდენიმე სახელმწიფო მიმართავენ, ძალიან შორს დგას იმისაგან, რომ წამდვილ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ჩაითვალოს. ეს ზომები სახელმწიფოს ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორში ჩათრევის მცდელობათა შენიღბვას უფრო ჰგავს და მიზანი ფინანსური ლობების უპასუხისმგებლო ფინანსური სპეკულაციების შედეგად გაჩენილი ვალების დასაფარად სახელმწიფოს გამოყენებაა. აქ ევრო შეხედვით ფართო პოლიტიკურ თვალთახედვას, ვერც სოლიდარობის პრინციპებს, სამაგიეროდ, გაჯერებული ეროვნული შემოსავლებისა და დანახოების ნეოლიბერალური ექსპლუატაციით.

კრიზისის გადაძვლების როლში დასავლეთ ევროპის პერიფერია — ევროპა და იაპონიაა შერჩეული. ისტორიულად ამ ორ გეოეკონომიკურ ზონას არ გაუფლანგავს დაზოგვის კულტურა, რაც ამერიკას საერთოდ არ გააჩნია. უფრო მეტიც, ევროპისა და იაპონიის ეკონომიკური სისტემები თავისუფალ ბაზარსა და ნეოლიბერალურ მიდგომაზე ორიენტირების პირობებშიც კი ინარჩუნებს კორპორატიულ შტრისებს.

## ახალი მოთამაშეები

ახალმა გლობალურმა მოთამაშეებმა (რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი) მსოფლიო კრიზისი ამერიკასა და ევროპაზე ნაკლები დანაკარგებით უნდა გადაიტანონ. გარკვეულიწოდ, შეიძლება, ველოდოთ, რომ ფინანსური კრიზისის მოკურობა ტალღა რუსეთისა და ჩინეთის მიერ აღმართულ ევრაზიის კედელზე დაიმსხვრევა. ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოსკოვი და პეკინი ერთობლივი ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის განხორციელებას არ გადადებენ.

რაც შეეხება ინდოეთს, ის კრიზისის განსაკუთრებული შედეგების გარეშე დასაძლევად საკუთარი პოლიტიკური სისტემის სისუსტეს უნდა აბალანსებდეს და საერთო ევრაზიული პერსპექტივის ფარგლებში მოსკოვსა და პეკინთან ეკონომიკურ კავშირებს უნდა ამყარებდეს.



## ევრაზიის გეოპოლიტიკური სენატის ადგილს თანდათან იკავებენ რუსეთი.

ახალი მსხვილი მოთამაშეების რიცხვშია ბრაზილია, არგენტინა და ვენესუელა. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყნებმა, რომლებიც ერთხანს აშშ „უკანა ეზოს“ ფუნქციას ასრულებდნენ, ჩინეთს, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანასთან (ირანის ჩათვლით) სტრატეგიულ თანამშრომლობას აკეთებენ. ამ ახალ კონტექსტში ენერგეტიკული რესურსებისა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის მფლობელ ქვეყნებს — ბრაზილიას, ვენესუელასა და რიგ შემთხვევებში არგენტინას შორის ურთიერთობა ნინ უნდა აღუდგეს მსოფლიო კრიზისის შედეგებს.

## მშობლი

ევროპის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სოციალური სტაბილურობისათვის ევროპული ქვეყნების ხელისუფლებებმა, პირველ რიგში, საკუთარ გეოპოლიტიკურ პოზიციებს უნდა გადახედონ. ევროპულმა უნდა გაიგონ, რომ მათი ინტერესები ევროპული ინტერესებია და არა — აშშ ინტერესები. ევროპულთათვის (მმართველი ოლიგარქიის გარდა) კონტინენტალური სუვერენიტეტის გარეშე ეკონომიკური თავისუფლება არ არსებობს.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ევროპული ქვეყნების ხელისუფლებებმა ორ ასპექტზე უნდა შეაჩერონ ყურადღება:

- 1. საბანკო სისტემის რესტრუქტურირება;
- 2. ახალი, შერეული ეკონომიკის მშენებლობა.

დღეს, რამდენადაც ვიცით, საბანკო სისტემა „კერძო“ ინსტიტუტთა და მისი მიზანი მოეკონომიკური განვითარება — მიხედვით სოციალური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური სტაბილურობის გარდაუვალი პირობაა.

შეიძლება. იმისათვის, რომ დაიბრუნოს სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობა, საბანკო სისტემა რეალურად უნდა გახდეს და საზოგადოებას უნდა ემსახუროს.

ევროპული „ინტეგრირებული ახალი ეკონომიკური სისტემის“ შექმნა ევროპული საბანკო სისტემის რესტრუქტურირებისაგან განუყოფელი მოვლენაა. ახალი ეკონომიკის ამუშავება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კონტინენტის მასშტაბით დაიწყება ენერგეტიკისა და კომუნიკაციისათვის დაკავშირებული სტრატეგიული ინფრასტრუქტურის ფინანსირება რუსეთთან, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობით.

- 1. ინტეგრირებული ევროპული თვალსაზრისის სისტემის განვითარება;
- 2. მაღალტექნოლოგიურ სფეროში ევროპული კვლევების განვითარება;
- 3. კონტინენტის მასშტაბითა და ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით საუკეთესო სოციალური დაცვისა და სოლიდარობის განმაპირობებელი ინსტიტუტების რეალიზაცია;
- 4. კონტინენტალურ ევროპასა (ევროპა-რუსეთი) და ხმელთაშუაზღვისპირეთში (ევროპა-ჩრდილოეთ აფრიკა) უსაფრთხოების კოლექტიური ორგანიზაციის შექმნა;
- 5. ძველი მსოფლიოს საზღვრებში (ევროპა-აზია-აფრიკა) კულტურული კავშირების განმტკიცება.

## დასკვნა

თუ გავითვალისწინებთ, რომ ე. წ. მსოფლიო კრიზისი სინამდვილედ დასავლეთ ევროპის შიდა კრიზისია, შეგვეძლება დავასკვნათ, რომ აშშ გეოპოლიტიკური ზონის ინტერესთა სფეროს ფარგლებში ევროპის პოზიცია არაბუნებრივია. შესაბამისად, კრიზისის გადაწყვეტა არ უნდა ვეძებოთ აშშ მიერ დანერგულ და 1960-იან წლებში ევროპელთა მიერ მოწოდებულ „ლიბერალურ“ პრაქტიკაში, რომელიც სოლიდარობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

ევროპის გეოპოლიტიკური პოზიციის ევრაზიულ კონტექსტში შეცვლა პრინციპის — „სუვერენიტეტის გარეშე არ არსებობს სოციალური ეკონომიკური განვითარება“ — მიხედვით სოციალური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური სტაბილურობის გარდაუვალი პირობაა.

# ბრინჯოები ლათინურ ამერიკასს კარგავენ

ამერიკის ქვეყნების ორგანიზაციის მცირე ხნის წინანდელი გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციიდან კუბის გარიცხვის 47 წლის წინ მიღებული რეზოლუციის გაუქმების შესახებ მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს როდი ატარებს. ლათინოამერიკული კონტინენტი შეერთებული შტატების კონტროლიდან ნელ-ნელა გამოდის. ამას მშვენივრად აცნობიერებენ ვაშინგტონში, სადაც მიჩვეულები იყვნენ სამხრეთ ამერიკის „უკანა ეზოდ“ ჩათვლას.

ბოლივიის სათავეში ევო მორალესის მოსვლა, ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის პოლიტიკური დემარშები, ეკვადორის პრეზიდენტის რაფაელ კორეას მკაცრი პოლიტიკა, კორეასი, რომელმაც ამერიკის ელჩი არმანდო ასტორგუ გააძევა ქვეყნიდან, ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ძალიან აფორიაქებს ამერიკულ სტრატეგებს, მაგრამ ვაშინგტონელ პოლიტიკოსებს მხოლოდ ეს არ აშინებთ. ჩავესის, მორალესისა და კორეას „სამეულს“, რა თქმა უნდა, ბევრი რამის ნახდენა შეუძლია თეთრი სახლის გეგმებში, მაგრამ ამ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური წონა აშკარად არაა საკმარისი, რომ მთელი კონტინენტი რევოლუციის ცეცხლში გაახვიოს. ყველაზე მეტად ამერიკას პროექტ „დიდი სივრცის“ განხორციელება აფრთხობს. ამ პროექტის მიზანია ლათინოამერიკული კონტინენტის ერთიან გეოპოლიტიკურ წარმონაქმნად გაერთიანება. ლათინოამერიკულ ინტელექტუალთა შორის ლათინური ამერიკის, როგორც ვაშინგტონის დიქტატის გარეშე კონტინენტის ჩამოყალიბების იდეას, მრავალი მხარდამჭერი ჰყავს. გერმანელმა იურისტმა და ფილოსოფოსმა კარლ შმიდტმა, რომელმაც გეოპოლიტიკური თეორიების შესწავლას დიდი დრო დაუთმო, ოდესღაც თქვა: „ჩვენ ანგლოამერიკული ჰეგემონიების საწინააღმდეგოდ მსოფლიოში

„დიდი სივრცის“ თეორიებს ვაითარებთ“. ამ თეორიის პრაქტიკაში განხორციელების მხურვალე მხარდამჭერია პროფესორი ალბერტო ბუელა, ცნობილი არგენტინელი პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი. „დიდი სივრცის“ თეორიის მხარდამჭერისა ბუელა აღიარებს იმ მდგომარეობის სირთულეს, რომელშიც ახლა იმყოფება სამხრეთ ამერიკა, უზარმაზარი კონტინენტი, ფართობით 21 მლნ კვ კმ, იმ დროს, როცა ინდოეთი და ჩინეთი ერთად 12,9 მლნ კვ კმ-ს იკავებენ, ხოლო ევროპა — 10 მლნ კვ კმ-ს.

მართლაც, ეს კონტინენტი უზარმაზარ შესაძლებლობებს ფლობს, რასაც კარგად აცნობიერებენ „გრინგოს“ დიქტატისგან დადლილი ბუელა და მისი მომხრეები. მაგალითისთვის: ბრაზილია თავის თავში პრაქტიკულად მთელ ევროპას იტევს. იტალიის საზღვრები ბუენოს-აირესის საზღვრებს ემთხვევა, რომელსაც, სხვათა შორის, კიდევ 23 პროვინცია ეკუთვნის. ბრაზილია ფართობით მეხუთე ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო არგენტინა — მეშვიდეზე და გარკვეულ პირობებში მსოფლიო არენაზე საკმაოდ დიდი როლის თამაში შეუძლიათ. ჯერჯერობით მათ ეს ცუდად გამოსდით, თუ გავიხსენებთ არგენტინის მარცხს ფოლკლენდის კუნძულებზე ომში და შტატებზე დამოკიდებულ



ბრაზილიის პოლიტიკას. ამას გარდა, შთამბეჭდავია წყლის რესურსების მარაგი, რომელსაც სამხრეთ ამერიკა ფლობს: 50 000 კმ სანაოსნო გზები მისი სამი მთავარი შენაკადით, რომელთა გავლით ხომალდები არგენტინიდან ვენესუელამდე აღწევენ. შედარებისთვის: ევროპა მთელი თავისი ძლიერებით მხოლოდ 22 000 კმ სანაოსნო გზებს ფლობს, რომელთაგან 16 000 კმ მდებარეობს საფრანგეთისა და გერმანიის ტერიტორიებზე, რომლებზეც მთელი სანაოსნო ტრანსპორტის 40% კურსირებს. მოცემული თემის განხილვა ლათინოამერიკელი პოლიტიკოსების წრეში არაა მიღებული, თუ მათ თეთრ სახლთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება უნდათ.

„ესპანეთის ძირითადი მისია და მთავარი წარმატება იყო აღმოჩენა, დაპყრობა და კოლონიზაცია იმ სამყაროში, რომელიც ახლა ვცხოვრობთ, — ირწმუნება პროფესორი ბუელა, — ხოლო მთავარი ჩავარდნა, მისი მონიწიანად დევნების თანახმად, იყო ერთიანი კონტინენტის პოლიტიკურ რეალობად ჩამოყალიბების უძღურება.“

ლათინოამერიკული ქვეყნების სტრატეგია ყოველთვის ენაყოფა პირობითი პოლიტიკური ძალობის განხილვის გათვალისწინებით, როცა ბრაზილია და არგენტინა ცდილობდნენ, საკუთარი თავისთვის გასასვლელი ორივე ოკეანეზე მოეხდინათ. 1816-დან 1825 წლამდე არგენტინას ეს გასასვლელი ჰქონდა, მაგრამ პირველი არგენტინელი პრეზიდენტი, ინგლისის ანტი-ბოლივიური შეხედულებების მქონე ყოფილი მოსამსახურის, რიგადვიას მოქმედებების შედეგად ეს სტატუსი დაკარგა.

ორი ყველაზე ავტორიტეტული რეგიონული ლიდერის (ბრაზილია და არგენტინა) გეოპოლიტიკურ პრიზმაში განხილვისას ა. ბუელა და მისი თანამოაზრეები გამოყოფენ ორ მთავარ ძალისმიერ ვექტორს: ბრაზილიის პოლიტიკური თეორიის — სანტიაგოსა და ბოგოტას მიმართულებით და არგენტინისას — ლიმასა და იქიდან კარაკასისკენ გაშვალს, რომელიც ბრაზილიის ვექტორს კვეთს. ჩილეს ძირითადი ვექტორი მიდის კიტოს მიმართულებით, საიდანაც უკვე სან-ხოსესკენ უხვევს, კვეთს ბრაზილიურ და არგენტინულ ვექტორს და რეგიონს ძალისმიერი ხაზების ჩახლართულ აბლაბუდად აქცევს, რაც აუცილებლად მიიღება მხედველობაში პოლიტიკური პროექტების რე-



ლათინური ამერიკის მოწოდებით სან კაულოში (ბრაზილია)

**ლათინოამერიკული ქვეყნების სტრატეგია ყოველთვის ენაყოფა პირობითი პოლიტიკური ძალობის განხილვის გათვალისწინებით, როცა ბრაზილია და არგენტინა ცდილობდნენ, საკუთარი თავისთვის გასასვლელი ორივე ოკეანეზე მოეხდინათ. 1816-დან 1825 წლამდე არგენტინას ეს გასასვლელი ჰქონდა, მაგრამ პირველი არგენტინელი პრეზიდენტი, ინგლისის ანტი-ბოლივიური შეხედულებების მქონე ყოფილი მოსამსახურის, რიგადვიას მოქმედებების შედეგად ეს სტატუსი დაკარგა.**

ამ რამდენადმე ამორფული სივრცე, სადაც არ არსებობს მძლავრი სახელმწიფო წარმონაქმნები, სადაც პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მოციალურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირები საკუთარი ინტერესების დაცვაში ძალზე პასიურები არიან. ლათინური ამერიკის 380-მილიონიანი მოსახლეობიდან 40% წარმოადგენს ლარიბებს, ძალიან ლარიბებსა და ლატაკებს, რომელთაგან მხოლოდ 10%-ს აქვს მუდმივი მყიდველობითი უნარი. მსგავსი ვითარება, ვაშინგტონისა და ლათინოამერიკული საზოგადოების უმადლესი წრეების წინააღმდეგ გაშვებული მისი საცეცების გარდა, არავისთვისაა ხელსაყრელი.

პროფესორი ბუელა, როგორც გეოპოლიტიკოსი, აღნიშნავს, რომ ლათინოამერიკული ქვეყნების სტრატეგია ყოველთვის ენაყოფა პირობითი პოლიტიკური ძალობის განხილვის გათვალისწინებით, როცა ბრაზილია და არგენტინა ცდილობდნენ, საკუთარი თავისთვის გასასვლელი ორივე ოკეანეზე მოეხდინათ. 1816-დან 1825 წლამდე არგენტინას ეს გასასვლელი ჰქონდა, მაგრამ პირველი არგენტინელი პრეზიდენტი, ინგლისის ანტი-ბოლივიური შეხედულებების მქონე ყოფილი მოსამსახურის, რიგადვიას მოქმედებების შედეგად ეს სტატუსი დაკარგა.

ლიზაციისას როგორც „დიდი სივრცის“ თეორიის მიმდევართა, ისე მისი მონიწიანადმდევრთა მიერ.

ამ დროს პარაგვაი და ურუგვაი განსაკუთრებულ როლს არ თამაშობენ იმის გამო, რომ მათი პოლიტიკა ყოველთვის ბრაზილია-არგენტინის უთანხმოებებზე იყო აწყობილი. ზოგიერთებს შეიძლება ასეთი პოზიცია მორალურად მიუღებლად მიაჩნიათ, მაგრამ, ყველასთვის ცნობილია, რომ რეალურ პოლიტიკაში მორალური პრინციპებით თითქმის არასდროს ხელმძღვანელობენ.

ბოლივია დღეს მთლიანად დამოკიდებულია ზღვაზე გასასვლელზე არგენტინისა და პერუს ტერიტორიების გავლით. ოდესღაც ხუან ბატისტა ალბერდიმ ბოლივია „სახელმწიფო-პარადოქსად“ მონათლა, რომელიც ქვეყანას არგენტინის გამო მოეკვლინა. პერუს არგენტინასთან მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ახლო მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა (გენერალი სან მარტინი მისი დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა), მაგრამ პოლიტიკურ წონას რეგიონში არ ფლობს. კოლუმბია, რომელსაც ორივე ოკეანეზე აქვს გასასვლელი, ორადგან გახლეჩილი: ლიბერალი და კონსერვატიული ელიტად, რომელთა ხელშიც მოხვდა ძალაუფლება 1948 წელს ლიდერის ელისერ გაიტანის მკვლელობის შემდეგ, და კონტრელიტა, რომელიც ხელისუფლების ხელში ჩაგდება ცდილობს. არასტაბილურობა და კოლუმბიის შეიარაღებული ძალების რეგულარული შეტაკებები ნარკო-დაჯგუფებებთან უნებურად „წარუმატებელი ქვეყნების“ თეორიის შემქმნელების, აშშ უსაფრთხოების საბჭოს ჰარტ-რუდმანის კომისიის სისქვილზე ასხამს წყალს, რომელიც მსგავს მდგომარეობას კოლუმბიის შიდა საქმეებში შეიარაღებული ჩარევის საბაბად განიხილავს.

თავისუფლების დონემ, რომელიც ვენესუელამ თავისი ნაეთობის მარაგის შედეგად მოიპოვა, განაპირობა მისი კონფლიქტი ამერიკასთან, მის მთავარ მყიდველთან, რადგან ვენესუელის მმართველი კლასი ნახევარი საუკუნის განმავლობაში საერთაშორისო პოლიტიკური ელიტის მოთხოვნის მიხედვით უფრო მეტად ზრუნავდა, ვიდრე საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე. ეს კლასი უგულვებლყოფდა პრეზიდენტ უგო ჩავესის იმასთან დაკავშირებით, რომ „ვენესუელა გეოპოლიტიკური ხიდია კარიბებს, ამზონსა და ანდებს შორის, და განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ უპირატესობას ფლობს. ვენესუელა ჩრდილოეთით კარიბის ზღვას კი არ ესაზღვრება, როგორც

ამას ბავშვობაში გვასწავლიდნენ, არა; ვენესუელა ჩრდილოეთით დომინიკის რესპუბლიკას ესაზღვრება, ვენესუელა ჩრდილოეთით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პუერტო-რიკოს ასოცირებულ რესპუბლიკას ესაზღვრება. ვენესუელა ჩრდილოეთით ნიდერლანდებს ესაზღვრება, ვენესუელა კარიბის გავლით საფრანგეთს ესაზღვრება, ევრეთ ნოდებულ ზღვისგამა ტერიტორიებს ესაზღვრება და ჩვენ საინტერესო გეოპოლიტიკურ მდებარეობას ვფლობთ. ვენესუელას განსაკუთრებული ამაზონის უზარმაზარი აუზი, 7 მლნ კვ კმ (ვგულისხმობ მთელ აუზს), რომლის საშუალებითაც ჩვენ არა მხოლოდ სელვას, არამედ სხვა დიდ მდინარეებსაც ვუკავშირდებით. მაგალითად, ორინოკო ამაზონთან ერთად გვიანტურ წყლის არტერიას ქმნის, რაც მთელი სამხრეთამერიკული კონტინენტის მთავარი არტერიაა, რომელიც პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი სიმდიდრეთაგანია და რომელიც წყლის, აგრეთვე, ფლორის, ფაუნისა და სასიცოცხლო რესურსების უზარმაზარი სიმდიდრეა.“

აცნობიერებს რა, რაოდენ დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლის მიღება შეუძლია სამხრეთ ამერიკის კონტინენტს თავისი რეალური (და არა წარმოსახვითი) დამოუკიდებლობის პირობებში, ა. ბუელა წარმოადგენს ახალ სტრატეგიას, ე.წ. „რომბის თეორიას“, რომელიც დაძაბულობის ადრინდელი ვექტორების თანდათანობით ჩანაცვლებას გულისხმობს. ამ მიდგომის ერთ-ერთი ძირითადი პირობა, ა. ბუელას მთავარი პოლიტიკის შემუშავებისთვის სრულიად უსარგებლო, აბსტრაქტულ „ლათინოამერიკანიზმზე“ უარის თქმა.

**„ღვანდლოებით ატიან ლათინურ ამერიკაზე მსჯელობა არა მხოლოდ შეხდომა და არაჩვეულები ლაპარაკია, გეოპოლიტიკური შეხვედრის სრული არაჩვეულები გამოვლენასა“.**

შემდგომ ა. ბუელა განაგრძობს: „ეს ტყუილი და რეალობის არარსებობაა. ეს ტერმინი კიდევ უფრო უნივერსალურია, ვიდრე ცნება „კაცობრიობა“, რომელსაც, კერპეგორის სიტყვებით თუ ვიტყვი, არც ხელები აქვს და არც ფეხები“. აქვე სამაზ-



სოვრდ მოჰყავს ფრანგი ანარქისტისა და მოაზროვნის ჟოზეფ პრუდონის სიტყვები: „როცა მესმის სიტყვა „კაცობრიობა“, ვხვდები, რომ ჩემი გაცურება უნდაა“. რომლის თეორიას პროფესორი ა. ბუელა ბუენოს-აირესის, ლიმას, კარაკასისა და ბრაზილიის პირობითი წახნაგებით აერთიანებს. ეს საშუალებას იძლევა, შეიქმნას დიდი გეოპოლიტიკური სივრცე როგორც წყნარ, ასევე ატლანტის ოკეანეზე გასასვლელით. ამ სივრცეს ექნება ძალიან დიდი ადამიანური რესურსი, კულტურული და ენობრივ მხარეში იქნება ჰომოგენური.

ეს იქნება დიდი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სივრცე ყველაზე აუცილებელი რესურსების (მინერალების, მარცვლოვანი კულტურების, ხორცის, გაზის, ფლორისა და ფაუნის) დიდი მარაგით.

**სამხრეთ ამერიკა კუნძულ-კონტინენტია, 21 მლნ კვ კმ ფართობით და 374 მილიონზე მეტი მოსახლეობით, რომელთაგან უმეტესობა განაპირა ზონებში ცხოვრობს, სადაც მთავარი საქმიანი ცენტრებია განლაგებული. „კონტინენტური სივრცე, — ამბობდა მეოთხედი საუკუნის წინათ ვენესუელელი ხოსე კურიელ როდრიგესი, — პლანეტის უზარმაზარი სივრცეა, რომელიც სამი უდიდესი მდინარის — ამაზონის, ორინოკოსა და დელ პლატას აუზებს მოიცავს. იგი ერთნაზვარჯერ მეტია აშშ ფართობზე“. პროფესორი ა. ბუელა მიერ წარმოდგენილი ამ არანეისური რომბის შიგნით მოქცეული უზარმაზარი ტერიტორია პრაქტიკულად დაუსახლებელია და შედგომის ქვეყნების მიერ განხორციელებულ ე. წ. „შეზღუდული სუვერენიტეტის“ თეორიის ხორცშესხმას წარმოადგენს.**

ბუელა დასძენს, რომ „ლათინური ამერიკის ქვეყნების კონფედერაცია მხოლოდ ერთმანეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნების შედეგად აყვავდება. უნდა დალაგდეს კონტაქტები კონტინენტურ გეოპოლიტიკურ ცენტრებს — ბრაზილიას, ბუენოს-აირესს, კარაკასს (როგორც მონათესავე პოლიტიკურ წარმონაქმნებს) შორის, შედარებით მცირე ხარისხით — ლიმასთანაც. თუ არ გავითვალისწინებთ ძალისხმევას ორივე ოკეანეზე გამავალი კორიდორის შესაქმნელად, აქ აღნიშნული რომბის თეორიის შესაბამისად, ეს ჩვენი კონტინენტის დეზინტეგრაციის შედეგად იქნება“.

მექსიკაში დგას მექსიკელი კადეტების სხოვნებაში მიძღვნილი მონუმენტი, რომელიც ღირსებას აკლავს ვერ რამორეცხა 1848 წელს შეერთებულ შტატებთან ომში მარცხის სირცხვილი. ახალგაზრდებმა სირცხვილს სიკვდილი ამჯობინეს და კლდიდან უფსკრულში გადაემგნენ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ დარჩა მხოლოდ ძია სემის ტოტალური კონტროლი კონტინენტზე და ლათინოამერიკელების თავსმოხვეული მზრუნველობისგან განთავისუფლების ძლიერი სურვილი, პროფესორი ა. ბუელას გეოპოლიტიკური რომბის თეორია — ინტელექტუალური ესკიზი, რომლის მკვეთრი სურათად გადაქცევასაც ასე უფროსიან თეთრ სახლში.

**ვლადისლავ გულკვიჩი**  
Сегодня.Ру

# „ოტპორის“ საგუოგლოში ანტიოქიური ექსპერიმენტი წაოიწყეს



სერბეთის დღევანდელმა ხელისუფლებამ სათავეში მოსვლისთანავე აიღო კურსი დასავლეთისადმი მორჩილებისკენ. სწორედ ამ მიზნით წამოიწყეს „ფერადი“ რევოლუცია, რომელმაც ისინი სათავეში მოიყვანა. სერბეთის ხელისუფლების მთელი საქმიანობა შეიძლება დავახასიათოთ როგორც ნაციონალური ღალატი, ვინაიდან არა საკუთარი ხალხის ინტერესებით, არამედ დასავლეთის ბრძანებებით ხელმძღვანელობს. ამ მიმართულების ჭეშმარიტად მინიშნებით მოვლენად იქცა სლობოდან მილოშვიჩის გადაცემა და „შემდგომი თანამშრომლობა ჰააგის ტრიბუნალთან“.

სხვათა შორის, ბოლო დროს ეს „თანამშრომლობა“ უფრო და უფრო საოცარ ფორმებს იღებს. დასავლეთს უკვე ეცოტავება სერბი პოლიტიკოსებისა და გენერლების „სისხლი“. ისინი მასმედიის წარმომადგენლებსაც მისდგენენ. რამდენიმე დღის წინათ სერბეთის საინფორმაციო სამსახურებმა გააფრთხილეს ინფორმაცია, რომ სამხედრო დანაშაულებების განყოფილებიდან პროკურატურის წარმომადგენლის ბრუნო ვეკარიჩის განცხადებით, მიმდინარეობს გამოძიება იმ ფურნალისტების გამოსავლენად, რომელნიც 1990-იან წლებში სერბ სამხედროებს სამხედრო დანაშაულისაკენ უბიძგებდნენ. რა იგულისხმება? რა თქმა უნდა, არც ერთ ავტორს განუთის ფურცლებიდან არ მოუწოდებია მშვიდობიანი

ის ყოფილ და ახლანდელ თანამშრომლებზე. ვეკარიჩმა განმარტა, რომ პროკურატურამ მიაკვლია ფურნალისტთა ჯგუფს, რომლებიც კოლეგების ტექსტებსა და ტელე და რადიოგადაცემებს უკეთებენ ანალიზს.

სხვათა შორის, „შუღლის გაღვივების“ (ამ შემთხვევაში, „სამხედრო დანაშაულისაკენ წაქეზების“) ფაქტის გამოსავლენად საჭიროა რთული ექსპერტიზა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების — ფსიქოლოგებისა და ლინგვისტების მონაწილეობით. ფურნალისტები ამას ვერ გაუმკლავდებიან, სამაგიეროდ, შეეცდებიან სიტუაციის გამოყენებას კოლეგებთან ანგარიშსწორებისთვის.

რად ღირს, თუნდაც, პეტერ ლუკოვიჩი, რომელიც „ფერადი რევოლუციის“ ტრიუმფის შემდეგ ერთ-ერთ გამოცემის ფურცლებიდან პატრიოტულად განწყობილი ფურნალისტების ჩამოხრჩობისკენ მოუწოდებდა.

ჩვენი შეფასებით, საინფორმაციო საშუალებებში არის მამინდელი მასალები, რაც სამხედრო დანაშაულის ინიციაციას ახდენდა, მაგრამ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ გეტყვით, კონკრეტულად ვისზე და რაზე საუბარი, — განაცხადა ავტორმა. სხვათა შორის, ერთ-ერთ ინტერვიუ-

ში მან სიამაყით აღნიშნა: „ეს პიონერული წამოწყებაა... ამ დრომდე ყოფილი იუგოსლავიის არც ერთ ფურნალისტს ომისკენ მოწოდებების გამო პასუხი არ უვია“.

შეიძლება ითქვას, რომ ეს „პიონერული“ წამოწყება მსოფლიო მასშტაბისაა. მსგავსი მასშტაბური გამოძიება, მითუმეტეს, რომ საქმე 15 წელიწადზე მეტს ითვლის, ისტორიას არ ახსოვს.

**საგულისხმოა, რომ ამ ხარხით ბელგრადის რაიონი სდილოვს თაჰისი მონინააღფაგაჰის ბანიტრალაჰას საინფორმაციო ომში, ავგრაჰ მატად სავარაუდოა, რომ აქ დასავლეთის შუკვეთა მუშავდება.**

**პრავდატული აშშ და ევროკავშირი ასეთი მეთოდებით ნაკლებად გაუსწორდებიან სამშობლოს დაცვისკენ მომწოდებლებს. მათთვის სხვა რამეა მთავარი.**

როგორც ცნობილია, ბოლოდროინდელ ომებსა და კონფლიქტებში ინფორმაციული წინააღმდეგობა ძალზე სერიოზულ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ მნიშვნელობასაც კი იძენს. აქედან გამომდინარე, დასავლეთის

ბლოკის ქვეყნები საინფორმაციო ბრძოლის ყოველდღიურად ახალ და ახალ სტრუქტურებს ქმნიან, წინააღმდეგობის მოწინავე ფორმებს ითვისებენ. ამ მოსაზრებით მათთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ ფურნალისტები და ბლოგერები, რომლებიც არც ერთ ოფიციალურ სტრუქტურას არ მიეკუთვნებიან და პირადი ენთუზიაზმითა და პატრიოტული მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ. ამის გამო ისინი საკმაოდ ძლიერები არიან. ამ საინფორმაციო „ქსელის“ მუშაობის წყალობით განიცადა საინფორმაციო მარცხი ისრაელმა ლახას სექტორის წინააღმდეგ აგრესიისას. სწორედ ისინი უქმნიან ამერიკის შეერთებულ შტატებს პრობლემებს „ტერორთან ომში“ საინფორმაციო მხარდაჭერისას.

ამიტომაც შესაძლებელია, რომ სერბეთში საინფორმაციო მონინააღმდეგეთთან ბრძოლის ახალი ხერხები შემუშავდეს. და, რაც ყველაზე მთავარია, იქნება იურიდიული პრეცედენტი. სერბეთი პოლიგონად შემთხვევით არ აურჩევიათ. საქმე არა მხოლოდ მთავრობის სრულ მორჩილებას; ევროპულთა უმრავლესობის თვალში სერბები უკვე იმდენად დემონიზებული არიან, რომ ადამიანის უფლებათა დამცველთაგან არავის მოუვა აზრად, გამოეკეცაგოს ფურნალისტებს, რომელთაც ეს საშინელი დანაშაული წააქეზებს“.

**სერბები სპირიდონოვი**  
Сегодня.Ру

## შეერთებულ შტატებში აბორტმასხარეებს დახვრებენ

ამერიკის შეერთებულ შტატებში აბორტის აკრძალვის მომხრეები, რომელთაც ამ პრობლემის იურიდიული მოგვარების იმედი დაკარგეს, მზად არიან, აბორტმასხარეებისა და აბორტის ლობისტების დახოცვა დაიწყონ. ამის შესახებ „Associated Press“-ს რადიკალურმა ტრადიციონალისტმა სკოტ როუდერმა განუცხადა, რომელიც კანზასის აბორტარიუმის მფლობელის მკვლელობაში ეჭვმიტანილი. იგი გამოცემას სეჯვიკის ოლქის ციხიდან დაუკავშირდა და თქვა, რომ დოქტორ ჯორჯ ტილერზე თავდასხმის მსგავსი აქციები მთელ ქვეყანაში დაგეგმილი.

როუდერი ბრალდებულია იმაში, რომ ტილერს ესროლა 31 მაისს ქალაქ უიჩიტის ლუთერანულ ეკლესიაში, სადაც ექიმო, რომელიც აბორტებს ფეხმძიმობის ბოლო კვირებში აკეთებდა, მღვდელმსახურებაში მონაწილეობდა. ამას გარდა, აბორტების რადიკალური მონაწილედგებულ გარემოებებში ორ მლოცველზე თავდასხმაში — იგი მათ იარაღით დაემუქრა, როცა მისი შეჩერება სცადეს.



აბორტის მონინააღმდეგეები ძალადობრივ მეთოდებს მიმართავდნენ. იმავე ტილერზე ადრეც მოხდა თავდასხმა. მაშინ ბოროტმოქმედს იგი არ მოუკლავს, უბრალოდ, ხელები დაუხვრია. იყო აბორტარიუმის აფეთქების შემთხვევებიც. აბორტის ზოგიერთი მონინააღმდეგე როუდერს, რომელსაც სამუდამო პა-

ტიმრობა ემუქრება, მოიხსენიებს როგორც მარტოხელა ფსიქოპატს და ბრძოლის ძალისმიერი მეთოდებისგან გამიჯვნას ცდილობს.

სხვათა შორის, ექსპერტთა აზრით, ძალადობის აფეთქებების შესაძლებლობის გამორიცხვა არ შეიძლება. და აქ მთავარი აბორტები, პედერასტებისა და ლესბოსელების „ქორწინებები“ სულაც არაა. საქმე ისაა, რომ ამერიკის თეთრკანიან მოსახლეობაში საკმაოა ტრადიციონალისტთა რიცხვი, რომელნიც ობამას ადმინისტრაციის მიერ გატარებულ პოლიტიკაში სერიოზულ საფრთხეს ხედავენ ამერიკის იმ სახით არსებობისთვის, როგორც ეს მის დამფუძნებელ მამებს წარმოედგინათ. უნდა დაეუმატოთ, რომ მათგან ბევრი სხვადასხვა ესქატოლოგიურ სექტას მიეკუთვნება. ისინი ობამაში ანტიქრისტეს ხედავენ (რაზეც


„მსოფლიო აბლაბუდაში“ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალა მოიპოვება). შესაბამისად, ფუნდამენტალისტების ლოგიკით, მასთან და მის მსახურებთან იარაღით ბრძოლა არა თუ შეიძლება, სავალდებულოცაა. შეერთებულ შტატებში ბევრია ე.წ. მინიტემების, ანუ „სამოქალაქო მილიციის“ წარმომადგენელთა დაჯგუფებები, რომელთაც მრავალი წელი შეუღლებს მზადებას, ამერიკის (ან შტატის) კონსტიტუცია უზურპატორი ფედერალისგან დაეცვათ. ისინი კარგად ორგანიზებული და შეიარაღებული არიან. აბორტმასხარეების მკვლელობები შესაძლოა, ბევრი ამერიკელითვის სრულიად გასაგებია ომის დასაწყისი გახდეს „შავი პრეზიდენტი“ წინააღმდეგ.

**კაკელ არისტაროვი**  
Сегодня.Ру

# სადა

„ნეტავი გამაგებინა მამა-პაპანი რა ქნილან...“ — ამბობს ერთი ხალხური ლექსი. თუ ეს ჩვენი ინტერესი მინელდა, ერს დიდი დღე აღარ უნერია. მას იქით, რაც წინაპართა ხსოვნას დაეკარგავთ, მამა-პაპათა სულები აღარ იქნებიან ღმერთთან ჩვენი მეოხნი, ეს სულები კი, ვითარცა უხილავი მტრელები, იმ ციხე-ტაძრებთან ლულუნებენ, რომლებიც მათი გვარისა და ჯილაგის ხალხს აუგია, იმ ტაძრებთან, რომლებშიც თავადაც ულოცნიათ. ამიტომ თითოეული ეს ტაძარი ჩვენი ცოცხალი წინაპარი და მემკვიდრეა.

დღეიდან ჩვენი გაზეთი უწყვეტი ციკლით იწყებს ახალ რუბრიკას „უცნობი საქართველო“, მისი ავტორი, ისტორიკოსი და ტელეჟურნალისტი, ნმ. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი გელა ქოქიაშვილი რახანია, მოგზაურობს „ცოცხალ წინაპრებთან“ შესახებ და ყველაფერს ვიდეოფორმად ატარებს. ჩვენ ამ მოგზაურობათა საგაზეთოდ შექმნილი ნარკვევის ბეჭდვას ვინწყებთ. პირველ პუბლიკაციას საფუძვლად უდევს დუშეთის რაიონში, სახელდობრ, ხადის ხეობაში მოგზაურობა.



ნალვარაჟის ლჭთისმონასტერი

## თაში I

ჩვენი პიკაბი კარგა ხანია, რაც ფასანაურს გასცდა და თეთრი არაგვის ხეობას მიუყვება მღვთის მიმართულეებით. თბილისურ ხეობას გამოქცეულეებმა შევებით ამოვისუნთქეთ...

— მთიულეთი სწორედ ფასანაურის შემდეგ იწყება, — ვუბნებენ ახალგაზრდა ტელერეჟისორ ტატო ბარჯაძეს, რომელმაც დღეს ტელეოპერატორობა იკისრა და ჩემი მუდმივი მენეჯერი სოზარ გულბანი ჩაანაცვლა.

ტატო გაკვირვებულია: — მამ, რაც აქამდე გამოვიარეთ, ის რაღა იყო?

— იმ ადგილებს, მცხეთის შემდეგ, ხერკი, ნობენი, ჭართალი და ხანდო ჰქვია. ზოგი მდინარის ერთ მხარეზეა და ზოგიც — მეორე მხარეზე. მე ძველ, ისტორიულ სახელებს გეუბნები, თორემ ახლა ყველაფერი არეული და დავინწყებულა. არც შავი არაგვის ხეობაა მთიულეთი, იგი გულამაყარია. ჩვენ ხშირად მთიულეთი და მთიულეები მთიულეთ-მთიულეებში გვე-

რევა. მთიულეები უფრო დიდი, კრებითი სახელია აღმოსავლეთ კავკასიონის მთებში მოზინადრე ყველა თემისა, მათში თუშ-ფშავ-ხევსურ-მოხევეებიც იგულისხმებოდნენ ისტორიულად. მთიულეები ერთ-ერთი მათგანი არიან და, თავის მხრივ, ოთხ ძირითად თემად იყოფილენ: ცხაოტი, მრეველი, გარემემო და ხადა. ყველაზე დიდი მათ შორის ხადაა, რომლის შემდეგ ჯვრის უღელტეხილი და ხევი. ერთი ხალხური გამოთქმა ასეთია მთიულეთზე: „თავს ხადა ბოლოს ცხავატი“.

— ახლა სად ვიმყოფებით კონკრეტულად? — ამჯერად საჭესთან მჯდარი გუგა დათბაშვილი მეკითხება.

— მრეველის ტერიტორიაზე, სოფელ ნადიბანში ვართ. ერთი-ორი კილომეტრიც და, შედარებით მცირე სოფელში — ნალვარაჟში შევდივართ. გზის პირას მდგარ მცირე საყდართან ვჩერდებით.

მთიულეთს ორი უმთავრესი სალოცავი აქვს: ლომისის

და ცეცხლისჯვრის წმიდა გიორგი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ სხვა საინტერესო ეკლესიები არ არის. ნალვარაჟის „ღვთისმშობელი“ სწორედ ერთი ამათავანია. ეს არის გვიანი შუასაუკუნეების ტაძარი, რომელიც რიყისა და კლდის ფლეთილი ქვითაა ნაგები, აქვს სამრეკლოც. 1795 წელს კრწანისის ომში მიმავალმა 300 არაგველმა სწორედ ამ საყდარში, ღვთისმშობლის ხატთან, დადო ფიცი, რომ შინ დამარცხებული არ დაბრუნდებოდა.

გზას განვაგრძობთ და, სანამ სოფელ ქვეშეთში შევიდოდეთ, ტრასიდან ხელმარჯვნივ ვუხვევთ, მდინარეზე გადავდივართ... აი, აქედან იწყება სწორედ ხადა. ერთი ხალხური ლექსი ამბობს:

„არ ვიცი ხანდო-ჭართალი, გულამაყარი სად არი, ხადაში გამიგონია სამოცი ციხე მაგარი“.

ეს სტრიქონები თავისებური გამოძახილი უნდა იყოს ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებისა, რომელშიც ნათქვამია: „ლუდის ხევს ჩრდილოთ, არაგვის გაღმა, არს დაბა ხადა, მაღალ კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითვემის ჩრდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი და 60 კომკოვანი“.

ვახუშტის ამ ნათქვამში რამდენიმე ბუნდოვანი საკითხია და მათ გზადავ ხამოვფენთ ნათელს. ამჯერად კი მხოლოდ ერთზე შევჩერდებით: ეს არის ტოპონიმი „ციკარა“. იგი დაკავშირებული უნდა იყოს „წინ კართან“ და აქედან ნაწარმოებ „ნილკანთან“. საქმე ის არის, რომ დაარბილის კარის შემდეგ, სამხრეთის მიმართულებით,



ქობტციხე (ელგუჯას ციხე)

სწორედ ხადა იყო წინაპარი. უძველეს დროში ხევიდან გზა სწორედ ხადის ვიწროებზე გადმოდიოდა. ხადელ ხან-ნაშულებს ახლო ნარსულთი ხეობის მეორე სახელწოდება „ნილკანი“, რომელიც ლეონტი მროველსაც აქვს ნახსენები და შატერდულ „მოქცევაჲ ქართლისაჲსაც“: ნავიდა წმინდა ნინო „და დადგა ნობენს და მოუწოდა (ე.ი. ჰხადა, — გ.ქ.) მთიულთა: ჭართლელთა, ფხოველთა, ნილკნელთა“ და უქადა-გა ჭეშმარიტი სჯული, მაგრამ მათ არ ინებეს გაქრისტიანება. მაშინ წმ. ნინოსთან მყოფმა ერისთავმა მახვილს მიმართა და მთიულეებს წარმართული კერპები დაუმსხვრია. სავარაუდოა, რომ ხადა-ნილკანიდან სწორედ მაშინ ჩამოსახლეს ურჩი მთიულეების ერთი ნაწილი და მუხრანის

ველზე დაასახლეს, სადაც დღემდე არსებობს სოფელი ნილკანი და მისი დიდებული ტაძარი. მისი უძველესი, მცირე დაზოგულებს ახლო ნარსულთი ხეობის მეორე ნახევარშია აგებული ბაქარ მეფის მიერ.

აი, ამ ფიქრებით შევდივართ ხადის პირველ სოფელ ბედონში, რომელიც, იოლი მისახვედრია, უმეტესად ბედოიძეებით არის დასახლებული. ხადისწყლის გაღმა მხარეს ძველი ბედონის ნასახლარებია, სადაც VIII-IX საუკუნეების „ყველანმინდის“ ეკლესიაა. მას სამხრეთ-დასავლეთიდან მეორე სამლოცველო აქვს მიდგმული, რომელსაც „კვირაცხოველი“ ჰქვია, თუ მინაშენის არქიტურაზე ამოკანრულ დიდ, უცნაურ ჯვარს არ მივიღებთ მხედველობაში, ტაძარი უსამკაულოა, მაგრამ აშენებულია სერიოზულად და მუშა-

ვეული გრანიტის ქვით. კედლები საკმაოდ სქელია, ქვათა წყობის ხაზები კი — გამართული. აქ თავს იჩენს აღმოსავლეთ მთიანეთისათვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული ნიშნები: კლიტის ფორმის სარკმლები გარედან ძალიან ვიწროა, შიგნით კი თანდათან ფართოვდება და ქვევიდან შეკიბულია. დამახასიათებელია საბურველის თავზე, მთელ სიგრძეზე გამავალი კეხი. იგი აღმოსავლეთით გატოტვილი ჯვრით მთავრდება, მაგრამ ახლა ეს ფრთაშემოტვილი ჯვარი დასავლეთის მინაშენის თავზეა. მთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების დამახასიათებელ ნიშნებს ვხვდებით ინტერიერშიც: საკურთხევლის კედელი სწორკუთხაა და კონქზე ტრომპებით გადადის. დარბაზულ ტაძრებში ასეთი მეთოდი ბარში იშვიათად გამოიყენებოდა. ამის მაგალითად ჩვენ მხოლოდ ქარელის რაიონის სოფელ ბრემის დანგრეული ეკლესია გვეგულება.

ძალზე საინტერესოა ეკლესიის დასავლეთით, გაღმავლის კარიბჭის სიახლოვეს აღმართული სამკაულეობიანი ქვაჯვარი, რომელიც შედარებით გვიანი პერიოდისაა.

ბედონის ეკლესია ხადის ხეობის ქვემო დინებაში ყველაზე საინტერესო ძეგლია. იგი კახეთის დამოუკიდებელი სამთავროს პირველი მმართველის ქორეკოზ (ქორეპისკოპოს) გრიგოლის პერიოდში უნდა იყოს აგებული.

გავცდებით თუ არა სოფელ ზემო ბედონს, დაახლოებით 2 კილომეტრში, იქ, სადაც პატარა მდინარე მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ, კლდეზე მიკრულ ციხეს დავინახავთ. მას ქობტციხე (ქვაბ-ციხე) ჰქვია და ელგუჯას ციხესაც უწოდებენ. ეს მეორე სახელი მას ალექსანდრე ყაზბეგის ცნობილი ლიტერატურული გმირის გამო დაერქვა. მწერალს სწორედ ეს ციხე აქვს აღწერილი, რომელსაც ელგუჯა, მზალი და გიორგი აფარებდნენ თავს. ციხესიმაგრეს კომპლექსი არ აქვს, იგი წარმოადგენს ერთ გრძელ და ვიწრო გამოქვაბულს, რომელიც წინიდან კლდის ქვის სქელი და მაღალი კედლითაა ამოშენებული. აქა-იქ კედელში ამბრაზურებია.

ციხის ზეით გემრიელი „მუავე წყალი“ გამოდის კლდიდან. უკეთეს დასასვენებელ ალაგს კაცი ვერ იწაბრებს და ჩვენც ვჩერდებით, რათა ძალა მოვიკრიბოთ და უფრო საინტერესო მოგზაურობას შევუდგეთ.

## ბელა ქოქიაშვილი



ბედონის ლჭთისმონასტერი



ბედონის ქვაჯვარი



რედაქციის ელექტრონული ფოსტის მისამართზე მოვიდა ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულის ბიორგი მანისის დეტექტივი. ნაწარმოების გაცნობამ მიგვახვედრა, რომ საქმე გვაქვს პროფესიონალ მწერალთან, რომელიც ფსევდონიმს ამოფარდა. იმტექტივის გამოქვეყნების დასრულებამდე რედაქცია და გაზეთის მკითხველიც შევიტყობთ ავტორის ნამდვილ ვინაობას. მკითხველი ნაწარმოებში ბევრ მსგავსებას იპოვის საქართველოში მომხდარ მოვლენებთან, შესაძლოა, კონკრეტული პირებიც ამოიცნოს. თუმცა ავტორი მიგვანიშნებს, რომ ყველა შესაძლო პარალელი მხოლოდ დამთხვევაა.

## ბიორგი მანისურაძე

# სალაში

# საქართველოდან!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №11-16

სიღნევი როჯერის სმის დი-დი მოყვარული არ გახლდათ, მაგრამ ვისკის შემფასებელი და დამფასებელი ნამდვილად იყო. მტატებში, როცა ამას ვითარება მოითხოვდა, „ბურ-ბონსა“ და „ჩივას რეგალს“ სვამდა. კენტუკური ვისკი არასდროს გაეცინა. ნელა მოსვა პირველი ყლუბი და „უაილდ ტერკიც“ დაუყოვნებლივ დაუმატა თავის მენიუში პირველ ორს. თბილისში საღამოს დაბრუნდნენ.

— დილით დაგივინა, — დაემშვიდობა არჩილ კამარაულს სიღნევი როჯერის კიბეებთან.

ლიფტით თავის სართულზე ავიდა, ბუშების ნომერს ჩაუარა და ოთახში შევიდა. დიდხანს იდგა ცივი შხაპის ქვეშ.

— ნუთუ არც ერთი თვითმხილველი არ იყო? — მერამდენედ უსვამდა თავს ამ კითხვას „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი. რაც მირიანს სავანელმა უამბო, ოფიციალური ანგარიშიდანაც იყო მისთვის ცნობილი. გამოძიება არ იქნებოდა ბოლომდე მიყვანილი, თუ რაიმე დეტალს გამოტოვებდა ან გამოჩვენებდა, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო. ტრავმების შესაძლო თვითმხილველი კი სავსებით არ იყო უმნიშვნელო და, თუ ასეთი ვინმე გამოჩნდებოდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ახალს არას იტყოდა მომხდარზე, ოფიციალურ ვერსიას ხომ მაინც დაადასტურებდა ცენტრალური სადაზვერვაო სამმართველოს სპეციალური აგენტი სიღნევი როჯერის მშვიდად დაუსვამდა ნერვების გამოძიებას.

— შემთხვევის ზუსტი დრო და ადგილი ცნობილია, — ფიქრობდა სიღნევი როჯერის, — რაილი შუადღის 12 საათზე დაიღუპა. თბილისიდან შემთხვევის ადგილამდე მანქანით საათნახევარი-ორი საათის გზაა. შემთხვევის ადგილს ზემოთ რამდენიმე დასახლებული პუნქტია... — საქართველოს სამხედრო გზის მიმდებარე ტერიტორიის რუკა აღიდგინა გონებაში „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა, — გზის ბოლოს კი, ლამის რუსეთის საზღვართან, ქალაქი სტეფანწმინდაა. მართალია, გზა რუსეთში მიმავალი ტრანსპორტისთვის, პრაქტიკულად, დაკეტილია, მაგრამ სტეფანწმინდა ან სხვა დასახლებული პუნქტიდან ტრანსპორტი ქვემოთ მოძრაობს, ისევე, როგორც თბილისიდან — სტეფანწმინდამდე. მით უმეტეს, ზაფხულია, სააგარაკო სეზონი ახალი დაწყებულია. თანაც, კვირა დღეს ამ მიმართულებით აუცილებლად იმობილურად როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტი. კერძო ტრანსპორტი მიუხედავად იმისა, რომ მისი მოძრაობა არის დასაჯერებელი, ამიტომ დარჩა ტაქსები და ავტობუსები.

ბი. როგორც თბილისიდან გამავალი, ასევე სტეფანწმინდიდან მომავალი ტრანსპორტის გამოსვლის დრო ორივე პუნქტიდან დილის 9-10 საათია...

სიღნევი როჯერის საშხაპიდან გამოვიდა და მობილური ტელეფონი აიღო.

— არჩი, თბილისიდან სტეფანწმინდაში საზოგადოებრივი ტრანსპორტი დადის?

— დიახ, მისტერ როჯერს, ავტობუსები და სამარშრუტო ტაქსები.

— რა არის სამარშრუტო ტაქსები?

— ათ-თორმეტკაციანი მიკროავტობუსები.

— ჩვეულებრივი ტაქსები დადიან?

— თუ კლიენტი იქნა, კი, რა თქმა უნდა.

— როგორი ინტენსიურობით დადის მთელი ეს ტრანსპორტი?

— ზაფხულში მრავლად არიან, დასვენების სეზონისას. ძალიან ბევრი თბილისელია ნარმოშობით იმ მხარიდან, მამაპაპისეული სახლები აქვთ იქ.

— სად შეიძლება ამ ავტობუსებისა და ტაქსების მძღოლების ნახვა?

— ეგ ძალზე იოლია, მისტერ როჯერს. იმ მიმართულებით მიმავალი ტრანსპორტი დიდუბეში, მეტროს სადგურის წინ იყრის თავს, ოღონდ ადრე დილით უნდა გავიდეთ, შვიდ საათზე მაინც.

— ასე ადრე, ალბათ, არა. თუმცა, როგორ ფიქრობ, რამდენი საათი დასჭირდება გადასახედამდე ავტობუსს, სამარშრუტო ტაქსის ან ტაქსის?

— ავტობუსებს — ორსაათნახევარი, სამარშრუტო ტაქსის — ორი საათი, ჩვეულებრივს — საათნახევარი. თავადაც წამოიყვანია კლიენტი ორსამჯერ, მისტერ როჯერს.

— სტეფანწმინდიდან დილით გამოდის ავტობუსები?

— ერთი ავტობუსი და ორი-სამი სამარშრუტო ტაქსი.

— თბილისამდე რამდენ საათს უნდებოდა?

— მაქსიმუმ, სამ საათს. იქიდან სულ დაღმართია, მისტერ როჯერს. მათი ნახვა აქ, თბილისში, 9-10 საათზეა შესაძლებელი. როგორც ნესი, რაიონებიდან ტრანსპორტი ძალიან ადრე გამოდის ზაფხულობით, დილის 6-7 საათზე, რომ აქედანაც მოასწროს დილით კლიენტების აყვანა.

— ესე იგი, რვა საათზე რომ მივიდეთ ავტოსადგურში, მათ ნახვას შევძლებთ?

— თავისუფლად.

— შეგიძლია ხვალ დილით, რვის ნახვარზე მომაკითხო?

— კი, როგორ არა.

— მაშინ, შევთანხმდით.

— დიახ, მისტერ როჯერს.

\*\*\*

დილის რვის ნახვარზე არჩილ კამარაული სასტუმროსთან დახვდა. „ნიუ-იორკ თაიმ-

სის“ კორესპონდენტმა შენიშნა, რომ ახალგაზრდა კაცი ამკარად უხასიათოდ იყო. მიესალმა და მანქანაში ჩაჯდა.

არჩილ კამარაულმა მანქანა დაძრა.

— მისტერ როჯერს, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ, — ძალიან მიმიძის ამის თქმა, მაგრამ...

— რა მოხდა, არჩი?

— მე თქვენთან ვერ ვიმუშავე, — ჩუმად თქვა ახალგაზრდა კაცმა.

— რატომ? ძნელია ჩემთან მუშაობა?

— რას ბრძანებთ, მისტერ როჯერს? ეგეთ სამუშაოს ოცნებაშიც კი ვერ ნარმოვიდგენდი, — გულწრფელად თქვა არჩილ კამარაულმა — მაგრამ არ შემიძლია.

— რატომ? იქნებ მიზეზი ამისნა?

— ნუხელ თქვენი სატელეფონო ზარის შემდეგ სახლიდან ამიყვანეს.

— როგორ, აგიყვანეს?

— ჩვეულებრივად, როგორც აკეთებენ. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეკლარაციის ნიღბიანი თანამშრომლები შემოვიკვიდნენ სახლში და დამაპატიმრეს. კიდევ კარგი, მინ არავინ მყავს, მარტო ვცხოვრობ...

— რა საბაბით?

— საბაბი მერე გაირკვა, როცა გამოძიებელმა კარგად იჯერა გული მუქარით, თუ არ დაგვემარებები, ნარკოტიკს ჩავიგდებთ მანქანაში და ციხეში ამოგალობთ.

— კი, მაგრამ, რა უნდათ შენგან?

— მაგათ უნდათ, რომ თქვენი ყველა ნაბიჯი, ყველა მოქმედება, რისი თვითმხილველიც იქნებოდა თქვენი გეგმები, რაც მეცოდინებდა, შევატყობინო... ერთი სიტყვით, თქვენზე მოჩენილი მეთვალყურე ვიყო.

— მერე?

— მე ეს არ შემიძლია, მისტერ როჯერს. მე ამას ვერ გავაკეთებ, ამიტომაც გადავწყვიტე, თქვენთან არ ვიმუშაო... ესე იგი, თქვენ მიერ ავანსად მოცემული თანხა. — ახალგაზრდა კაცმა კონვერტი გაუწოდა. როცა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა არ გამოართვა კონვერტი, ტორპედოზე დადო.

— ბოდიშს გხდით, მისტერ როჯერს, არ შემიძლია მათი უმცავსი დაგვალბა ვასრულო. ძალიან გთხოვთ, არ იფიქროთ, რომ შემაძინეს, უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ მაქვს. მე ესეივ ვერ შემაშინებენ! — მტკიცედ თქვა არჩილ კამარაულმა.

— შეგიძლია მანქანა სადმე გააჩერო? — ჰკითხა სიღნევი როჯერსმა.

არჩილ კამარაული ქუჩის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ძრავა გამართო.

— მე ვერ ვხედავ რაიმე საფუძველს იმისა, რომ ერთმანეთს დავშორდეთ, — წყნარად თქვა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა და

კონვერტი არჩილ კამარაულს კენჭი გაწია. — მერე რა, თუ ასე უნდათ? შენც შეატყობინე ყველაფერი, დასამალი რა მაქვს?

— მე დაბეზლება და თვალთვალი არ შემიძლია, მისტერ როჯერს! — მტკიცედ თქვა არჩილ კამარაულმა.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი მიხვდა, რომ პრინციპულ, ლირსულ კაცთან ჰქონდა საქმე და კიდევ უფრო მოეწონა ეს ახალგაზრდა ქართველი, რომლის მიმართაც წმინდა ადამიანური სიმპათია იმთავითვე იგრძნო.

— მისმინე, არჩი, კიდევ ერთხელ გიმეორებ, ვერ ვხედავ საფუძველს, ჩემთან მუშაობაზე უარი თქვა, პირიქით, ასე უფრო მანყობს.

— რა განყოფილება, მისტერ როჯერს, გითვალთვალოთ და გაბეზლოთ? ჩემთვის ეს ყოვლად მიუღებელია.

— შენ თუ ნახვედი ჩემგან, სხვა უნდა ავიყვანო, რომელსაც იგივეს მოთხოვენ? ალბათ, შენსავით არ მოქცევა, არაფერს მეტყვის. ასე არ არის? ახლა ნარმოვიდგინე, ნინო რომ ამეყვანა თარჯიმნად...

— მე თუ ნახვედი, ნინოს აიყვანთ? — შემოთოდა ახალგაზრდა კაცი.

— სხვა გზა არ მაქვს, — მტკიცედ თქვა სიღნევი როჯერსმა. იცოდა, რა მიძიმე და უშეღავათო დარტყმა იყო ეს ახალგაზრდა კაცისთვის.

არჩილ კამარაულს არაფერი უთქვამს, მხრებში მოიხარა და თავი ლამის საჭეს ჩამოაღო.

— ამერიკელები, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ გაბზარული ხმით, — ამერიკელები სასტიკი და გულქვა ხალხი ხართ!

— გეთანხმები, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს ამას, სხვათადარგ შეიძლება იყოს! შენ რა, გულსუსტობას გამოიჩენ, თუკი საქმე შენს ქვეყანას ეხება?

— არ ვიცი, არ ვიცი... რა გინდათ ჩემგან, მისტერ როჯერს?

— ბევრი არაფერი, შეასრულეთ ჩემთან აღებული ვალდებულება, იმუშავეთ ჩემთან ისევე მშვიდად და წყნარად, როგორც აქამდე.

— მერე ისინი?

— გააკეთე ყველაფერი, რასაც ისინი მოითხოვენ, მით უმეტეს, რომ ყველაფერი ვიცი და მეც ამას ვითხოვ შენგან. რა, ნინო არ გიღირს ამად? — ბოლო დარტყმა მიყვანა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა.

— მისტერ როჯერს? თვალბეჭდით როგორ შეგხედოთ მერე? — ლამის იყვირა არჩილ კამარაულმა.

— რახან ამას მოვითხოვ, ესე იგი, ასეა საჭირო. მისმინე, არჩი, აქ დაიღუპა ჩემი ქვეყნის მოქალაქე და მე ჩემმა რედაქციამ მისი სიკვდილის გარემოებების უკონს-

ლისტური გამოძიება დამავალა. შენ შეგიძლია დამეხმარო ამ საქმეში. პრაქტიკულად, უკვე მცხმარები და შენი მხრივ კიდევ უფრო მეტი იქნება, თუ ჩემთან დარჩები. ჩემი თხოვნაა, რამდენიმე დღე დათმო შენი პრინციპები და ყველაფერი ისე გააკეთო, როგორც მათ გითხრეს. თანაც მე და რაც უნდა უთხრა? ერთი სიტყვით, ჩავერთოთ, აყვეთ მათი თამაშის წესებს. აი ეს, — „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა ლეპტოპი აჩვენა, — იძლევა საშუალებას, მობილური ტელეფონით განხორციელებული ნებისმიერი საუბარი ჩაინეროს და არა მარტო ჩაინეროს, თარგმნოს კიდევ. ამისათვის შენი და, ვისაც უნდა დაურეკო, იმისი ნომრის შეყვანაა მხოლოდ საჭირო და შესაბამისი დაპროგრამება. ასე რომ, ჩემთვის ფარული და დამალული არაფერი იქნება და რახან ინფორმაციას ჩემზე და ჩემთან შეთანხმებით მიანვიდი იმათ, ეს არც თვალთვალში ჩაგეთვლება და არც დაბეზლებაში. თანაც შენი იცი, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ნამყვანი და გავლენიანი გაზეთის კორესპონდენტი ვარ და ჩვენი გაზეთი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაშიც კმნის საზოგადოებრივ აზრს. ესე იგი, ჩვენ ძალგვიძს პასუხი მოვთხოვოთ შენი ქვეყნის მთავრობას ასეთი მეთოდების გამოყენებისა და ადამიანის უფლებების შელახვისათვის. მით უმეტეს, რომ ჩემთვის კარგადაა ცნობილი ის გარემოება, რომ შენი ქვეყნის უმაღლესი პირი ყოველთვის ყველაფერში ჩემს ქვეყანას იმორჩილებს. გამოდის, რომ ჩემი ქვეყნის ხელისუფლების მითითებით ექცევა ასე საკუთარ მოქალაქეებს, ამიტომ მომეცი საშუალება, გამოვამყარო ყოველივე და იქ, ჩემს ქვეყანაში გავაგები-ნო, საზოგადოებრივი აზრის მიმართებით ვაიძულო გაიგონ მათ, ვისაც ეს ეხება, რომ შენი ქვეყანასთან მიმართებით სწორი არჩევანი გაკეთებული არ არის და დემოკრატიის ნაცვალად დიქტატურას უჭერს მხარს. გასაგებად გითხარი ყველაფერი? ნახვედით?

არჩილ კამარაული ცოტა ხანს უხმოდა და უძრავად იჯდა, მერე უხალისოდ დაძრა მანქანა.

\*\*\*

სტეფანწმინდისკენ მიმავალ მარშრუტზე მომუშავე ხუთ მძღოლს შორის გადასახედ მოედანზე ვერტმფრენისა და „ლენდ როვერის“ მნახველი ერთი აღმოჩნდა მხოლოდ. თავიდან ვერაფერი გაიხსენა: „რას ამბობ, კაცო! გუშინ რა ვჭამე, ის არ მახსოვს და ორი კვირა წინანდელი ამბავი, როგორ გავიხსენო?“ — იყო პირველი რეაქცია შეკითხვაზე, მაგრამ ასდლოარიანმა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტის ხელში მძღოლს

მყისიერად და დეტალურად აღუდგინა მეხსიერება.

— ჰო, თორმეტი საათი იყო, მაგ ადგილზე რომ მივედი, პლიუს-მინუს ხუთი წუთი — გრაფიკი გრაფიკია. ერთი „ლენდ როვერის“ ჯიპი იდგა „დაფოთლილი“ და ერთი ცვერცხლისფერი დიდი „ვერტალიოტი“ ეს იქ, გადასახედის მდელივით. აქეთ კიდევ, ტრასაზე — პოლიციის ექვსი-შვიდი მანქანა... ხო არ გავაჩერე? ვინ გავაჩერა! პირიქით, პატრულებმა ლამის სროლა ამიტყვეს, ჩქარა მომორდი აქაურობას. მერე, ერთი-ორი დღის შემდეგ თქვეს, ვილაქ ძალიან მნიშვნელოვანი უცხოელი დაიღუპაო, შარდის დროს უფსკრულში გადავარდაო. მოემარდა ცოტა აქეთ, რაღა უფსკრულს მიაღვას ის უბედური?

— სხვა არავის არაფერი უთქვამს? — თარჯიმნის მემკვიდრე შეეკითხა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს.

— არა, მე არაფერი გამიგია. რაც თქვა, ეგ არა, — იყო პასუხი.

— თქვენ გარდა ვის შეიძლება კიდევ ენახა?

— ჩემ გარდა? ჩემ გარდა სტეფანწმინდიდან მომავალმა „მარშუტკამ“ ნახა. იმ ადგილიდან ორ კილომეტრში შემხვდა, თბილისელები მომავალი. შუქებიც ამინთო სამჯერ, ფრთხილად იყავი, წინ საგზაო პოლიციააო. საერთოდ, როცა ერთმანეთს ვესალმებოთ, შუქებს ერთხელ ვანთებთ, თუ პოლიციაა ტრასაზე — სამჯერ.

— სად შეიძლება იმ მძღოლის ნახვა? — იკითხა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა.

— სად შეიძლება? სად შეიძლება და ოც წუთში აქ იქნება, თუმცა მაიცა! — მძღოლმა მობილური ტელეფონი ამოიღო და ნომერი აკრიფა.

— ჯანაღვ, რა ადგილზე ხარ, ბიჭო? — ჩასძახა ყურმილში.

— ასი დოლარი გინდა? — ცალი თვალთ სიღნევი როჯერსს გახვდა.

— ჰოდა, თუ გინდა, ერთი უცხოელია აქა, რაღაც რაღაცეები აინტერესებს. მე დამადოლარა უკვე... რა ენაზე ელაპარაკო? ჰო, ბებიაშენისამ, იმდენი ენა იცი, ასარჩევად გაქვს საქმე! თარჯიმანი ჰყავს, ბიჭო, თარჯიმანი... ჰეი, აბა შენი იცი! — მხრები გაშალა და არჩილ კამარაულს მიუბრუნდა: — ოც-ოცდახუთ წუთში აქ იქნება. ჯამელიტი ჰქვია, აი აქ, ჩემ ადგილას დადგება. ოღონდ ასი დოლარი იმასაც უნდა მისცეთ.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა სიტყვა დოლარი გაიგო და სანამ არჩილ კამარაული გადაუთარგმნა, მანამდე დააქნია თავი თანხმობის ნიშნად.

ოცი წუთის შემდეგ სიღნევი როჯერსმა მეორედ იყიდა აბსოლუტურად იგივე ინფორმაცია; მეორე მძღოლმა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა იგივე.

— რამემ ხომ არ მიიქცია კი-



# პატომის კრატერის საიდუმლო

გაზრდილი. დასაწყისი №16

ოთხნი დავრჩით. და ჩვენმა ახალმა გამცლებელმა — 30 წლის ივანე მაქსიმოვი უარი განაცხადა კრატერთან თავისი კარაბინისა და სანადირო დანის წამოღებაზე. მიზეზად კი მის მიერ მოსმენილი ისტორიები მოიყვანა, რომელთა თანახმად, კრატერის სიახლოვეს დაღუპულები ან საკუთარი იარაღით იღუპებიან, ან ამ იარაღის გამო — გვამს პოლოვებენ ცეცხლსასროლი ან დანით მიყენებული ჭრილობებით, პირადი იარაღი კი ქრება.

ასეა თუ ისე, კრატერისკენ განმეორებით მსვლელობისას ტრაგიკული არაფერი მომხდარა. დილით ადრე გავედით და დღის სამი საათისთვის მიზანს მივალნივით.

მაშინვე მივხვდით კრატერის პირველად მომჩინის, გეოლოგ კოლპაკოვის გაცხადებით და ანომალიის ეგვიპტურ პირამიდებთან შედარების მიზნით. პოტომის კრატერი რაღაც არაჩვეულებრივი, სრულიად არაბუნებრივი რამეა. მწვანედ მოხასხასე ტიპის თავზე აღმართულიყო ნაცისერის მთა სწორი, თითქოს დანით წაკვეთილი მწვერვალივით. იგი ადგილობრივ პეიზაჟში დომინირებს და ყურადღებას ნებისმიერი სწრატილიდან იქცევს, საიდანაც მისი დანახვა შესაძლებელია.

მაგრამ როდესაც ობრუჩევის ვაჟს, ასევე ცნობილ საბჭოთა გეოლოგს, ვლადიმერ ობრუჩევს რომანის დაწერიდან 40 წლის შემდეგ აცნობეს ირკუტსკელი გეოლოგის კოლპაკოვის იდუმალი აღმოჩენის შესახებ, მან მაშინვე უარყო ვერსია ამოუცნობ მეტეორიტზე.

უახლოვდებით. კრატერის გარე კედლები აგებულია ფილებით, რომელთა ზომაც რამდენიმე სანტიმეტრიდან 5-7 მეტრამდე მერყეობს. ამის გამო შორიდან კრატერი მართლაც ადამიანის ნახელოვანი გეგმისა, რადგან გეომეტრიულ ფიგურას მოგაგონებთ. გაუგებარია, რა ძალამ ააშენა იდუმალი მთა საშენ მასალად მილიონამდე ტონა ქვის გამოყენებით (ასე შეაფასეს მთის სიმაღლე ჩემმა თანამგზავმა მეცნიერებმა)...

„1951 წელს ჟურნალში — „ბუნება — მეცნიერების სიახლენი“, გამოაქვეყნეს სტატია „პოტომის მთიანეთის გამოუცნობი კრატერი, — მოგვითხრობს ვადიმ კოლპაკოვი, — ადამიანთაუფროსი მისი წარმომავლობის მიწერა შეუძლებელია. ვივარაუდებ, რომ ფერდობს რაღაც სხეული დაეცა, მაგრამ კი არ აფეთქდა, არამედ კირქვის ძარღვებში რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმეზე ჩაიმარხა. ძალიან ვამიკვირდა, როცა ვნახე, რომ ჩემი სტატია ერთვოდა აკადემიკოს ვ. ვ. ობრუჩევის კომენტარს, სადაც იგი კატეგორიულად უარყოფდა მეტეორიტულ ვერსიას, იმ მიზეზით, რომ „ასეთი მეტეორიტები არ არსებობს...“

შეკამათება ვცადე ავტორიტეტულ აკადემიკოსთან, — აგრძელებს ვადიმ ვიქტორის ძე, — მაგრამ მალე იაკუტის შესწავლაზე გადამრთეს და პატომის კრატერი კარგა ხნით გადავიწყვიტე... მაგრამ — ამაოდ. მხოლოდ პენსიაზე გასვლის შემდეგ შემთხვევით გავიგე, რომ მე 20 საუკუნის დასაწყისში ოქროს მაძიებლებმა ბოდაიბოს რაიონში (რომელიც მაშინ ჯერ კიდევ დასახლებული იყო) გაიგონეს უცნაური გრუხუნის და დაინახეს უზარმაზარი მანათობელი კვამლის სვეტი ცაში. დამომხმებელია, რომ მისი სიმაღლე არანაკლებ 20 მეტრია. ასეთი „ზუსტი“ გამოთვლები ნაკლებად მჭერა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც ნამდვილად მოხდა. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ უჩვეულო მოვლენას 1908 წლის 30 ივნისს აკვირდებოდნენ, სწორედ იმ დღეს, როცა მთელი მსოფლიოს სენსიზაციად გავრცელდა ტუნგუსკის მეტეორიტის დაცემა დააფიქსირეს... ტრუხანოვმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ოდესღაც დედამიწაზე უზარმაზარი მეტეორიტი ჩამოვარდა, როცა მისი მასა 2377 მეტრის სისქის ქვით გაარღვია და შავი ღარი დარჩა, უკვე პლანეტა პლუტონად გადაქცეული...“

„1915 წლებში. დროის სწორედ ამ შუალედში, კონკრეტულად დღე-ღამეზე ნაკლები დრო გვრჩებოდა. გეოლოგებს ქვების სინჯების ასაღებად ორმოები უნდა ამოეთხარათ და კრატერი გაეზომათ. ექვსი კილოგრამი ქვა შევარაგეთ, რომლებსაც ახლა „СО ПАИ“-ის ირკუტსკის გეოქიმიის ინსტიტუტში იკვლევენ. სინჯების შემადგენლობაში შესაძლოა, აღმოჩნდეს რაღაც უჩვეულო ნაწილაკები, როგორც, მაგალითად, შორეული აღმოსავლეთის ცნობილ 901-ე ფერდობზე (კირქვის რეკლამებზე ნამსხვრევებში მკვლევარებმა იდუმალი მიკროსკოპული ვოლფრამის ზამბარები აღმოაჩინეს).

ნარმოიდგინეთ „ლუჟნიკების“ სტადიონი. ძალიან ჰგავს. ოღონდ კრატერი აბსოლუტურად მრგვალია და დიაგეტრონი ორჯერ დიდია. ცენტრში კი — 12-მეტრიანი, ასევე ოდნავ აღურად მრგვალი ბორცვი. წრიული ჩაღრმავების თავზე რომ დგახარ, ყურებში ქარი გინივის, ჩადიხარ ქვემოთ და აბსოლუტური სიჩუმე ისადაგურებს.

აი, პოტომის კრატერის სიმაღლე კი დაახლოებით 5 მეტრით ნაკლები აღმოჩნდა კოლპაკოვის მონაცემებთან შედარებით, რომელმაც „ცეცხლოვანი არნივის ბუდე“ აღმოაჩინა (1949 წელს). ქვენე ჩვენი ქვის მთა „ჯდება“? ეს დამტკიცებდა ჩემი თანამგზავრი გეოლოგების ვერსიას, რომ კრატერი შედარებით გვიან — 100-200 წლის წინათ წარმოქმნა. უფრო ძველი რომ ყოფილიყო, გამოშრობის პროცესები დიდი ხნის წინათ შეწყდებოდა.

საინტერესოა, რომ 56 წლის მანძილზე, იმ დროიდან, რაც გეოლოგმა კოლპაკოვმა პირველად აღწერა კრატერი, მასზე ჯერაც ვერ გაიხარა ხემ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარეში ოქროს მოძიებებელთა მიერ გადათხრილი-ჩაბომბილი კლდეები 20-25 წლის შემდეგ ისევ იფარება ტყით.

რა თქმა უნდა, ზემყარი მეტეორიტები ჯერ არავის უპოვია. მაგრამ პატომის კრატერის ანალოგიც ხომ არსადაა მსოფლიოში? შესაძლოა, ეს უნიკალური ბუნებრივი ნარმონაქსნი დედამიწასთან ზემყარი კოსმოსური ნივთიერების შეჯახებით ერთადერთი ნაკვალავია... ტუნგუსკის მეტეორიტის ფრაგმენტის დაცემის ვერსიას კი ჯერჯერობით ფრთხილად ვეკიდებ. გადახედიხარ ბოდაი წარმოქმნილიყო 1905-

## ანდრეი მოისეენკო ალეოქენის ნაპობი



ხარო დაბრკოლებების გამო ანომალიის გამოსაკვლევად დღე-ღამეზე ნაკლები დრო გვრჩებოდა.

1915 წლებში. დროის სწორედ ამ შუალედში, კონკრეტულად დღე-ღამეზე ნაკლები დრო გვრჩებოდა.

გეოლოგებს ქვების სინჯების ასაღებად ორმოები უნდა ამოეთხარათ და კრატერი გაეზომათ. ექვსი კილოგრამი ქვა შევარაგეთ, რომლებსაც ახლა „СО ПАИ“-ის ირკუტსკის გეოქიმიის ინსტიტუტში იკვლევენ. სინჯების შემადგენლობაში შესაძლოა, აღმოჩნდეს რაღაც უჩვეულო ნაწილაკები, როგორც, მაგალითად, შორეული აღმოსავლეთის ცნობილ 901-ე ფერდობზე (კირქვის რეკლამებზე ნამსხვრევებში მკვლევარებმა იდუმალი მიკროსკოპული ვოლფრამის ზამბარები აღმოაჩინეს).

### საიდუმლო გასაღები დრეკადი დამარხული

სურგეი იაზუევი, ირკუტსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორი, ექსპედიციის მონაწილე: „რა ძალას შეეძლო მილიონობით ტონა დაქუცმაცებული კირქვის მთის წიაღიდან ამოზიდვა და, თანაც, გეომეტრიულად ნებისმიერ სტრუქტურის შექმნა? რასაკვირველია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გულაგის რომელიღაც ბანაკის უფროსმა ხეოფსის პირამიდის აშენება გადაწყვიტა, ან ჩინგისხანის მრავალრიცხოვან მექვიერეთაგან ერთ-ერთმა საყვარელი ცოლისთვის ყორღანი აღმართა, მაგრამ მსგავსი ვერსიები ასევე დარჩება დაუსაბუთებელი, ვინაიდან ჯერჯერობით ამ არტეფაქტის აღმართვაში ადამიანის მონაწილეობის არანაირი კვალი არ ჩანს. ვფიქრობ, რომ მთა სიღრმის უფროსმა პრეპარატორმა დაფიქსირა. მაგრამ რა აფეთქდა — მე თანი, მიწისქვეშა ვულკანი, ბირთვული მექანიზმი, უცხოპლანეტელების სანავის ბაზა, ეს ჯერ არ ვიცით.

### მერსიები

#### 1. ურანის მაღნის აფთქა

პატომის კრატერიდან დაახლოებით 600 კილომეტრში მდებარეობს რუსეთში ყველაზე მსხვილი ურანის მადნის საბადო. ხომ არ შეიძლება, რომ კრატერის ქვეშაე ურანის ნალექები ყოფილიყო, დაინყო თავისთავად ბირთვული რეაქცია, რასაც შემდეგ აფეთქება მოჰყვა? ნიკოლაი რუმინცევი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის დამსახურებული გეოლოგი: „გასული საუკუნის 60-იან წლებში სოსნოვსკის გეოლოგიურ ექსპედიციაში ვიყავი და ირკუტსკის ოლქსა და ბურიატიაში ურანის საბადოების მოძიებას ვანარმობდი. ბოდაიბოს რაიონი კარგადაა შესწავლილი — პატომის მთიანეთში ურანი არ არის. რომც ვივარაუდოთ, რომ იგი იქ ოდესღაც იყო, წარმოუდგენელია, ურანის ბუნებრივი მადანი აფეთქდეს. იმისთვის კი, რომ აფეთქდეს, მთიანეთში ურანი უნდა იქონიყო, თითქმის ლაბორატორიული პირობებია საჭირო — ურანის სხვადასხვა იზოტოპის განსაკუთრებული ურთიერთქმედება, წყალბადის თავისუფალი მიწოდება და ა. შ. მსოფლიოში ცნობილია მხოლოდ ერთი ასეთი ბუნებრივი ბირთვული რეაქტორი — აფრიკის სამხრეთი, ურან-

ნის საბადოში. იგი უკვე ორი მილიონი წელია, „მუშაობს“ და დღემდე თავისთავადი აფეთქებისთვის აუცილებელი კრიტიკული მასა არ დაგროვილა“.

### 2. ბირთვული იარაღის გამოცდა

მეცნიერებმა და სამხედროებმა ბირთვული იარაღის პირველი საიდუმლო გამოცდა ტაივანში მოაწყვეს, ცნობისმოყვარე თვალისგან მოშორებით.

ილია სოლომონოვი, სამხედრო ისტორიკოსი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი:

„გეოლოგ კოლპაკოვის სტატია პატომის ანომალიის შესახებ 1951 წლის იანვარში დაიბეჭდა ჟურნალში — „ბუნება — მეცნიერების სიახლენი“. ეს თარიღი ავიწყობს კრატერის არსებობის ყველაზე რეალურ დადასტურებად.

პირველი ბირთვული აფეთქება განხორციელდა 1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირში, სემიპალატინსკის ქვემოთ. პირველი მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება — 1961 წელს, იმავე ადგილას. სემიპალატინსკი მოწყობილი იყო შესანიშნავი პოლიგონი, ყოვლისშემძლე საიდუმლო ხელსაწყოებითა და სენსორებით. რა აზრი ექნებოდა ბირთვული ბომბის იაკუტის საზღვარზე, ტაივის მიყრუებულ რაიონში ნალექს? გაითვალისწინეთ, რომ იმ დროს ვერცხვინეუნი, ყველაგანმავლები და ბულდოზერები ჯერ კიდევ არ არსებობდა. დარწმუნებული ვარ, რომ მეცნიერებისა და სამხედროების კოლონა ბირთვული მოწყობილობით, საბურღი დანადგარებითა და სამეცნიერო აპარატურით 1949-1951 წლებში პატომის მთიანეთამდე ვერ მიალენვდა. ამასთან, ცნობილია, რომ 1949 წელს სსრ კავშირში ჯერ არ იყო აღმოჩენილი ურანის მადნის მსხვილი საბადოები და მთელ სახელმწიფოში მხოლოდ ერთი ბომბისთვის სამყოფი ურანი მოგროვდა, რომელიც აფეთქდა კიდევ სემიპალატინსკში“.

### 3. ტრიტიუმი

სამხედროებმა აქ გაანადგურეს მეორე მსოფლიო ომის დროიდან დარჩენილი ბომბი. ილია სოლომონოვი: „საიდან გაჩნდა აღმოსავლეთ ციმბირის ცენტრში იარაღის დიდი მარაგი — შორეული აღმოსავლეთისა და ბაიკალის სამხედრო ზონებიდან ჩამოიტანეს? წყნარ ოკეანეში და მონღოლეთის საზღვარზე ბევრი დაუსახლებელი ტერიტორიაა და, რა თქმა უნდა, იარაღის აფეთქება, მით უმეტეს, როცა საუბარია ათასობით ტონა ტრიტიუმის ეკვივალენტზე, იქ უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე გაურკვეველი საშუალებებით მისი იაკუტის საზღვარზე ჩამოიტანა და ფერდობზე დამარხვა“.

### გაზრდილია იმეხა

### შვილი გაიხსნა ნაცვლად პანუსს არ აბაბს


ბედის ირონია. ფანტასტიკა მწერალმა, გეოლოგმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკა-

### \*\*\*

ჯერ კიდევ მოსკოვში ექსპედიციისთვის მზადებისას დაგვეგმე ერთი-ორი ღამის გატარება კრატერის მწვერვალზე, მაგრამ გზაში სამწუ-

# თავდაცვის სტრატეგია: antivirus + Firewall

წინა ნომერში ძალზე ზოგადად მიმოვიხილეთ ანტივირუსული პროგრამები და მათი მოქმედების პრინციპები, მაგრამ კიდევ ერთხელ და ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოში ამ ეტაპზე არ არსებობს ცალსახად გარანტირებული თავდაცვა მავნე პროგრამების შემოტევისგან და ჯერჯერობით არც ისეთი ანტივირუსი შექმნილა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გავრავლებულ ვირუსებს ნებისმიერი „ბოროტმოქმედისგან“ ამიტომ უნივერსალური გადაწყვეტილების ძებნით თავს ნუ შევიწუხებთ, ის არც არსებობს და ვერც იარსებებს, ვინაიდან დრო, როცა კარგი ანტივირუსი, გარკვეულწილად, საკმარისი იყო კომპიუტერის ვირუსული საშიშროებებისგან დასაცავად, წარსულს ჩაბარდა და ეს მიდგომა კარგა ხანია, ვეღარ ამართლებს. ამჟამად კომპიუტერის უსაფრთხოება კომპლექსური საკითხია, რომელიც მომხმარებლისგან საკმაოდ დიდხანს და პერმანენტულ ყურადღებას საჭიროებს.



ერთ დროს ითვლებოდა, რომ საშიშროება EXE, MSI და DLL ფაილებში უნდა გვექნებოდა, მაგრამ უკვე ყველაფერი ცნობილია, რომ ზოგიერთი მავნე პროგრამა გრაფიკული (png, bmp, jpg, gif) ფაილის სახითაც კი წარმოგვიდგება. ცნობილია ასევე mp3, PDF, DOC, RTF ფორმატის ფაილების საშიშროებების შესახებაც. მოკლედ, მტერი შეიძლება ჩასაფრებული იყოს ნებისმიერ ფაილში, რომელიც ორჯერ დაკლიკებით იხსნება.

რაც; თითოეულ მათგანს ხომ საკუთარი უპირატესობები, უნიკალური განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს. მთავარია, გაითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ორი ან მეტი სრული ანტივირუსის ერთდროული გამოყენება არ გაზრდის თქვენი კომპიუტერის უსაფრთხოებას. პირიქით, მათ შორის კონფლიქტი სისტემის სტაბილურობასა და მდგრადობას შეამცირებს. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საბოლოოდ ერთ-ერთ მათგანზე შეაჩეროთ არჩევანი. გარდა ამისა, ნუ გამოიყენებთ შეუმოწმებელი წყაროებიდან მიღებულ პროგრამებს და ნუ ენდობით სხვების მტკიცებულებებს ამ თემაზე, ხშირად განაახლეთ ანტივირუსი (სასურველია, ავტომატური განახლების ფუნქციის გამოყენება), რეგულარულად გაასუფთავეთ საფოსტო ყუთი SPAM-ისგან და შეძლებისდაგვარად შეიკავეთ თავი გატყეხილი პროგრამების გამოყენებისგან, რადგან ხშირად სწორედ მათ მოჰყვება საფრთხე.

#1	#2	#3	#4	#5	#6
ZonaAlarm Pro	Outpost Firewall Pro	Norman Personal Firewall	eConceal Pro	Webroot Desktop Firewall	Injoy Firewall

შპირვოლუბის საერთაშორისო რეიტინგი ამ დროისათვის

მოუხედავად იმისა, რომ ხშირად სიამაყით გვიმტკიცებენ, ანტივირუსი საერთოდ არ „მიყენია“ და ჩემი კომპიუტერი მშვენივრად გრძნობს თავსო, ცალსახად ვიგონებ, ამგვარი ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავოთ და, უბრალოდ, დავთანხმდეთ აქსიომას, რომ Windows-ის მომხმარებლის კომპიუტერზე აუცილებლად უნდა მუშაობდეს ანტივირუსი. მართალია, სრულყოფილ დაცვას ვერც მისგან მივიღებთ, მაგრამ ანტივირუსი მეტ-ნაკლებად დროულად რეაგირებს ვირუსულ ეპიდემიებზე. დღეისათვის ჩვენთან პოპულარობით სარგებლობს Avira AntiVir Personal, AVG Anti-Virus Free და avast! Home Edition. აღნიშნული სამივე პროგრამა უფასოა, მხოლოდ არა ჩვენთან გავრცელებული გაგებით, ანუ გატყეხილი ვერსიების მოპოვებით, არამედ ოფიციალურად, ლიცენზიით, თავად მწარმოებლებისგანაა გაცემული უფასოდ თავისუფალი მომხმარებლისათვის. ეს ფაქტორი არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ზემოხსენებული ანტივირუსული პროგრამა დაბალხარისხიანი ან უეფექტოა. ტესტირებებმა აბსოლუტურად საწინააღმდეგო შედეგი აჩვენა და ამჟამად ყველა მათგანს მავნე პროგრამებთან ბრძოლის ეფექტიან საშუალებად თვლიან.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე ფაქტორი, რაც საკუთარი კომპიუტერის დაცვაზე ზრუნვისას უნდა გავითვალისწინოთ, არის Firewall. სიტყვა „Firewall“ ინგლისურიდან თარგმანში ცეცხლოვან კედელს ნიშნავს და ხშირად ინგლისური ვერსიის ნაცვლად მის გერმანულ შესატყვისს Brandmauer-საც იყენებენ. იმისათვის, რომ გაერკვეთ, თუ რა არის Firewall, წარმოიდგინეთ, რომ თქვენი კომპიუტერი თქვენი სახლია, რომელსაც, ცხადია, აქვს კარი და ფანჯრები. როგორც წესს, სახლში შესასვლელი კარი დაკეტილია და საეჭვოა, გესიამოვნოთ, თუ თქვენს ბინაში ნებისმიერი გამველ-გამომველი ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაუკითხავად შემოივლის ღია კარიდან ან ფანჯრიდან გადმოძვრება. სწორედ ამგვარი ანალოგიით დაინტერესებულნი უნდა ვიყოთ, რომ ნებისმიერმა მსურველმა

პირველივე მცდელობისას ვერ მოახერხოს ჩვენს კომპიუტერში შემოძრომა, რათა იქ საკუთარი სურვილისამებრ წაშალოს რაიმე ჩვენთვის მნიშვნელოვანი მონაცემი. დაუპატიჟებელი სტუმრებისგან სახლის დასაცავად კარსა და ფანჯრებზე დამონტაჟებულ საკეტებს ჩაერაზავეთ და თავს უსაფრთხოდ ვიგრძნობთ. იმ შემთხვევაში კი, თუ ვინმეს შემოშვება-გამშვება გვსურს, იმავე საკეტებს დროებით ვაღებთ. სწორედ ამგვარი საკეტის ფუნქციას ასრულებს Firewall, რომლის კონფიგურაციაც თქვენი სურვილისამებრ უნდა მოხდეს.

რების გარეშე მხოლოდ 2 წუთს გაძლებს. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ კი აუცილებლად მიიღებთ მავნე პროგრამების საკუთარ წილს ინტერნეტიდან.

შესაძლოა, რიგითი მომხმარებლისთვის ცოტა რთული იყოს Firewall-ის დამოუკიდებლად კონფიგურაცია, მაგრამ ნებისმიერმა მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ ამ პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციას, კომპიუტერიდან ინტერნეტში ან ინტერნეტიდან კომპიუტერში დაუშვას მხოლოდ იმ პროგრამების გასვლა, რომლებიც თქვენ მიერ იქნება ნებადართული. სხვა ყველაფრისათვის როგორც გასვლა, ასევე შესვლა კატეგორიულად დაიბლოკება.

ნუ შეგეშინდებათ Firewall-ის კონფიგურაციის. მართალია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მთლად მარტივი პროცესი არ არის, მაგრამ ამ ჯგუფის პროგრამული უზრუნველყოფის უმრავლესობა ავტომატურად გვაძლევს ყველაზე მნიშვნელოვან პარამეტრებს და თქვენ მხოლოდ გარკვეულ პროგრამასთან დაშვების ან აკრძალვის მონიშვნა დაგჭირდებათ. თუ Firewall ჩართულია, ის უკვე ბლოკავს ქსელიდან თქვენს კომპიუტერში არასანქცირებული შეტყუების მცდელობებს. ჩვეულებრივ, ის ირთვება ოპერაციულ სისტემასთან ერთად და ქსელური ჭიკაძელებისგან დაცვის პირველ და უმთავრეს ხაზს წარმოადგენს. ცეცხლოვანი კედელი მალავს და უზილავს ხდის თქვენს კომპიუტერს ინტერნეტში.

ფაქტობრივად, Firewall არის ფილტრი კომპიუტერსა და ინტერნეტს შორის, ოღონდ ეს ფილტრი თქვენი სურვილით არჩევს დასაბლოკ კატეგორიას. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ინტერნეტთან მიერთებული კომპიუტერი, რომელშიც Firewall არაა ჩართული, ინფიცირ-

დღეისათვის Firewall-ის ერთ-ერთი სახეობა Windows Firewall ყველა Windows-ს მოჰყვება. ეს 2003 წელს გავრცელებული იმ Sasser-ჭიკაძელებს დამსახურებაა, რომლის დაძლევა ინტერნეტზე-ლი Firewall-ის გამოყენებით მოხერხდა.

## Windows 7-ს Internet Explorer არ მოჰყვება



ევროკავშირი სერიოზულადაა აღშფოთებული Microsoft-ის მონოპოლისტური ქმედებით.

თავის მხრივ, კომპანია ცდილობს, გამაძვრებულ დაძაბულობას გაუმკლავდეს და ევროპელთა დასამშვიდებლად გადაწყვიტა, სპეციალურად მათთვის Windows 7-ის განსაკუთრებული ვერსია შექმნას. Windows 7 E — ასე ერქმევა ოპერაციული სისტემის სპეციალურ, ევროპული ქვეყნებისათვის განკუთვნილ ვარიანტს. თავისი დანარჩენი ვერსიებისაგან განსხვავებით, მას არ ექნება ინტერნეტოპერატიული Internet Explorer 8. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე აღნიშნული ბროუზერი ცალსახად კარგავს თავის პოპულარობას და ევროკავშირისათვის მათგან ნაბიჯის გადადგმით მწარმოებელმა კომპანიამ, როგორც ჩანს, საბოლოოდ განირა ბროუზერი.

## მსოფლიო კრიზისი სავსავ უახლო

კასპერსკის ლაბორატორიამ მაისში სპამის აქტივობის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა და გვაუწყა, რომ აპრილის თვესთან შედარებით საფოსტო ტრაფიკში სპამის რაოდენობამ მოიმატა რა 2%-ით, 84,7% შეადგინა. ზიანისმომტან ფაილებს ელექტრონული შეტყუების 0,03% შეიცავდა. ამჟამად სპამრეკლამის ბაზარი, საერთო მდგომარეობის შესაბამისად, მსოფლიო კრიზისის წინა პლანზე მოექცა და სპამერები ეკონომიკური სექტორიდან კლიენტებს დიდი სისწრაფით კარგავენ. ამავე დროს, სპამერებს ტექნოლოგიები რაიმე პრინციპული სიახლე არ შემოუთავაზებიათ.

## Safari 4-ის არანსული ნარამბება



სულ რამდენიმე დღის წინათ კომპანია „Apple“-მ ახალი ინტერნეტბროუზერი Safari 4 წარმოადგინა.

Mac OS X-სა და Windows-თან თავსებადი ახალი პროდუქტი არსებობის პირველი სამი დღის მანძილზე 11 მილიონმა მომხმარებელმა „გადაქაჩა“ თავის კომპიუტერზე. შემქმნელების თქმით, Safari 4 ყველაზე სწრაფი და ინფორმირებული ვებბროუზერია, რომელიც JavaScript-თან Firefox 3-ზე ოთხჯერ უფრო სწრაფად მუშაობს. HTML-გვერდები მასზე სამჯერ უფრო სწრაფად იტვირთება, ვიდრე Firefox 3-ზე. პირველი დღე-ღამის განმავლობაში 8 ათასამდე, სამ დღეში კი 11 ათასზე მეტი ჩამოტვირთვა არანსული წარმატება ახალი პროდუქტისათვის.

## ევროპული ჩაკლაისტი ინტერნეტკლამის ჩაიკრავს ელიან

ონლაინრეკლამის განვითარებულ ბაზარზე 2009-ში ვარდნა ელიან. შარშან ევროპული ინტერნეტრეკლამის ბაზარი 20%-ით გაიზარდა და 12,9 მილიარდი ევრო შეადგინა. ამავე მაჩვენებელმა აშშ-ში 10,6% და 16,6 მილიარდი ევრო შეადგინა. მიუხედავად ამისა, 2008 წელს მდებარეულამისათვის ერთ-ერთ ყველაზე ცუდწლად გამოცხადდა.

## ინტერნეტკომუნიკაციების ახალი ტალღა

რამდენიმე დღის წინ სან-ფრანცისკოში კორპორაცია Google-მა წარმოადგინა ახალი პროდუქტი Google Wave, რომელმაც ელექტრონული ფოსტის, სწრაფი მიმოწერის პროგრამებისა და დოკუმენტებზე ერთობლივი მუშაობის პროგრამები ფუნქციონალურად უნდა ჩაანაცვლოს.



პასუხის დაწერა. უფრო მეტიც, თუ ამგვარად დაკავშირებული ორი მომხმარებელი ერთდროულადაა ქსელში, მათ შეუძლიათ ერთდროულადვე იმუშაონ ერთსა და იმავე ტალღაზე, ჩაასწორონ ან მისწერონ ერთმანეთს კომენტარები. ტალღაზე ნებისმიერი ცვლილება ავტომატურად ინახება ისტორიაში და მუშაობის პროცესის არც ერთი ეტაპი არ იკარგება. Google Wave კიდევ მრავალსა-სიამოვნო სიახლეს შეიცავს, რაც ნამდვილად დიდ კომფორტს შეუქმნის ინტერნეტში ურთიერთობის მოყვარულებს.

როგორც ირწმუნებინან, ამ პროდუქტის პოპულარიზაციასთან ერთად ინტერნეტურთიერთობებში რევოლუცია მოხდება. Google Wave-ის მუშაობისას საჭირო არ არის წერილის გაზავნა. მომხმარებელი მხოლოდ უერთდება მოცემულ სერვისს და ქმნის იქ თავის

ტალღას (Wave). იმისათვის, რომ ეს ტალღა ხელმისაწვდომი იყოს მეგობრისთვისაც, უბრალოდ, ამატებს მასში ამ მეგობრის მისამართს. როდესაც მეგობარი ჩართავს თავის Google Wave-ს, დახვდება მეგობრის გაგზავნილი ტალღა, სადაც შეუძლია, ვთქვათ, ტექსტის ჩასწორება ან

# ავს თუ ავი არ ვუნდო, კარგს სახელად რა დავარქო?

თბილისის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია მჭიდროდ დასახლებული ადგილი იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდა გოგოლის, ფიროსმანისა და ფოცხვერაშვილის ქუჩები. მატარებელი, რომელიც ვაგზალზე შემოდინდა, ამ ქუჩებზე მცხოვრებთათვის ვაგზლის რადიოს მეშვეობით უკვე ცნობილი იყო. უფრო მეტიც, საიდან მოვიდა, დაავიანა თუ არა და ა.შ. ჩვენს ეზოში, სადაც ვაგიზარდებ, ბევრი რკინიგზელი ცხოვრობდა, მათ შორის, ჩემი მშობლებიც. ეზოს ჭიშკართან, პირველ სართულზე, პირველი ოჯახი ჩვენ ვიყავით. ხშირად ისმოდა ასეთი შეკითხვა: „პატივცემულო, აქ ბინა ხომ არ ქირავდება?“

ბინაში ერთი ან ორი საწოლი იგულსხმებოდა. აბა, ბინა დღევანდელი გაგებით მაშინ არავის დაესიზმრებოდა.

ომი ახალი დამთავრებული იყო (1947 წ.). რაიონებიდან უმალეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად ახალგაზრდობა ატესტატიტ ხელში მშობლებთან ერთად დაიძრა.

მასსოვს, შუშაბანდში ჩაის ვსვამდი. ოზურგეთის მატარებელი ახალი ჩამოსვლილი იყო. დედაჩემმა შუშაბანდის კარი გამოაღო და იქვე მდგომი ორი ადამიანი დაინახეთ.

როგორც ეტყობოდა, დედაშვილი იყო, ჩემოდნით ხელში. „ბოდიში, ქალბატონო, აქ ბინა ხომ არ ქირავდება?“

კარზე მომდგარი დედაშვილი დედაჩემმა შინ შემოიპატიჟა და უთხრა, რომ ამ ეზოში ბინა არ ქირავდება, მაგრამ მიუთითა მოპირდაპირე მხარეზე, სადაც ქელბაქიანები ცხოვრობდნენ. „კარგი ბინა აქვთ. მე გამოგყვებით. მგონი, ისინი აქირავებენ...“

ქელბაქიანების ბინას ორი შესასვლელი ჰქონდა: ერთი — გოგოლის ქუჩიდან, ხოლო მეორე — ფოცხვერაშვილის ქუჩიდან სადარბაზოს გაველით. აი, აქ ერთი დიდი ოთახის კუთხე, რომელიც პიანინოთი და მასზე გაბმული ფარდით იყო გამოყოფილი, გაქირავდა.

ასე დაიწყო კაკო ბაქრაძის სტუდენტური ცხოვრება. ამ

ოჯახის ვაჟიშვილი ენვერ ქელბაქიანი ჩემი მეგობარი გახლდათ. უბანში კი არა, მთელ ქალაქში (განსაკუთრებით, პლენანოვზე) ცნობილი იყო მართალკაცობითა და ვაჟკაცობით. კაკოს ჩვენთვის არ ეცალა. იგი დღედაღამ ნიგნებში იყო ჩაფლული. მისი სამუშაო რეჟიმი განისაზღვრებოდა ლექციებით, ბიბლიოთეკით და სახლშიც გადაშლილი ნიგნით ხელში. ჩვენი დღის წესრიგი კი რადიოკალურად განსხვავებული იყო, მაგრამ მასთან მეხვედრას ვახერხებდით.

ამავე სახლში, მეორე სართულზე, ძალზე საინტერესო და კაკოზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ბრონისლავ ბახტაძე ცხოვრობდა, რომელიც უმალესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში დანიშნა „ლიტერატურაშია გაზეტას“ კორესპონდენტად საქართველოში.

სალამობით დიდ ოთახში ვიკრიბებოდით. ინტელექტუალურ-ესტეტიკური საუბარი ორ დიდ მნიშვნელოვან ჩვენთვის მეტად მიმზიდველი და საინტერესო აღმოჩნდა. გადიოდა დრო, ნიგნა და ცოდნამ თავისი შედეგი გამოიღო. კაკო ბაქრაძე ცნობილ პიროვნებად იქცა. უნივერსიტეტში მისი ლექციების დროს აუდიტორია სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით იყო სავსე. ადრეულ ასაკში მისი მოღ-

ვანობა კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებაში დაიწყო. ნიჭთან ნიჭი მიდისო, რომ იტყვიან; ამავე განყოფილებაში მუშაობდნენ ნოდარ დუმბაძე და რევაზ გაბრიაძე.


ძვირფასო მკითხველო! აკაკი ბაქრაძის ავტობიოგრაფია მეტად ვრცელი და მრავალფეროვანია. შეეცდებით, გაგაცნოთ მისი დამოკიდებულება ჟურნალ „ნიანგსა“ და ნოდარ დუმბაძესთან.

საერთოდ, ცნობილი ფაქტია, რომ სატირისა და იუმორის რედაქციასთან თითქმის ყველა მწერალი და გამოჩენილი ადამიანი თანამშრომლობდა. გამონაკლისი არც აკაკი ბაქრაძე გახლდათ.

ბატონი აკაკი ჯერ კიდევ 1983 წლის „ნიანგის“ საიუბილეო ნომერში წერს ასეთი სათაური:

„სიტყვა ნიანგს“.

„რატომღაც, „ნიანგს“ გაუბედავად და ნუსხურად აწერია „სატირისა და იუმორის ჟურნალი“, რა იქნებოდა, უფრო თამამად და ასომთავრულით რომ ეწეროს?! რა თქმა უნდა, წარწერა ვერ უშველიდა საქმეს, თუ შინაარსიც არ დაამშვენებდა მას. ეს საყვედურის ნიშნით არ მიუთქვამს, მიუთქვამს, რომ პუბლიკუმი ზოგჯერ კმაყოფილია და ზოგჯერ — არა „ნიანგის“ სატირულობით, მაგრამ თუ რაიმე არ მოგვწონს, ახლავე უნდა ვთქვათ, რომ ეს რედაქციის ბრალი არ არის. ეს შედეგია



— რა ბინდამ, კაცო, რომში ფახეზრთის საყურაზლად წავედი და არ მომასვენეთ, აქ მაინც დამანებეთ თავი!

სატირისადმი ქართული მწერლობის დღევანდელი დამოკიდებულებისა...

...მაგრამ როგორ შეძლებს „ნიანგი“ ამ მისიის შესრულებას, თუ მწერლები, პუბლიცისტები არ ამოუდგებიან მხარში?! ცხადია, იმ მწერალსა და პუბლიცისტს ვვულისებო, ვისაც ქვეყნის საზრუნავი საკუთარი თავის მოვლაზე უფრო აწუხებს.

ჩემთვის რომ ვინმეს ეკითხვა, „ნიანგს“ ეპიგრაფად წარუშეძლებდნენ — „ავს თუ ავი არ ვუნდო, კარგს სახელად რა დავარქო?“

ეს დიდი ანდერძია და მისი დავიწყება ქართველთა არც ერთ თაობას არ ევალიება!

გაითვალისწინა რა რედაქციამ ბატონი აკაკის შენიშვნა, ეს ეპიგრაფი უფრონა „ნიანგის“ გარეკანზე დაიბეჭდა.

რაც შეეხება ნოდარ დუმბაძესთან ურთიერთობას, ეს მხოლოდ ნიჭიერებითა და პატიოსნებით სავსე ადამიანების ურთიერთგაგებაა. საინტერესოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. გიგა ლორთქიფანიძემ რუსთავეში დადგა სპექტაკლი „თეთრი ბაირაღები“. ეს სპექტაკლი, შემდეგ „საბრალდებო დასკვნად“ ნოდარ დუმბაძის, მოთარუსთაველის სახელობის აკადემიურმა თეატრმა აიტაცა.

ამ დროს თეატრის დირექტორი აკაკი ბაქრაძე გახლდათ. ნოდარი შეუძლოდ იყო. სპექტაკლი დაამტკიცა კულტურის სამინისტრომ. დაინიშნა პრემიერის დღე. ყველა ბილეთი გაიყიდა.

ძვირფასო მკითხველო! შეეცდებით, შეძლებისდაგვარად გადმოგცეთ აკაკი ბაქრაძის ნაამბობი.

ნოდარის სანახავად ვიყავი მისული. ნოდარის მეუღლე, ქალბატონი ნანული სახლში იყო. ამ დროს მოვიდა აკაკი. მოინახულა ნოდარი, მოეფერა და დინჯად მომღიმარი სახით დაიწყო ფრიად ამალელებელი ამბის მოყოლა:

მაყურებელი მოაწყდა თეატრს, მაგრამ კარი დახურული დახვდა. ცეკას მდივნის ვიქტორია სირაძის განკარ-

გულებით, სპექტაკლის გაშვება აიკრძალა, რადგან ჩათვალეს, რომ ეს იყო ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური სპექტაკლი.

იძულებული ვახვდი, მთავრობის ტელეფონით ცეკას პირველი მდივნისათვის ედუარდ შევარდნაძისთვის დაემერევა. ავუსხენი შექმნილი მდგომარეობა და ისიც ვუთხარი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ვიხსნიდი პასუხისმგებლობას.

— კარგი! — იყო პასუხი, — ახლა გაუშვით. მე მოვალ, ვნახავ მაგ სპექტაკლს...

წარმოდგენა ყოველდღე ანშლაგით მიდიოდა. ბიუროს წევრებისთვის სპეციალური ადგილი ყოველდღე თავისუფალი იყო.

გავიდა 17 დღე. 17 სპექტაკლი დაიდგა. მსახიობები ნერვიულობდნენ. „საბრალდებო დასკვნას“ მართლაც რომ საბრალდებო დასკვნა ემუქრებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს მთავრობის ტელეფონმა დარეკა და გამაფრთხილა, რომ დღევანდელ სპექტაკლს შევარდნაძე დაესწრებოდა. რა თქმა უნდა, მას თან მოჰყვებოდა ბიურო.

სპექტაკლი დაიწყო. მსახიობები ძალზე ნერვიულობდნენ. მე დირექტორის ლოჯიაში დავჯექი, მაგრამ სპექტაკლის ნაცვლად შევარდნაძესა

და ბიუროს წევრებს ვაკვირდებოდი. განსაკუთრებით ბატონი ედუარდის რეაქცია იყო საინტერესო.

სპექტაკლი და გამოცდა დამთავრდა. დაბადები ჩემი კაბინეტში ჰქონდათ ჩამოკიდებული. შევარდნაძის წინამძღოლობით ბიურო ჩემი კაბინეტისკენ დაიძრა. ხმას არავინ იღებდა. ბოლოს სიჩუმე შევარდნაძემ დაარღვია:

— როგორც ჩანს, ცუდად ვიყავი ინფორმირებული. მშვენიერი სპექტაკლია. ეს სპექტაკლი საქართველოში კი არა, რუსეთში, ჩინეთში და სხვა ქვეყნებშიც უნდა დაიდგას. უთხარით ზურაბ ახვლედიანს, თარგმნოს რუსულ ენაზე და მოსკოვში გავაგზავნოთ...

აკაკიმ თხრობა დაამთავრა. ნოდარმა გაიღიმა და ჩვენც ამოვისუნთქეთ.

აკაკი ბაქრაძის წიგნს „სულის ზრდას“ კარგად აქვს მორგებული სათაური. განა მართო სათაური, — იკითხავს მკითხველი, — არა, კრიალოსანივით აკინძული სტრიქონები ადამიანის აღზრდასა და მის გაცეთილშობილებას ემსახურება.

სწორედ ამ ყველაფერს ამომწურავი პასუხი გასცა კაცმა — ლეგენდამ — აკაკი ბაქრაძემ.

შანი სისარულიძე

საზოგადოებრივი-მედიაციური ბაზისი

**საქართველო**

საერთაშორისო ინფორმაციული ბაზისი

http://www.geworld.net

**ინფორმაციული თანამშრომლობის (დაზ)ინფორმაციულ საყაროში**

— რატომაა შანი ღვინო ყველაზე ტკბილი და ძვირი? — მი კანფატხა ვაყენებ, ბატონო!..

**საქართველო** ინტერნეტ რედაქცია

საერთაშორისო ინფორმაციული ბაზისი

http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა, რედაქტორი გონდო მინარაშვილი, ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანდუაშვილი, რეალიზაციის მენეჯერი ლაშვიტა ზუაძე, ოფისმენეჯერი თათიანა ვაშაძე, რეკლამის მენეჯერი მაია გონაშვილი (858 10 25 48) გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5  
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net